## პრეზიდენტი



# საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ინიციატივას ახალი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა პროგრამის თაობაზე



– ეს პოზიცია საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ იმ ჟურნალისტთა ჯგუფთან საუბრისას დაადასტურა, რომლებიც ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ეგიდით საქართველოში მიმდინარე სამხედრო წვრთნებს „კოოპერატივ-პარტნერს-2001“-ს აშუქებენ. ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა, კერძოდ, აღნიშნა: „პრეზიდენტ ბუშის წინადადება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემათა შესახებ უსაფუძვლო არ არის.

ასეთ სისტემათა შექმნა მხოლოდ უძლიერეს სახელმწიფოებს ხელეწიფება, ცხადია, მათ შექმნას ხანგრძლივი დრო დასჭირდება, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. – როგორც ვიცი, პრეზიდენტი ბუში მზად არის თანამშრომლობისათვის იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც მის კონცეფციას იზიარებენ, მათ შორის, რუსეთთან.“

ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემათა შექმნის შემთხვევაში დღის წესრიგიდან იხსნება ბირთვული იარაღის საჭიროება, ანუ ბირთვული იარაღი უნდა განადგურდეს. „რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები არავის ენებს, არავის ემუქრება. ბირთვული იარაღი კი კაცობრიობის განადგურების საფრთხეს წარმოადგენს“, – განაცხადა ქვეყნის მეთაურმა.

**საქინფორმი.**

## სახელმწიფო მინისტრი

# განიხილეს ვარძიის მზიური დასახლების მშენებლობის პროექტი



**ვარძიის მზიური დასახლების საპილოტო პროექტის რეალიზაციის შესახებ იმსჯელეს 22 ივნისს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან გამართულ თათბირზე შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელებმა.** აღსანიშნავია, რომ საქართველოში ენერგეტიკის განახლებადი წყაროების – მზის, ქარისა და წყლის რესურსების ფართოდ გამოყენების იდეა იუნესკოსა და საქართველოს ერთობლივი ძალისხმევით 1997 წლიდან დღემდე მხოლოდ პროექტების მომზადებით შემოიფარგლება.

საგულისხმოა, რომ ვარძიის მზიური დასახლების მაკეტმა აღიარება ჰპოვა იუნესკოს ეგიდით გამართულ გამოფენებზე. ახალი სოფლის მშენებლობისათვის, სადაც სავარაუდოდ 30 ოჯახამდე დასახლდება, 10 მილიონი დოლარია საჭირო. სწორედ ამ თანხის მოძიების შესაძლო გზები განიხილეს სახელმწიფო მინისტრთან გამართულ თათბირზე. ახალი სოფლის მშენებლობისათვის დაფინანსების წყაროს გამონახვის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად კი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებში პროექტის სრულყოფილი ვარიანტის წარდგენა ესახებათ.

**საქინფორმი.**

## მილოცვა

# რევაზ თე[illegible] 70 წლის[illegible]

ბატონო რევაზ,

საქართველოს გადამხდელთა კავშირი გილოცავთ დაბადების 70 წლის იუბილეს, შესანიშნავ ადამიანსა და სასიქადულო მამულიშვილს, საქართველოს ნავთობის მრეწველობის პატრიარქს. თქვენი დაუღალავი და ფასდაუდებელი შრომის შედეგია ქართული ნავთობის მრეწველობის განვითარება, რომელიც აღმავლობის გზით მიდის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**ნიკო ლეკიშვილი.**

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
**http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika**

**სამ დღეში გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 7384 მკითხველი. მათ შორის, 53% აშშ-დან, 36% – გერმანიიდან.**


„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა



სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation



გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №152 (3893) შაბათი, 23 ივნისი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.


## კანონმდებლები

# პარლამენტის პლენარული სხდომა

22 ივნისს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს კანონპროექტი „შესაძლო მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. სახელმწიფოს მხრივ არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმების ამოქმედება გარკვეული აკრძალვებისა და შეზღუდვების დაწესებას გულისხმობს, რაც დემოკრატიული, ცივილიზებული საზოგადოებისათვის მიღებული ფორმაა. ჩვენს ქვეყანაში არსებული ის შედეგები, რაც ამ სფეროში საკანონმდებლო ვაკუუმმა გამოიწვია, მოზარდთა ფიზიკური და სულიერი განვითარების თვალსაზრისით სავალალოა ქვეყნის მომავლისათვის.

იხ. მე-2 გვ.



## პანკისი

# «ფუძეს ნუ მოვშლით ძმობისას!»

### 1. სამი ქართველი და ორი ქისტი

გზას პანკისისკენ მივყავართ. მატანს გავივლით და აქოჩრილ მთათა საუფლოში მოვხვდებით. 1965-1972 წლებში, ახმეტის რაიგაზეთის რედაქციაში მუშაობისას, უამრავჯერ ამივლ-ჩამივლია. ვყოფილვარ დუისშიც, ჯოყოლოშიც, ომალოშიც და ძიბახევშიც. ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ ქისტებით დასახლებულ სოფლებში რაიმე ხიფათის გადავაწყდებოდი. ბევრი მეგობარიც მეგულებოდა – ბუღდან ბალაკაშვილი, ლადო ცხადაძე, მუხმად ალდამოვი, შოთა ბალაკაშვილი... მაგრამ მარტო იმათი იმედით როდი გულემაგრობდი – სიტუაცია იყო ერთობ მშვიდი, ცხოვრება – დალაგებული, თითქმის ყველა სახლის კარი – სამოყვროდ და სამეგობროდ გაღებული. ახლა, როცა მიზეზთა და მიზეზთა გამო ვითარება უარესობისკენ გადაიხარა, ოცნებასავით ვიხსენებ ერთ, მართლაც გამორჩეულ დღეს: სამუშაო ოთახში სარედაქციო იწილო-ბიწილოს ჩავკირკიტებდი. ორიოდე ძმაკაცთან ბუნების წიაღში გასვლას არაფერი სჯობდა, მაგრამ ტელეფონი დამღურებულივით დუმდა. ბოლოს ენა ამოიდგა და ყურმილში ნაცნობი ხმა შემომესმა:

– დიდი სტუმარი გვეწვია – ანზორ კიკნაძე. „წყაროებში“ მივდივართ, ძია ლადა გვეპატიჟება. ხუთნი ვიქნებით – ანზორი, ძია ლადა, შენ, მე და ბუღდან ბალაკაშვილი...

ქორა მაჩალიკაშვილი იყო. კაი ზორბა ქისტი, მეგობრობისა და პურ-მარილის დიდი ავან-ჩავანი. ჩემს გულში იჯდა?

ახმეტაში საქეიფო ადგილებს რა დალევს. ოღონდ სურვილი იყოს და, აქეთ ჩაზრიალა გვიხმობს, იქით – თედო მაშიაშვილის „კოშკები“, ალაზანგაღმა ბახტრიონია, ორბილს იქით – მონადირის სახლი, ბაწარასა და პანკისის მთელ ხეობაზე რომ არაფერი ვთქვა. მაგრამ „წყაროები“ აქვე იყო, ყურის ძირში. როცა თანამეინახეც სასურველია, პირდაპირ სამოთხეა!

ძია ლადამ თვალის დახამხამებაში ორი ბატკანი ჩამოათყავა, აქნა, დაკუწა, ნაწილს ჩაქაფულისა და ხაშლამის ქვაბში მიუჩინა ადგილი, ნაწილი მწვადად ააგო.

ამასობაში ფიჩხიც მოვზიდეთ და ცეცხლი გავაჩაღეთ.

სუფრას შემოვუსხედით – სამი ქართველი და ორი ქისტი. ჰაი, დედასა, რატომ ზვიადაური არ გვიყურებს! ანზორი და ბუღდანა გვერდიგვერდ სხედან. ერთს უკვე მორევია ჭარბი წონა, მეორე ისევ ისეთი სხარტი იყო, როგორიც საჭიდაო ხალიჩიდან გვახსოვდა. როცა ახმეტაში შეჯიბრებები მოეწყობოდა, მკლავს გამლიდა, ხალიჩაზე ამაყად გამოვიდოდა და მაყურებელს ლამაზი, ეფექტური ჭიდაობით აღტაცებაში მოიყვანდა.



იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის
## განკარგულება

2001 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი

**ს. თუნგიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მმართველობის ორგანოებში მუშაობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი **სერგო თუნგია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის
## განკარგულება

2001 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი

**ე. მახარაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებასა და მათ ინტელექტუალურ განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობის კაბინეტის გამგე, ლვაწლმოსილი პედაგოგი **ელენე მახარაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

## ინტერვიუ

# არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი თანამდებობა, რომლის გამოც ღირდეს დესტაბილიზაცია და სამოქალაქო ომი

**გვესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ნიკო ლეკიშვილი**

**– ბატონო ნიკო, ამ დღეებში პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელიც გენერალური პროკურორისაგან ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული და შემდეგ შეწყვეტილი საქმის ხელახლა გადასინჯვას მოითხოვს.**

– აბსოლუტურად დროული და სწორი გადაწყვეტილებაა. შეიძლებოდა ეს უფრო ადრეც მომხდარიყო, მაგრამ როცა აღიძრა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ საქმე, ეს გარკვეულ პოლიტიკურ მომენტთან იყო დაკავშირებული. გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, მაშინვე რეაბილიტაციაზე საუბარი, იმ მომენტისთვის სასურველი არ იყო.

იხ. მე-2 გვ.

## რეპლიკა

# ლეიბორისტებო, დააწყნარეთ ნათელაშვილი!

საქართველოს შრომელთა, ანუ ლეიბორისტული პარტიის მეზნებარე ლიდერი შალვა ნათელაშვილი ხშირად გამოდის ტელევიზიით (თითქმის ყველა არხზე), რადიოთი, პრესით და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სიტყვის თავისუფლების ანტიპროპაგანდისტად.

ყველაზე სწრაფად მოლაპარაკე იურისტი თითქმის 5 წელიწადია (თუ მეტი არა), თუთიყუშივით ერთსა და იმავეს გვიმტკიცებს, – დღევანდელმა ხელისუფლებამ ქვეყანა დაანგრიაო, მაგრამ მედეგს რომ ვერ აღწევს, კიდევ უფრო ღიზიანდება. ენას საერთოდ ვერ აჭერს კბილს და ცარიელ სიტყვებს „პულიმიოტივით“ გვაყრის. გინესის სარეკორდო მეტყველება აქვს ბატონ შალვას. არა მგონია, დღევანდელ მსოფლიოში არსებობდეს მეორე ისეთი სწრაფი და ენადაუდეგარი „საინფორმაციო ღრუს“ პატრონი, როგორც ნათელაანთ ბიჭია.

დღეს საქართველოში მრავალი ენაწყლიანი ტელეწამყვანი გვყავს. ხალხი მათზე რა ანეკდოტს არ ყვება... ეთერში დრო შეზღუდულია და,

იხ. მე-2 გვ.

## შევეწიოთ!



# სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| შპს „სანერჯი-აუდიტი“ | – 100 ლარი; |
| ლიანა პავლაძე | – 50 ლარი; |
| მერი ჩაჩიბაია | – 2 ლარი; |
| ნატო, ნინო, ნიკა თუშიშვილები | – 300 ლარი; |
| კახაბერ კაპანაძე | – 3 ლარი; |
| მედეა და ელეონორა აბაშიძეები | – 100 ლარი; |
| გიორგი თათრიშვილი | – 100 დოლარი. |

## გამარჯობათ!

# ჯიბის პროკურატურა თავად ქვეყანას არა სჭირდება

მაშინ პროკურატურას აგინებდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ, შუშებს ულეწებდნენ... არა მარტო ულეწებდნენ, ჩუმ-ჩუმად კიდეც ურტყამდნენ...

ერთ-ერთი კოლეგიის სხდომაზე იმჟამინდელმა გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა სინანულით თქვა: ჩვენი წინაპრები, განსაკუთრებით მთაში, ბავშვს სახეში სილას არასოდეს გაულაწუნებდნენ. ამბობდნენ, ამით პატარა დაბეჩავდება, მისგან კაცი აღარ დადგება. მოსლდნენ დღეს პროკურატურას და მიგ სახეში ულაწუნებენ სილას. იმას აღარ ფიქრობენ, რომ სილაგაწნული, მით უმეტეს, ტყუილ-უბრალოდ გალახული და დაბეჩავებული პროკურატურა თავად ქვეყანას არა სჭირდება, რადგან იგი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს. ვატყობთ, მავანს და მავანს სწორედ ესა სწადია, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ!

იხ. მე-2 გვ.

> აინტერესებთ არა იმდენად პროკურატურის გარდაქმნა, რამდენადაც მთელი ამ სტრუქტურის ხელში ჩაგდება.

## პრობლემა

# ფალსიფიკაცია ჩვენი დაუძინებელი მტერია

**დღევანდელ საქართველოში კონტრაბანდასთან ერთად უმწვავესი პრობლემაა ფალსიფიცირებულ პროდუქციასთან ბრძოლა. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი გენო მალაზონია.**

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური გარკვეულ მუშაობას ეწევა „საკვები პროდუქტების ფალსიფიკაციის აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 10 მარტის №187 განკარგულების შესასრულებლად.

იხ. მე-3 გვ.


გამოიწერეთ
გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელმოწერის ვადები: 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“


## ინფორმაცია

### მხოლოდ სალი დიალოგით

– მასმედიაში და ხშირად პარლამენტში, ამ ბოლო დროს იმდენი არაკორექტული და შეურაცხმყოფელი განცხადებები კეთდება, რომ პრეზიდენტს რკინის ნერვები აქვს და ემოციებს არ აყვება. ამდენად, აჭარის რეგიონის ლიდერის ასლან აბაშიძის ემოციური გამოსვლა ცივი გონებითა და ემოციის გარეშე შეაფასა და მასთან არანაირ დაპირისპირებას არ აპირებს, – ასეთი კომენტარი გააკეთა პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძემ ასლან აბაშიძის სატელევიზიო გამოსვლის გამო.

– სახელმწიფოს შიგნით ნებისმიერი აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ სალი, კონსტრუქციული დიალოგის შედეგად წყდება. პრეზიდენტი როგორც აჭარის, ისევე სხვა რეგიონების პრეზიდენტია და გადაწყვეტილებას მხოლოდ ცივი გონებითა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით იღებს, – აღნიშნა კახა იმნაძემ.

### დაიწყო მოლაპარაკებათა მეშვიდე რაუნდი

მოსკოვში დაწყებულ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებათა მე-7 რაუნდზე მხარეები განიხილავენ საკითხს, თუ როგორ სრულდება ორი წლის წინათ სტამბოლში გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. მოლაპარაკებათა ამ ეტაპზე მოულოდნელად გართულდა გუდაუთის სამხედრო ბაზის გაყვანის პროცესი, რომელსაც ხელს უშლის სეპარატისტული რეჟიმი. დასაზუსტებელია, აგრეთვე, ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების გაყვანის ვადები. როგორც ცნობილია, რუსეთი ითხოვს 14 წელს, ქართული მხარე კი მიიჩნევს, რომ ამ ორი ბაზის გასაყვანად საკმარისია სამი წელი.

### წვრთნა დასრულდა

საწვრთნელი მეცადინეობა „კოოპერატივი-პარტნიორი 2001“, რომელიც 11 ივნისიდან მიმდინარეობდა ფოთში, 22 ივნისს ოფიციალურად დასრულდა. იგი მიმდინარეობდა ნატოს პროგრამის „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ ფარგლებში. როგორც ჟურნალისტებს უთხრა ფოთში წვრთნის დირექტორმა ტიციანო პაპარელამ, ძირითადი მიზანი იყო ნატოს ქვეყნებისა და პარტნიორთა სამხედრო ქვედანაყოფებს შორის შეთანხმებული მოქმედების წარმოება და თანამშრომლობის გაღრმავება, მათ შორის სამხედრო სფეროში, აგრეთვე, ერთობლივი ჰუმანიტარული ოპერაციების მოწყობისადმი ალიანსის წევრი ქვეყნებისა და პარტნიორთა სამხედრო ქვედანაყოფების შესაძლებლობათა დემონსტრაცია.

წვრთნაში მონაწილეობდა მსოფლიოს ათი ქვეყნის ოთხი ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, სხვადასხვა ტიპის ორმოცამდე ხომალდი, ავიაციის საშუალებები, მძიმე სამხედრო ტექნიკა. საქართველო წარმოდგენილი იყო სპეციალური დანიშნულების, სამედიცინო დახმარების, სამხედრო-საზღვაო ძალების ქვედანაყოფებით, აგრეთვე მაშველთა ჯგუფით. წვრთნაში მონაწილეობდა საქართველოს ოთხი კატარღა, სანაპირო დაცვის ორი ხომალდი, ერთი ვერტმფრენი.

### დამთავრდა საქართველო-სომხეთის პოლიტიკური კონსულტაციები

ამ დღეებში დასრულდა საქართველოსა და სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გამართული პოლიტიკური კონსულტაციები. ერევანში საქართველოს დელეგაციას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის მოადგილე მერაბ ანთაძე, ხოლო სომხეთის დელეგაციას – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევონ მკრტჩიანი.

პოლიტიკური კონსულტაციების დროს საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებმა იმსჯელეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძოდ, გაეროში, ეუთოსა და ევროპის საბჭოში თანამშრომლობის კოორდინაციის აუცილებლობა.

### ტოკიო უმასპინძლებს

25-29 ივნისს ტოკიოში გაიმართება აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ერთობლივი გამოფენა სახელწოდებით – „სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო“. გამოფენაში, რომლის ორგანიზატორებიც არიან საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყება და იაპონიის საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობის ორგანიზაცია, მონაწილეობას მიიღებს 52 ქართული კომპანია და ორგანიზაცია.

### ისევ ამერიკელთა დახმარებით

საქართველოს საბაჟო სამსახური რეორგანიზაციისა და მენეჯმენტის შეცვლის პროცესშია. ეს იმან განაპირობა, რომ სამსახურმა თავისი მოვალეობა დამაკმაყოფილებლად ვერ შეასრულა, – ნათქვამია მსოფლიო ბანკის ანგარიშში. ამჟამად არსებული 17 სახმელეთო ტერმინალი შეიცვლება სამი რეგიონული ტერმინალით – თითო ძირითად რაიონებში. ამჟამად საბაჟო სამსახურთან მოქმედებს სასწავლო ცენტრი. იგი წელიწადში 5-6-ჯერ აწყობს კურსებს, რომლებსაც საერთაშორისო საბაჟო ექსპერტები ატარებენ. სერიოზულ ტექნიკურ დახმარებას მუშაობაში საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო სამსახური.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

## გიხაროდენ!

# „მესაზღვრეში“ ბიჭიც დაიბადა

მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი სამშობიარო სახლი „მომავალი მესაზღვრე“ (მასზე ხშირად ვწერთ). იქ დამკვიდრებულია [illegible] ლის გულისხმიერი მომსახურების გამო პაციენტების სიმცირეს არ უჩივიან. ამიტომაც აქ ჩვილთა სიმრავლეა.



სამშობიარო სახლში მისვლისთანავე მთავარი ექიმის მოადგილემ ნატო ქუთათელაძემ მომახარა:

– „მდიდრები“ ვართ. ამ დღეებში ჩვენთან 14 ბავშვი დაიბადა. აქედან 6 ბიჭია და 8 გოგონა.

თეა ვაშაგაშვილს და გიორგი რამიშვილს პირველი შვილი შეეძინათ. მას მიშიკო დაარქვეს. მაია კეთილაძე-ჭყონიასაც პირველი ბიჭი ეყოლა. 22 ივნისს დილას კი სამი ქალი დედა გახდა.

ჩემს იქ ყოფნაშიც დაიბადა ახალი სიცოცხლე. ნინო სანიკიძე-შიოშვილს პირველი შვილი – ვაჟი შეეძინა. ყველა ახალშობილი ჯანმრთელია.

კვლავაც გამრავლებასა და „გამდიდრებას“ ვუსურვებთ ახალგაზრდა ოჯახებს.

**რიტა ჩაკვეტაძე.**

## კალამ-ლექსი

ჩვენი სამშობლო „ფორხია“,
ხულიც არა გვაქვს ჯანმრთელი,
ჩვენთან სტალინი ოსია,
პუტინი კიდევ — ქართველი.

**ჯ. ჩ.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## დღის ანეკდოტი

— ალო! პროკურატურაა?
— არა, მაგრამ შემიძლია, ჩემს ცოლს დავუძახო.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– ვარ სამამულო ომში დაღუპულის ქვრივი. გაზის გადასახადის დროს შეღავათით ვსარგებლობდი, აგენტმა მითხრა გაუქმდაო. გთხოვთ გაგვარკვიოთ, რაშია საქმე.**

**ბ. ბედიძე, თბილისი.**

– კანონით მინიჭებული შეღავათით მოსარგებლე მოქალაქემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია თბილგაზის სამმართველოს კომპიუტერულ ცენტრში (მიცკევიჩის ქ. 18), შემდეგ გაირკვევა ის პერიოდი, როდესაც კანონი ძალაში შევა აღსრულებისათვის.

**ლალი ხუციშვილი,**
თბილგაზის პრესცენტრის ხელმძღვანელი.

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.**

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**
დაბლობში: ღამით +13+18; დღისით +24+29.
მთაში: ღამით +10+15; დღისით +20+25.

**აღმოსავლეთ საქართველოში**
ბარში: ღამით +15+20; დღისით +28+33.
მთაში: ღამით +11+16; დღისით +23+28.

**თბილისში**
ცვალებადი მოღრუბლულობა. ღამით +18+20; დღისით +31+33.

**საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.**

## ლარის კურსი

*23 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 2.9185 | ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9009 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0650 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.7621 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0709 | ლარი. |

## უკანასკნელ საათს



**დიდი** სამამულო ომის დაწყების 60 წლისთავი აღნიშნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში.



**გუშინ** გროზნოში კიდევ ერთი ტერორისტული აქტი მოხდა – ააფეთქეს „ქიგული“, რომელშიც რადიომართვადი მოწყობილობა იყო ჩამონტაჟებული. დაიღუპა ერთი სამხედრო მოსამსახურე და ორი სტუდენტი, დაიჭრა რამდენიმე ადამიანი.

## ინტერპანორამა



**ბულგარეთის** პრეზიდენტმა პეტრე სტოიანოვმა და ბულგარეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელმა სიმეონ II მოლაპარაკებები გამართეს ახალი მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით.



**ფილიპინების** ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს ისლამ სეპარატისტებთან ქვეყნის სამხრეთში. სეპარატისტებმა სამხრეთის ოთხ პროვინციაში ავტონომია მიიღეს.



**ევროპელი** და ამერიკელი დიპლომატები ისრაელის ლიდერებს ხვდებიან ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესის გადასარჩენად.

მოლაპარაკებებში მონაწილეობენ ევროკავშირის წარმომადგენელი ხავიერ სოლანა და აშშ სპეციალური წარგზავნილი უილიამ ბერნსი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 152. შაბათი, 23 ივნისი, 2001 წელი.

**დანიშვნა**

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 15 ივნისი — ქ. თბილისი

**ა. ნიკოლეიშვილის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დამტკიცების შესახებ**

დამტკიცდეს ავთანდილ ნიკოლეიშვილი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად.

ე. შევარდნაძე.

**პარლამენტის თავმჯდომარე**

# ვიზიტად ბრიუსელში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია 26-27 ივნისს ბრიუსელში ევროპარლამენტის მიწვევით სამუშაო ვიზიტად გაემგზავრება. ვიზიტის პროგრამის მიხედვით, ზურაბ ჟვანია და საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრები შეხვედრებს გამართავენ ევროკავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან ერთიანი საგარეო უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანასთან, ევროკომისართან საგარეო უსაფრთხოების საკითხებში კრისტოფერ პატენთან, ევროპარლამენტის ხელმძღვანელებთან და ფრაქციების წარმომადგენლებთან. გათვალისწინებულია, აგრეთვე, შეხვედრები ნატოს გენერალურ მდივანთან ჯორჯ რობერტსონთან, ბელგიის სენატის თავმჯდომარესთან არმანდ დე დეკერთან, ბელგიის პარლამენტის წარმომადგენლობითი პალატის თავმჯდომარესთან პერმან დე კრიუსთან.

საქინფორმი.

**რეპლიკა**

# ლეიბორისტებო, დააწყნარეთ ნათელაშვილი!

(პირველი გვერდიდან)

ასე თუ ისე, ჟურნალისტიკას მიტმასნილი ეს „სკანდალური“ პერსონები მაინც ასატანია, მაგრამ... აი, გამობრძმედილი პოლიტიკოსი რომ ერთი (ორი, სამი) საათი სულმოუთქმელად ლაპარაკობს და ჭურში მჯდომი კაცის, დაუნახავი კაცის, ყველას და ყველაფრის მონიორწყლებელი კაცის პოზიციას აფიქსირებს, სულ სხვა პათოლოგიურ განზომილებასთან გვაქვს საქმე. 21 ივნისს, ღამის „კურიერში“ რაც შალვა ნათელაშვილმა ქვეყნის ხელმძღვანელობას პირდაპირი დამიზნებით აგინა, ამას თავმოყვარე კაცი არ იკადრებს. საკუთარი თავი რომ არ უყვარს, გასაგებია (სამაგიეროდ, სტრასბურგულ სამართალზე გიჟდება, ბინა გაუყიდია და ისე წასულა ევროპაში. დარჩენილი მიზერული თანხით კი ცოლშვილისთვის სხვისი ბინა დაუგირავებია!), მაგრამ ჩვენ რას გვერჩის, თავის კარგა ხნის წინათ გაკოტრებულ პოლიტიკურ მოსაზრებებს რომ გვახვევს თავს?

ისე, როცა შალიკო „ზარიაეს“, ტელეწამყვანს და მსმენელ-მაყურებელს შეეძლია ბევრი იცინოს, ხანაც იტიროს, ანდა, ამიქნარის მაინც... „სწრაფმრბოლელი“ შალვა არავის აცლის ლაპარაკს, შეკითხვის დასმასაც კი ვერ მოახერხებ... მაინც, სად ეჩქარება ასე? ალბათ, არ სმენია ძველისძველი სიბრძნე – რაც მეტს ილაპარაკებ, მით უფრო მეტ სისულელეს იტყვი.

ცხოვრება სცენააო, დიდი მწერალი შეაწუხა ბოლოს შალვა ნათელაშვილმა, ვინც როგორ თამაშობს, ისე აფასებენო. ჩვენი მთავრობა საზიზღრად თამაშობს და ხალხი ამას ხედავსო.

კი მაგრამ, შენს თამაშსაც რომ ვხედავთ, ლეიბორისტების დაუდეგარო ლიდერო! არა მგონია, ვინც ამ თამაშს გიწონებს, შენი მეგობარი იყოს. გატყუებენ, შალვა, დაწყნარდი, ცოტა მაინც დაოკდი, ღმერთი არა გწამს?

სხვათა შორის, ასე მწარედ იმიტომ ვწერ, რომ ამხელა ნიჭის ასე „ცარიელზე“ ფლანგვა ძალიან მენანება.

სპარტაკ ძოგულია.

**კონტაქტები**

# გადამხდელთა კავშირი – მსოფლიო ორბიტაზე

ახლახან აშშ-ის მისურის შტატის ქ. სენტ-ლუისში გაიმართა მსოფლიოს გადამხდელთა ასოციაციის ყოველწლიური ფორუმი, სადაც განიხილეს საქართველოს გადამხდელთა კავშირისათვის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მინიჭების საკითხი, რასაც ერთხმად დაუჭირა მხარი 40 ქვეყნის დაახლოებით 70 წარმომადგენელმა.

რა მნიშვნელობა აქვს ამას ქართველი გადამხდელებისთვის?

როგორც გადამხდელთა კავშირის გენერალურმა მენეჯერმა ბექა ოდიშარიამ გვითხრა, ეს გახლავთ ძალიან გავლენიანი ორგანიზაცია და მისი წევრობა ქვეყნის გადამხდელებს განუმტკიცებს ნდობის ფაქტორს და გაუადვილებს საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევას. ეს დიდად დაეხმარებათ კოლოსალური გამოცდილების მიღებაში გადასახადების სამყაროში. ფორუმზე ინტერესით მოისმინეს საქართველოს პრეზიდენტის მისალმება მსოფლიო ორგანიზაციის წევრებისა და პრეზიდიუმისადმი. ორგანიზაციის პრეზიდენტმა ბიორნ ტარასეალდერმა მადლობა გადაუხადა საქართველოს გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარეს ნიკო ლეკიშვილს ასეთი მძლავრი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და გადასახადების სფეროს მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული ზრუნვისათვის.

ასევე შედგა შეხვედრა ევროპის ანალოგიური სტრუქტურის პრეზიდენტთან ბატონ მაიკლ ჯაგერთან, სადაც გადაწყდა ქართველი გადამხდელების გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში, რაც იურიდიულად გაფორმდება ოქტომბერში ევროპულ ფორუმზე.

ლალი ძინძლაძე.



**გუშინ**

# რეფორმატორები მაღალ შეფასებას იმსახურებენ

იუსტიციის სამინისტროს დღეს ქვეყნის წინაშე გაცილებით ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა აკისრია, ვიდრე ეს, გარედან დამკვირვებლის თვალს შეიძლება მოეჩვენოს.

სწორედ ამ თვალსაზრისით, ჩვენში მიმდინარე გარდაქმნების ფონზე, იუსტიციის ახალგაზრდა მინისტრის მიხეილ სააკაშვილის და მისი რეფორმისტულად მოაზროვნე ახალგაზრდული გუნდის დიდი დამსახურებაა სისტემაში დაწყებული ის ძირეული გარდაქმნები, რაც აქ უკვე ქვეყნის სასიკეთოდ განხორციელდა.

წლის დასაწყისიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შეფასება და მათ წინაშე მდგომ სამომავლო ამოცანებს მიეძღვნა, გუშინ, სამინისტროში სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილი შეხვედრა, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე და პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძე ესწრებოდნენ.

ღონისძიების დასასრულს სიტყვით გამოსულმა გია არსენიშვილმა და ნუგზარ საჯაიამ მინისტრისა და მისი გუნდის მიერ გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

ბატონმა ნუგზარ საჯაიამ კი საბჭოს, უპირველესად – ქვეყნის პრეზიდენტის სახელით მათ ყოველმხრივი ხელშეწყობა აღუთქვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელ მასალას ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

**კანონმდებლები**

# პარლამენტის პლენარული სხდომა

(პირველი გვერდიდან)

სწორედ აქედან გამომდინარე, პროექტის წარმომდგენი ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, საჭირო გახდა ამ კანონპროექტის შემუშავება, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა საეჭვო კინო, ვიდეო-ტელეფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის, ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს მოხმარება-გასაღებით და, აგრეთვე, აზარტულ თამაშობებში მონაწილეობით გამოწვეული შესაძლო მავნე ზეგავლენისაგან.

ასევე პირველი მოსმენით განიხილეს „საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და „წიაღის შესახებ“ კანონებში შესატანი ცვლილებები და დამატებები.

პარლამენტის საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ბრიუსელში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტის შესახებ პარლამენტარებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა. მან განაცხადა, რომ ბრიუსელში გაიმართა საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა. ევროპარლამენტის წარმომადგენლებმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მიმართ დიდი დაინტერესება გამოხატეს. თანამშრომლობის კომიტეტის მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მხარდაჭერა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში, გამოითქვა კონკრეტული რეკომენდაციები. ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი იყო კიდევ ერთი,



მეტად მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოსა და ევროპარლამენტის ურთიერთობაში, რაც, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების საკითხში სერიოზულ პერსპექტივას სახავს.

პარლამენტმა დღევანდელ სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერების და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტს დაევალა სამი თვის ვადაში, სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს კანონპროექტი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის შემუშავების მიზნით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაშიც პარლამენტარებთან ერთად საზოგადოების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. შესვენების შემდეგ, პარლამენტარებმა კენჭი უყარეს განხილულ საკითხებს. პირველი მოსმენით მიიღეს კანონპროექტები: „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შესახებ“; „შესაძლო მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ და „წიაღის შესახებ“.

მესამე და საბოლოო მოსმენით მიიღეს კანონპროექტი „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ და „მუზეუმების შესახებ“. ამით საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიამ მუშაობა დაასრულა.

საქინფორმი.

# არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი თანამდებობა, რომლის გამოც ღირდეს დესტაბილიზაცია და სამოქალაქო ომი

(პირველი გვერდიდან)

დღეისათვის სხვა ვითარებაა. როცა შერიგებაზეა საუბარი, როცა საუბარია უკვე მომხდარის სხვა თვალით გაანალიზებაზე.

**– მოგეხსენებათ, გამსახურდიას ბედთან ათასობით ადამიანი იყო დაკავშირებული. პარლამენტარ კოტე კემულარიას აზრით, ეს საქმე სასამართლომდეც უნდა მივიდეს.**

– ასეც უნდა მოხდეს. ეს ხომ რეალობაა. ჩვენ ერთი რაღაც კარგად უნდა გავიაზროთ – რა მოხდა, როგორ მოხდა. რაც მოხდა, იმის გამეორება უნდა გამოირიცხოს. ვერსად ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების შეცვლა ძალისმიერი მეთოდებით მოხდა, იძულებითი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

**– პარლამენტის ეს დადგენილება, ალბათ, ბევრს არ მოეწონება.**

– მოეწონება თუ არ მოეწონება, მთავარია, საზოგადოებას რეალური სურათი დავანახოთ და ამ თემით სპეკულირება შევწყვიტოთ.

**– ბატონო ნიკო, ამ ყველაფერმა შესაძლოა ზოგიერთი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხიც ამოატივტივოს...**

– ეს უკვე პროკურატურის საქმეა. ყველა შემთხვევაში, პარლამენტის ეს დადგენილება საზოგადოების გამთლიანების თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია. ობიექტურად უნდა შევხედოთ ამ პროცესებს და საზოგადოებას დავანახოთ, რომ მომავალზე ფიქრია საჭირო. ყველაფრის თავი და თავი ის არის, რომ ჩვენ უბრალოდ, ერთმანეთთან ლაპარაკის კულტურა არ გაგვაჩნია. არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი თანამდებობა, რომლის გამოც ღირდეს დესტაბილიზაცია და სამოქალაქო ომი.

**– და მაინც, თქვენი აზრით, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?**

– ვნახოთ, იმედი მაქვს, რომ გადაწყვეტილება ობიექტური იქნება.

ესაუბრა
მზია გელენავა.

# ოთხმხრივი შეხვედრა ჭუბურხინჯში

21 ივნისს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გაიმართა ოთხმხრივი სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ჯარების მთავარი სამხედრო მეთვალყურე ნიკოლოზ სიდორიჩევი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურის ანის ბაჯვას მოადგილე მარიო, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ზონის მეთაურები, ქართული და აფხაზური მხარის წარმომადგენლები, სხვა ოფიციალური პირები.

შეხვედრაზე ნიკოლოზ სიდორიჩევმა განაცხადა, რომ ფოთში წვრთნების დროს დაირღვა როგორც სასაზღვრო-საზღვაო, ასევე საჰაერო ზოლი. კერძოდ, აღინიშნა, რომ ჯავშანტრანსპორტიორებმა რამდენიმე კილომეტრით გადალახეს ზოლი, ასევე ვერტმფრენებმა დაარღვიეს საჰაერო ზოლი. მისი განცხადება უპასუხოდ არ დარჩენილა. გაეროს მისიის წარმომადგენელმა მარიომ განაცხადა, რომ ეს ფაქტი მათ განიხილეს, შეისწავლეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იგი რაიმე განზრახვით არ გაკეთებულა. იგივე აზრი დაადასტურა საქართველოს მთავარმა სამხედრო მეთვალყურემ დავით ზურაბაშვილმა.

# ახალი სარკინიგზო ხაზი

დღეს გაიხსნება რკინიგზის ახალი 5-კილომეტრიანი ხაზი „მარელისი-ხარაგაული“, – განუცხადა „იფრინდას“ შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ.

„მარელისი-ხარაგაული“ ამ მონაკვეთზე მეორე ხაზი იქნება, რაც ორივე მიმართულებით მატარებლების უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს. ორივე ხაზი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

ხაზის მშენებლობისათვის საჭირო სახსრები „საქართველოს რკინიგზამ“ გაიღო.

# სათნოების სახლი ძალისში

ახლახან მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში უმწეოთა და მოხუცთათვის სათნოების სახლი გაიხსნა. ამ კეთილშობილური საქმის ინიციატორები არიან ძალისის მკვიდრი დედაშვილი – რუსუდან და ტატიანა ბაგრატიონ-მუხრანელები.

ახლადგახსნილ სათნოების სახლს, რომელიც განთავსებულია სოფლის ყოფილი სასადილოს შენობაში, უკვე 200-მდე წევრი ჰყავს. აქ ყოველდღიურად 50 კაცი მონაცვლეობით იღებს ულუფას. გარდა ამისა, სათნოების სახლში ფუნქციონირებს უფასო სამედიცინო პუნქტი და საპარიკმახერო. მომავალში ხელგარჯილობის ოთახის გახსნასაც გეგმავენ. სათნოების სახლს დახმარებას უწევს თბილისის სათნოების სახლი „კათარზისი“ და მისი დირექტორი ზაურ ალადაშვილი. ახლად გახსნილი თავშესაფარი ეძებს სპონსორებს და წინასწარ უხდის მათ მადლობას.

ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა და იფრინდამ.

**პანკისი**

# „ფუძეს ნუ მოუშლით ძმობისას!“

(პირველი გვერდიდან)

იჯდა ორი გოლიათი, სიყვარულით შესცქეროდა ერთმანეთს და მოგონებებით იქარვებდა დაუპატიჟებელი წლებით მოძალებულ სევდას...

ჯერ ანზორ კიკნაძე წავიდა ამ წუთისოფლიდან, მერე ჟორა მაჩალიკაშვილი...

აღარც ძია ლადა არის ცოცხალთა შორის, ძია ლადა, ვინც მაშინ ის მშვენიერი, მართლაც დაუვიწყარი საღამო გვაჩუქა...

მაგრამ, სამწუხაროდ, აღარც ის ძველი გულითადობა ჩანს სადმე, მაშინ სამი ქართველი და ორი ქისტი ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით რომ უფრთხილდებოდა...

აღარც ეს გზაა მთლად მშვიდი და უხიფათო.

ამ გზით ბევრი ქართველი თუ უცხოელი შეუყვანიათ პანკისის ხეობაში, მაგრამ არა სამოყვროდ და სამეგობროდ...

განუკითხაობამ, უსინდისობამ და ბოროტებამ ლაგამი აიმვა.

ვინ არის ამაში დამნაშავე – ქართველი თუ ქისტი? ბევრი, მათ შორის მეც, დიდი ხანია, პასუხს ვეძებთ. თითქოს ვიპოვეთ კიდეც – არეული ცხოვრება.

მაგრამ განა ცხოვრება იმისთვის აირია, ერთ უბედურებას მეორეც მივუმატოთ? მეორე მსოფლიო ომის დროს ქისტებსაც დაუპირეს გასახლება, მაგრამ აქაური ქართველები ფარივით დაუდგნენ, ესენი ჩვენი ძმები არიან, არაფერს ამავებენ და ხელი არ ახლოთო.

ხელისუფლებამ ამ შუამდგომლობას ანგარიში გაუწია.

ქისტებს ეს სიკეთე დღესაც ახსოვთ.

მაგრამ, თურმე, მარტოოდენ ხსოვნა ჩალის ფასია – ერთგულება და სიყვარული დროდადრო უნდა გაანედლო, თორემ, ნაგოლევ მიწასავით გამოშრება...

დღეს მომრავლებული უკეთურობის გამო ხშირად თითს ქისტებისკენ იშვერენ. ეტყობა, მავანსა და მავანს ეს ხელს აძლევს.

ჰოდა, მაინტერესებს, რას ფიქრობენ პანკისელი ქართველები და ქისტები. სად გადის ზღვარი სიმართლესა და სიცრუეს შორის?

**2. „მგელს მგლობას აბრალებდნენ...“**

**თითქმის** სამი საუკუნეა, რაც ჩრდილოეთიდან გადმოსული ქისტები აქ დაესახლნენ. კავკასიისა და კახეთის ქედებს შორის მოქცეულ ამ ვიწრო ხეობში, სადაც თავის შეურყეველ ტალღებს მოაგორებს კახეთის დედამდინარე ალაზანი, რამდენიმე ქისტური სოფელია – დუისი, ჯოყოლო, ომალო, ძიბახევი... ქისტები ისტორიული სამშობლოდან გაჭირვებამ აჰყარა და აქ, ფშაველების, თუშებისა და კახების გვერდით დაასახლა. მათ თავიანთი ადათ-წესებიც შეინახეს და ქართველებისგანაც ბევრი რამ გადაიღეს. ქართული ენა ხომ ისწავლეს და ისწავლეს! კაი-კაი თანამდებობებზეც მუშაობდნენ.

ერთი სიტყვით, პანკისის მკვიდრთა ურთიერთობა ბარე ორს გამოადგებოდა ნიმუშად.

მაგრამ ეს თითქოს გუშინ იყო. თითქოს ამ ხეობის მცხოვრები ქართველებიც და ქისტებიც სულ სხვა სამყაროდან მოეიდნენ, არც არაფერი სმენიათ ერთმანეთზე და არც არაფერი აკავშირებთ...

ვითომ, მართლა ასე მოკლეა მახსოვრობის ძაფი?

აქაურ მწერალსა და ჟურნალისტს ვალერიან ჩეკურიშვილს აქვს მოთხრობათა მშვენიერი ციკლი „ჩემი მეგობარი ქისტები“, შეიძლება ითქვას, რომ ხალხთა შორის მეგობრობის მარადიულ თემას ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ნაღდი გვირგვინი ვალერიან ჩეკურიშვილმა დაადგა. მოთხრობები: „კარნახი“, „ბედის წყარო“, „ფუღიკა“, „ბედისწერა“, „სანაძალეო“, „ბებერი მსაჯები“, „ანდერძი“, „გალაღებული სტუმარი“ შორიდან მოყურადე ადამიანის ნაუბარი როდია. მწერალი თავისი გმირების გვერდით ცხოვრობდა და მათთან ერთად აკვირდებოდა გამოცანებით სავსე წუთისოფელს. დანარჩენა უკვე მწერლურ ალღოსა და ნიჭზე იყო დამოკიდებული.

თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა „გალაღებულმა სტუმარმა“, რომელიც გრობზნოში ჩეჩნურადაც გადათარგმნეს.

„ – ჰეიიი, ფშაველებოო! აიტანეთ ერთი გადარეული ქისტის სითამამე, ძმობილის ქორწილში ვარ, ჭკვიანად რა გამაჩერებს!

გული ერჩოდა, სიხარულით ყელამდე იყო სავსე და სიმღერებით ცდილობდა გულის მოოხებას. ფშაველები ხასიათსაც უწყობდნენ და ხმასაც, ხელიხელგადახვეულები მღეროდნენ: „ძმობილს ენაცვლოს ძმობილი, რომ გამომიშვა შინაო, მე აქ, ქორწილში ვქეიფობ, იმას თეოზე სძინავო“.

„ის ერთი ქისტი იყო და ფშავლებისა მთელი ქორწილი“.

რატომ მოვიტანე აქ ამხელა ამონარიდი? ახლავე გეტყვით:

დუისში, ასწლოვანი ცაცხვის ხეებთან მანქანა შევაჩერეთ. ორი ხანდაზმული ქისტი ერთმანეთში საუბრობდა.

– გამარჯობათ! – ვამბობთ ჩვენ.

– ღმერთმა გაგიმარჯოთ! – გვპასუხობენ ისინი.

ჩაიჩოჩეს და გრძელ სკამზე ადგილი დამითმეს.

ჩემს სახელსა და გვარს ვეუბნები.

– ვისერგი გაურგაშვილი!

– ბისოლთ მაჩალიკაშვილი! – არც ისინი აყოვნებენ.

– ჟორა მაჩალიკაშვილი რა იყო თქვენი?

– ბიძა.

– კარგი ვაჟკაცი იყო, ნათელი დაადგეს.

ქისტს აშკარად ეამა ნათესავის ქება, სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

მაგრამ მე სხვა, უფრო მწვავე შეკითხვაც მაქვს.

– მოგწონთ, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება? ამდენი ქურდობა, ყაჩაღობა, კაცის კვლა, ნარკომანია... ხშირად თქვენზე ათითებენ. რას შეტყვით?

**ვისერგი გაურგაშვილი:** – „მგელს მგლობას აბრალებდნენ, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო“. იქნებ ჩვენცა გვყავს ღვთის პირიდან გადავარდნილები, მაგრამ სხვებიც რომ არიან? მწყემსი ვიყავი, მეცხვარე. ჩემი დღე და მოსწრება თუშებთან გავატარე. ვმეგობრობდით, ერთმანეთში მივდი-მოვდიოდით, ჭირსა და ლხინს ვიყოფდით... ახლა? იმ უკუღმართი, ბოროტი და ბილწი ხალხის წყალობით, ოჯახებს რომ აწიოკებენ და სარჩო-საბადებელს სტაცებენ, სირცხვილით სოფლიდან ველარ გავდივარ, ჩემი მეგობარმოკეთე თუშების საცხოვრისის გზა დამავიწყდა...

**ბისოლთ მაჩალიკაშვილი:** – მაშ, კაცო, მეგობრობა, მისვლამოსვლა დაგვავიწყეს. ერთმანეთს ეჭვით ვუყურებთ, გულში რაიმე უკეთური ხომ არ უდევთო...

და მეხსიერებაში ისევ ამოტივტივდა „წყაროებში“ ორ ქისტ მეგობართან გატარებული დაუვიწყარი საღამო...

ქისტებთან წამოწყებულ საუბარს მერე საკობიანოში და ყვარელწყალში გავაგრძელებთ. იქაც ანალოგიური წუხილი, შეშფოთება გამოუცნობი მომავლის გამო...



ელგუჯა ლებანიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
ახმეტა.

**გამარჯობათ!**

# ჯიბის პროკურატურა თავად ქვეყანას არა სჭირდება

(პირველი გვერდიდან)

სამწუხაროდ, ამაო გამოდგა ყველა ცდა ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილისა. იგი მაინც წავიდა, წავიდა თავისი მოადგილეებით. შეიძლება ეს ჩვეულებრივ ამბად ჩავთვალოთ. შვიდი წელიწადი იმუშავა ესოდენ მაღალ პოსტზე და, ვთქვათ, საკუთარი განცხადებით წავიდა. მაგრამ აქ სხვა რამაა უჩვეულო. ამდენი ძახილით, ამდენი კივილით პროკურატურას ლამის შეუქმნეს კორუმპირებული, კედლებმომპალი სტრუქტურის იმიჯი. ყოველ შემთხვევაში, ამით მიზანს მთლად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს.

მოვიდა ახალი გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი და... სწორედ ახლა გამომჟღავნდა ზოგიერთი რეფორმატორის ზრახვები. აინტერესებთ არა იმდენად პროკურატურის გარდაქმნა, რამდენადაც მთელი ამ სტრუქტურის ხელში ჩაგდება, საკუთარი პოლიტიკური მეკვეთების განაღდება. 21 ივნისს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ბატონ გია მეფარიშვილის მიწვევა და იქ მართლაც პოლიტიკური სპექტაკლის დადგმა ამის აშკარა დადასტურებაა.

საკითხავია, ნუთუ მეტი საქმე არა აქვთ პარლამენტარებს, უპირველესად კი, იურიდიული კომიტეტის წევრებს? ნუთუ ორი მუშაკის დანიშვნა-არდანიშვნა წყვეტს მთელი პროკურატურის, თუნდაც გენერალური პროკურორის ბედს? ტყუილ-უბრალოდ რადა ვჯიჯგნით ან პროკურატურას ან მოსახლეობას? თვით ოპოზიციის განცხადებითაც კი, აპელირება ხდება თითიდან გამოწოვილ საკითხებზე. ბრძოლას პერსონალური ხასიათი აქვს და იგი მიმართულია კონკრეტულად ბატონ გია მეფარიშვილის წინააღმდეგ.

და მე მგონი, ეს გენერალურმა პროკურორმა თავადაც დაადასტურა, როცა ხმამაღლა განაცხადა: მე არ ვიქნები ჯიბის გენპროკურორი. და იქვე ისიც დაამატა: არ დავუშვებ პროკურატურის ლანძღვას. ჩემს უკან 1300 კაცი და მათი ოჯახები დგას. თუ ასეთი ლანძღვა იქნება, ვალდებული ვარ ეს არ დავუშვა!

როგორც ზემოთ ვთქვი, თავის დროზე ბატონი ჯამლეთ ბაბილამშვილიც ეცადა მოზღვავებული ტალღის შეკავებას, მაგრამ რეფორმატორებმა მაინც თავისი გაიტანეს. იმედია, „ეშმაკის ბორბალი“ ხელახლა აღარ დატრიალდება, რადგანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თვით ბატონ გია მეფარიშვილის აზრით, ყველაფერი მოხდა არა საქვეყნო ინტერესების, არამედ უმრავლესობის ზოგიერთი წევრის ამბიციების გამო.

არც ის მიმაჩნია სწორად, თითქოს გენერალური პროკურორი ოპოზიციამ „გადაარჩინა“, თითქოს უმრავლესობის გეგმები ოპოზიციამ ჩაშალა, თითქოს უმრავლესობა გენერალურ პროკურორს იმიტომ შეურიგდა, რომ იქ მომავალ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დაძაბული პოლიტიკური სიტუაციაა. რად გვინდა ამდენი ჯანჯალი? უბრალოდ ვაღიაროთ, რომ გაიმარჯვა საღმა აზრმა. მორჩა და გათავდა!

მორიგე რედაქტორი.

**თვალსაზრისი**

# ეგებ, ნოდარ ჭითანავა დავნიშნოთ!

ამ წერილის დაწერისკენ გვიბიძგა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჯერ კიდევ გასული წლის იანვარში გამოქვეყნებულმა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ ჭითანავას წერილმა „საქართველოს ახალი ფუნქცია და საპრეზიდენტო არჩევნები, ანუ ზოგიერთი რამ, რაც მომავალ პრეზიდენტს უნდა ვთხოვოთ“.

ამ პუბლიკაციაში მეცნიერულად არის გაანალიზებული ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, დასაბუთებული და განმარტებულია ღონისძიებანი, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა ესოდენ მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან. ეს არის სერიოზული მეცნიერული ნაშრომი, რომელიც გამსჭვალულია ქართული ბუნებისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ახალი მინისტრთა კაბინეტის სახელმძღვანელო პროგრამა ერთი წლის წინათ შემოგვთავაზა ბატონმა ნოდარ ჭითანავამ. ბატონი პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელი ეტაპისათვის მინისტრთა კაბინეტის შემოღების საჭიროება, საზოგადოებამ დადებითად მიიღო, ხოლო, ჩვენთვის მოულოდნელად და სამწუხაროდ, პარლამენტში აშკარად სხვა სურათის მოწმენი გავხდით. საქმისათვის საჭირო გადაწყვეტილების მიღების პერსპექტივა, ასევე მისი განხორციელებელიც ჯერჯერობით არ ჩანს... აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, რომ ბატონმა პრეზიდენტმა, როგორც ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფალმა, ეს პოსტი შესთავაზოს მდიდარი გამოცდილების, მაღალი კვალიფიკაციის, კარგი საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე მოღვაწეს ბატონ ნოდარ ჭითანავას.

ბატონ ნოდარ ჭითანავას ხსენებულ პუბლიკაციაში მოცემული შეფასებები და დასკვნები არის ის საბაზისო პროგრამა, რომელმაც უნდა გამოიყვანოს ქვეყანა მძიმე ეკონომიკური და სოციალური ყოფიდან და, ამდენად, აღნიშნული პროგრამის ავტორის ხილვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველმხრივ გამართლებულია. მიზანშეწონილი იქნებოდა, აგრეთვე, უნივერსიტეტებს, მეცნიერებათა აკადემიას, სხვა დარგობრივ აკადემიებსაც, რიგით ქართველებსაც გამოეთქვათ თავიანთი აზრი და შეხედულება ამ საკითხზე.

**ისიდორე (მამულო) ჯანელიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; დავით ლეკვეიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ზურაბ მიქაბერიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ზიზა ზვენაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

**სიტუაცია**

# სხდომა გადაიდო თუ სპექტაკლი ჩაიშალა?

**საქართველოს გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის მოსალოდნელ იმპიჩმენტზე ბოლო დროს ატეხილი აჟიოტაჟის ლოგიკური გაგრძელება იყო პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომა, რომელმაც მოაწყო გენერალური პროკურორის მოსმენა მის მიერ ახალი კადრების დანიშვნით პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის დარღვევის გამო.**

საკითხის განხილვა გაიმართა მოქალაქეთა კავშირის დეპუტატთა ერთი ჯგუფის, მათ შორის კობა დავითაშვილის მოთხოვნით. მიიჩნიეს, რომ გენერალურმა პროკურორმა თანამშრომლების მიღების დროს დაარღვია კანონი და თანამდებობაზე დანიშნა სტაჟირებაგაუვლელი კადრები, რითაც გაიმეორა ყოფილი გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის შეცდომები.

ამ ბრალდებიდან გამომდინარე, კომიტეტის წევრებიც და სხდომაზე მოწვეულებიც მსჯელობის მკაცრი რეგლამენტით წარმართვას ელოდნენ, მაგრამ ეს მოლოდინი კომიტეტის თავმჯდომარემ თავიდანვე გააქარწყლა. მან განაცხადა, რომ საუბარი იმპიჩმენტსა და სხვა რაიმე მკაცრ წინადადებებზე გამორიცხული იქნებოდა.

ამან სხდომის მონაწილეთა ერთი ჯგუფის აღშფოთება, ხოლო მეორე ჯგუფის გაკვირვება გამოიწვია. თუ ასეა, რას ვერჩოდით „ძველს“, და მეორეც, ვის დასჭირდა, რომ „ახალი“ სხდომის წინაშე „დატუქსული ბავშვივით“ წარმდგარიყო.

საკითხის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელმა ვასილ მაღლაფერიძემ წარმოდგენილ დასკვნაში სცადა გია მეფარიშვილის მიერ კანონის დარღვევის დადასტურება, ამის გამო ოპონენტმა დეპუტატებმა თავიდანვე განაცხადეს: არ იყო გამორიცხული, რომ ამ დასკვნაში მას შეიძლება უზუსტობა დაეშვა, როგორც პროფესიით ლიტერატორს.

სხდომაზე ძირითადი ყურადღება მაინც გენერალური პროკურორის გამოსვლას დაეთმო. მან კონკრეტულად განმარტა საქმის არსი, კერძოდ, ნელი ნადირაშვილის და ნატო ლომთათიძის დანიშვნა ეხებოდა ისეთ თანამდებობებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვს არც საპროკურატურო ზედამხედველობასთან და არც საპროკურატურო პასუხისმგებლობის ნორმებთან. ერთ თანამშრომელს დაევალა მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, მეორეს – თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება.

რაც შეეხება მათ შემდგომ სამსახურებრივ გადაადგილებას, – აღნიშნა გია მეფარიშვილმა, – ისინი გაფორმდნენ სტაჟიორებად და განყოფილებათა ხელმძღვანელების მოვალეობის შემსრულებლებად. სხვათა შორის, – თქვა მან, - სტაჟირების ვადა ორ წლამდე იგულისხმება. ამ ვადაში გენერალურ პროკურორს, ვფიქრობ, უნდა ჰქონდეს იმის უფლება, გადაწყვიტოს კადრების დანიშვნა არა დაწესებული ვადის გავლის მიხედვით, არამედ მათი ნიჭის, უნარის და პასუხისმგებლობის გამოვლენის მიხედვით.

მონაწილეებიდან ვერავინ ვერ შეძლო იმის უარყოფა, რომ გენერალური პროკურორის მიერ მიღებული კადრები არ იმსახურებდნენ ამას. პირიქით, ისინი დაახასიათეს, როგორც მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და ღირსეული პიროვნებები.

ყოველივე ამან კიდევ უფრო რეზონანსული გახადა ის ეჭვი, რომელიც კომიტეტის სხდომის დასაწყისშივე გაჩნდა. ვიღაც იყო დაინტერესებული გენერალური პროკურორის მოქმედების გამო აჟიოტაჟის ატეხვით. ამიტომ სხდომამ მუშაობა ველარ განაგრძო. დეპუტატთა ერთი ნაწილის განცხადებით, „სპექტაკლი ჩაიშალა“.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა — სახელმწიფო
№ 152. შაბათი, 23 ივნისი, 2001 წელი.

## პრობლემა

# ფალსიფიკაცია ჩვენი დაუძინებელი მტერია

(პირველი გვერდიდან)

სამსახურის განსაკუთრებული ყურადღების საგანია ფალსიფიცირებული და არასტანდარტული პროდუქციისაგან სასაქონლო ბაზრებისა და შესაბამისად ხარისხსა და უსაფრთხოებაზე მომხმარებელთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების, აგრეთვე, მეწარმეთა შორის კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვა როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე.

ქვეყნის შიდა ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული, არასერტიფიცირებული, ვადაგასული და სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებით დამზადებული როგორც შიდა წარმოების, ასევე იმპორტირებული სასურსათო პროდუქციით. ასეთ პროდუქტებს არა აქვს ქართულენოვანი ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს პროდუქციის სტანდარტის დასახელებას, საქონლის სამომხმარებლო თვისებების ჩამონათვალს, პროდუქტის შემადგენლობას, შენახვისა და მოხმარების პირობებს და ა. შ. აქედან გამომდინარე, ქართველი მომხმარებელი სრულიად დაუცველი და არაინფორმირებულია მის მიერ შეძენილი იმპორტული პროდუქტის შემადგენლობასა და თვისებებზე. ამის გამო აუცილებლად მიგვაჩნია, დაკანონდეს მოთხოვნა იმპორტირებულ პროდუქციაზე მომხმარებელთათვის ქართულენოვანი ინფორმაციის მიწოდების შესახებ. შესაბამის საკანონმდებლო აქტებში შევიდა ცვლილება, რათა აიკრძალოს იმ საკვები პროდუქტების იმპორტირება, რომელსაც არ ექნება ქართულენოვანი ინფორმაცია. თუკი ასეთი პროდუქცია მაინც გამოჩნდება საცალო ქსელში, ეს ავტომატურად მიანიშნებს პროდუქციის კონტრაბანდულ ხასიათზე, რაც მუშაობას გაუადვილებს შესაბამის სამსახურებს.

იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში აკრედიტებულია მომსახურებისა და პროდუქციის სერტიფიცირების ათეულობით ორგანო, რომელთა უმრავლესობა (სამ ათეულამდე) სპეციალიზებულია კვების პროდუქტებზე, არცთუ იშვიათია დაუსაბუთებლად გაცემული ან ყალბი სერტიფიკატებით პროდუქციის რეალიზების ფაქტები, რის თაობაზეც სამსახური და მისი ტერიტორიული ქვედანაყოფები ახდენენ შესაბამის რეაგირებას.

ცალკე საკითხია ქართული პროდუქციის ფალსიფიცირებასთან დაკავშირებული პრობლემები როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე. განსაკუთრებით აქტუალურია ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების ფალსიფიცირებისა და სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენებით წარმოებისა და რეალიზების პრობლემები, რაც სახელს უტეხს ქართულ ნაწარმს, წარმოადგენს პროდუქციის ექსპორტის ზრდის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს როგორც კონკრეტულ მომხმარებელს, ასევე კეთილსინდისიერ მეწარმეს, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკას.

ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზება ძირითადად ხდება სხვისი სასაქონლო ნიშნების უკანონოდ გამოყენებით, რასაც ანტიმონოპოლიური სამსახური და მისი რეგიონული ქვედანაყოფები რეგულარულად ავლენენ. ამის თაობაზე ვადგენთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, ვაჯარიმებთ, ვაჩერებთ რეალიზაციას, ზოგიერთ ფაქტზე აღვძრავთ სისხლის სამართლის საქმეს.

რთული ვითარებაა ქართული სამარკო ღვინოების ფალსიფიცირებასთან დაკავშირებით. პრობლემის მოგვარებას ხელს უშლის ისიც, რომ დღემდე დამტკიცებული არ არის კონტროლირებადი დასახელების ღვინოების ატესტაციის, წარმოებისა და ხარისხის კონტროლის წესი, არ არის განსაზღვრული ქართული ღვინოების სერტიფიცირების წარმომადგენლობითი ორგანო, შესაბამისი წესი და პროცედურა, რაც, ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

განსაკუთრებით აქტუალურია ქართული პროდუქციის ფალსიფიცირებისგან დაცვა დსთ ქვეყნებში, სადაც, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დღემდე აქტიურად ხდება ქართული სამარკო ღვინოებისა და მინერალური წყლის „ბორჯომის" უკანონო წარმოება და რეალიზაცია.

ამ პრობლემის გადასაჭრელად ხორციელდება ღონისძიებები დსთ ქვეყნებს შორის შეთანხმებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფარგლებში. ამის შედეგად აღიკვეთა არაერთი ფირმის უკანონო საქმიანობა ყაზახეთში, რუსეთში, უკრაინაში, მოლდავეთსა და სხვა ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, პრობლემა კვლავ აქტუალურია.

დღეს რუსეთში, თუკი რომელიმე ფალსიფიკატორი უკანონოდ აწარმოებს, მაგალითად, ღვინო „ხვანჭკარას", არ არსებობს სრულყოფილი იურიდიული მექანიზმი, რათა ამ ქვეყნის მაკონტროლებელმა ორგანოებმა აღკვეთონ ეს ფაქტი. „ხვანჭკარა" რუსეთში რეგისტრირებული არ არის როგორც რომელიმე ფიზიკური და იურიდიული პირის სასაქონლო ნიშანი. მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად ქმედით მექანიზმად მიგვაჩნია ქართული სამარკო ღვინოების სასაქონლო ნიშნად გამოყენებული გეოგრაფიული დასახელებების რეგისტრაცია კოლექტიურ სასაქონლო ნიშნად, რომლის მფლობელიც შესაძლოა იყოს მხოლოდ მეწარმეთა არასამთავრობო გაერთიანება ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ამ მიზანს ემსახურება 1999 წლის ივნისში, მინსკში ხელმოწერილი სახელმწიფოთაშორისო შეთანხმება. თუმცა მის ეფექტიანობას აფერხებს ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო დაუსაბუთებლად გაჭიანურებული „ქვეყანაში წარმოებული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების ჩამონათვალის" დამტკიცება, მათი სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებებში გათვალისწინების მიზნით. შესაბამისი ნორმატიული აქტის მომზადება და პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენა ჯერ კიდევ 1999 წელს დაევალა საქპატენტს.

დსთ ქვეყნების სახელმწიფოთაშორისო ანტიმონოპოლიური საბჭოს მე-13 სხდომაზე, რომელიც მოსკოვში წლეულს ივნისში გაიმართა, ჩვენი ინიციატივით დღის წესრიგში დაისვა საკითხი თანამეგობრობის ქვეყნებში ფალსიფიცირებული ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ ჩვენივე მოთხოვნით საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად დაევალათ წევრ ქვეყნებს შესაბამის ბაზრებზე ქმედითი ღონისძიებების გატარება, გაფორმდა სათანადო ოქმი.

ზემოთ დასახელებული პრობლემებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია:

**— გარკვეული დოზით და ფორმით ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილების გაზრდა, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად ვებრძოლოთ ფალსიფიკაციას. ამის ნათელი მაგალითია მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, თუნდაც რუსეთი, სადაც შექმნილია ძალზე ძლიერი ანტიმონოპოლიური რეგულირების სამინისტრო, რომელიც თითქმის პოლიციური უფლებებით არის აღჭურვილი. სავაჭრო ქსელში ფალსიფიცირებული პროდუქციის აღმოჩენის შემთხვევაში სამსახურს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მისი დაყადაღების, დალუქვის და ამოღების უფლებამოსილება.**

**— საკანონმდებლო დონეზე გაიმიჯნოს მიდგომები პროდუქციის ფალსიფიკაციის ხარისხისა და უსაფრთხოების შინაარსის, აგრეთვე მათი კონტროლისადმი.**

**— დაჩქარდეს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა, რომლის თანახმად იმპორტირებულ პროდუქციაზე აუცილებელი გახდება პროდუქციის შემადგენლობის შესახებ მომხმარებლისთვის ქართულენოვანი ინფორმაციის მოწოდება.**

**— გამკაცრდეს სასერტიფიკაციო ორგანოების აკრედიტაციის პირობები და საქსტანდარტის კონტროლი მათ დაცვაზე. ჩატარდეს არსებული სასერტიფიკაციო ორგანოების და საგამოცდო ლაბორატორიების შემოწმება, გაუქმდეს იმათი აკრედიტაცია, რომელთა ტექნიკური ბაზაც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ან რომელთა მხრიდანაც ხდებოდა სერტიფიკატების დაუსაბუთებლად გაცემა.**

**— მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით საქტელერადიოკორპორაციამ სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს გადაცემათა ციკლის მომზადება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ.**

**— აიკრძალოს ერთი დასახელების მინერალური წყლების განსხვავებული სასაქონლო ნიშნით გამოშვება.**

**— ქართული ღვინოების წარმოებისა და რეალიზების სფეროში ფალსიფიცირებისა და სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენების პრაქტიკის აღკვეთის მიზნით: დაჩქარდეს კონტროლირებადი დასახელების ღვინოების ატესტაციის, წარმოებისა და ხარისხის კონტროლის წესის მიღება და ამოქმედება; განისაზღვროს ქართული ღვინოების სერტიფიცირების წარმომადგენლობითი ორგანო და დამტკიცდეს შესაბამისი წესი და პროცედურა.**

**— დაჩქარდეს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულებისათვის აუცილებელი დებულებების შემუშავება.**

**— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას ქართული პროდუქციის, განსაკუთრებით საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელთა არასამთავრობო გაერთიანებები, რომლებიც საკუთარი ძალებით დაიწყებენ ფალსიფიკაციასთან ბრძოლას როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში.**

ამ საკითხების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფალსიფიკაციის პრობლემის გადაჭრას.



**გენო მალაზონია,**
საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი.

## სემინარი

# როგორ დავძლიოთ სიღარიბე

შარშან, შემოდგომაზე, ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრმა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შეიმუშავა სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამა. მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და მოსახლეობის გათვითცნობიერება. პროგრამის შექმნას საფუძვლად დაედო საქართველოს პრეზიდენტის №678 განკარგულება, შეიქმნა სამთავრობო კომისია ბატონ ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით, ასევე სოციალური სექტორის, მმართველობისა და კორუფციაზე მუშაობის, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის ქვეკომისიები.

საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის სამდივნოს ეროვნული კონსულტანტის გივი პეტრიაშვილის განმარტებით ქვეკომისიების მუშაობას კოორდინაციას უწევს სამთავრობო კომისიასთან არსებული სამდივნო, რომელიც მუშაობს სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაზე.

ეს სტრატეგიული შუალედური დოკუმენტი დამტკიცდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის საბოლოო დოკუმენტზე, რომლის პირველი ვერსია მზად იქნება ივლისის დასაწყისში. დოკუმენტზე მუშაობა ითვალისწინებს სამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას ფართო საზოგადოებრიობასთან. ამიტომაც 18-21 ივნისს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ჩატარდა სიღარიბის შემცირების სტრატეგიის განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისადმი მიძღვნილი სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის და საქართველოს როგორც სამთავრობო სექტორის, ისე საზოგადოებრიობის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სემინარზე სამი დღის განმავლობაში ფართოდ განიხილებოდა საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიღარიბის დაძლევის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

დღეისათვის, მრავალი მასშტაბით, სიღარიბის დაძლევა პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება და სულ რამდენიმე წელია, რაც მასზე მუშაობა მიმდინარეობს. ამ სემინარს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი გზების მოსაძიებლად, ასევე მსოფლიოში არსებული გამოცდილების გასათვალისწინებლად სიღარიბის დაძლევის საქმეში.

სემინარზე მკვეთრად გამოიკვეთა მთავარი მიმართულება, — მეტნაკლებად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში სიღარიბის მხრივ თითქმის ერთნაირი მდგომარეობაა. სიღარიბის შემცირების სტრატეგიის პროგრამით მიღებულ გამოცდილებაზე საინტერესო მასალები წარმოადგინეს ენი ფელთჰიმ — დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო ფონდის მრჩეველმა, სოციალური განვითარების საკითხებში და ნაიმა სიდიქიმ — მსოფლიო ბანკის წამყვანმა სპეციალისტმა სოციალური განვითარების და განათლების საკითხებში.

დამსწრეთ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ყირგიზეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. საქმიანი სემინარი, რომელიც მსოფლიო ბანკის ადგილობრივი წარმომადგენლობის, ასევე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა, დიდ დახმარებას გაუწევს სიღარიბის დაძლევაზე მომუშავე როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ყველას, ვისაც ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი სურს.

**ლალი ძინძლაძე.**

**სურათზე: სემინარის მონაწილეები.**



ქართველი აგრარიკოსის საერთაშორისო აღიარება

## ტენდეროპანა

# მუქთა წყალი, რომლის ფასი მილიარდებია

### რად იკლავენ თავს?

ცნობილია, რომ ნებისმიერი დემოკრატიული პროცედურისაგან მისი ანტიპოდის გამოძერწვა შეიძლება. გამონაკლისი არ არის ეკონომიკური დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტრუმენტიც — ტენდერი, იგივე კონკურსი. ეკონომიკის ტენდერიზაცია ჩვენში ძალზე სწრაფად გადაიქცა რეფორმის მამოძრავებლიდან კორუფციის მამოძრავებლად. ტენდერებთან დაკავშირებით შეიძლება ყველაზე დაუჯერებელი რამ მოხდეს.

გამოაცხადა, ვთქვათ, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენლობამ ფქვილისა და შაქრის კონტრაბანდის პირობებისა და მასშტაბის გამოკვლევისათვის გრანტის მიღების ტენდერი. ოთხმა ყველაზე სოლიდურმა სახელმწიფო ეკონომიკურმა ინსტიტუტმა კოოპერირებულად შეიმუშავა პროექტი, წარმოადგინა იგი და გაიმარჯვა, რაც გამარჯვებული ინსტიტუტების დირექტორებს მიულოცეს კიდეც. მაგრამ მალე გაუგებარი რამ ხდება. თითქოს კონკურსის შედეგები არ გაუქმებულა, მაგრამ 250 ათასი დოლარი, როგორც შეფასდა გრანტი, გადასცეს სრულიად სხვა ორგანიზაციას. სხვათა შორის, გამოკვლევის პროგრამა 2 წელიწადზეა გათვალისწინებული და მისი დამთავრების შემდეგ საშუალება გვექნება შევიტყოთ, რა აღმოჩენები და პრაგმატული რეკომენდაციები წარმოადგინეს შემაჯამებელ ანგარიშში ჩვენი ჩინოსანი ეკონომიკური მოხელეების ფავორიტებმა. კაცმა რომ თქვას, 1997-2002 წლებში გაეროს განვითარების პროგრამამ საქართველოში სხვადასხვა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყო დაახლოებით 31 მილიონი დოლარი. და, რა თქმა უნდა, ყოველი მათგანის საუკეთესო შემსრულებელი კონკურსის მეშვეობით გამოვლინდება.

განვითარებულ ქვეყნებში ლობისტობა პროფესიაა. იგი ოფიციალურად არის აკრედიტებული სამთავრობო სტრუქტურებში. მინისტრებსა და დეპუტატებთან მისი მუშაობა ლეგალურია, კანონსა და კონტროლს ექვემდებარება. მასთან კონტაქტები და კონსულტაციები სახელს არ უტეხს ჩინოვნიკებსა და დეპუტატებს, რომლებიც საბიუჯეტო ფულს ანაწილებენ სახელმწიფო შეკვეთების, ტენდერებისა და იჯარის მიხედვით.

ჩვენი ლობისტი კი თავად მაღალჩინოსანი ჩინოვნიკია. რა ინტერესი ამოძრავებს მას? ამაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც იმის მიხედვით, თუ რა გააფთრებით სდებენ ერთმანეთს ბრალს ლობირებაში ის პასუხისმგებელი პირები, ვინც ასე თუ ისე მონაწილეობს სატენდერო საქმეებში. ერთი მინისტრი საჯაროდ ამხელს მეორეს, რომ მას საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, პროტექციას უწევს ჯგუფს, რომელიც ცდილობს მანგანუმის მრეწველობისადმი კონტროლის უფლება მოიპოვოს. სულ ცოტა ხნის წინათ კი იგი თავად დაადანაშაულეს იმაში, რომ არაჯანსაღი ინტერესით ეკიდებოდა გაზის დარგს. კიდევ ერთ მინისტრს დეპუტატებმა მაშინ წაასწრეს, როცა ცდილობდა საკრედიტო თანხები მეგობრის ბანკში შეეტანა...

მაგრამ ასეთი ურთიერთმხილებით გამოწვეული შოკის მომგვრელი შთაბეჭდილების მიუხედავად, კაცი ოპტიმიზმის მოზღვავებასაც გრძნობ. ადრეც სცოდავდნენ, მაგრამ რა აღწევდა საზოგადოებრიობის ყურამდე? დღეს საბიუჯეტო და საკრედიტო მაქინაციებს ისე საიდუმლოდ ვერ წარმართავ, რომ ხმა არ გავარდეს. საჯარო გარჩევა, აპელირება საზოგადოებრიობისადმი, ასე თუ ისე, ისეთ ფაქტორად გადაიქცა, რომელსაც, გინდა-არ გინდა, ანგარიში უნდა გაუწიო.

მაგრამ აქ ლობე-ყორეს ნუ მოვედებით. მართალი საქმეც, და ეფექტიანი ბიზნესგეგმაც უნდა დაიცვა, გაიტანო, ანუ საჭიროა მისი ლობირება. ეს ნორმალურია. ნორმალური არ არის სხვა რამ. მაგალითად, როდესაც ლობირებენ ამკარა აუტსაიდერებს, როდესაც საქმის კრახი საბოლოოდ გარდაუვალია, მაგრამ ვერ იპოვი, თუ „ვის უნდა უთხრა მადლობა". ჩინოვნიკი ლობისტი, როგორც წესი, კვალს არ ტოვებს.

„თბილწყალკანალის" სისტემის სარეაბილიტაციოდ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილმა 25 მილიონი დოლარის კრედიტმა კიდევ ერთხელ გამოიწვია საკრედიტო ციებ-ცხელება. სისტემის იჯარის უფლებისა და საკრედიტო სახსრების გამოყენებისათვის ტენდერში მონაწილეობს მსოფლიოს რვა დიდი კომპანია. ასეთია, სხვათა შორის, კრედიტორის მოთხოვნა. შესარჩევი კრიტერიუმებია: ანალოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ მილიონნახევრიანი მოსახლეობის მქონე ქალაქში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სამუშაოების წლიური ღირებულებითი ბრუნვის სულ ცოტა 50 მილიონი დოლარი, მსოფლიო ბანკის მიერ მიღებული აუდიტორული დასტური. თითქმის ერთი „წონითი კატეგორიის" სერიოზული კონკურენტები შეარჩიეს.

ტენდერში საპრიზო ადგილები არ არსებობს, გამარჯვებული მხოლოდ ერთია და უკვე სასტარტო ეტაპზე კომპანიები გულისფანცქალით ადევნებენ თვალს, რომ არავინ გაიჭრას წინ ფალშსტარტის მეოხებით. სატენდერო კომისიის წევრს, „თბილწყალკანალის" გენერალურ დირექტორს იუზა ცარციძეს ადანაშაულებდნენ, რომ იგი ფრანგული კომპანიის „ვივენდის" ლობირებას ცდილობდა. ამან აალელვა ინგლისის საელჩო, რომელიც თანამემამულე — კომპანია „ინგლენდ ვოტერს" გულშემატკივრობდა.

— ბატონ იუზა ცარციძის დადანაშაულება ფრანგული კომპანიის ლობირებაში, უსამართლობაა, — ირწმუნება სატენდერო კომისიის წევრი, მსოფლიო ბანკის „თბილწყალკანალის" რეაბილიტაციის დაკრედიტების თბილისის პროექტის ხელმძღვანელი ზურაბ გონგაძე. — ასეთი მასშტაბის საკითხები სხვა დონეზე წყდება. „ვივენდის" წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში 1999 წელს გამოჩნდნენ, მართლაც ცდილობდნენ დაეინტერესებინათ საქართველოს მხარე თავიანთი წინადადებებით და შარშან იანვარში საინვესტიციო საბჭოს სხდომაზე მოულოდნელად იწონებენ მსოფლიო ბანკის მუშაობას, მაგრამ იმავდროულად კეთდება ჩანაწერი, ცნობად იქნას მიღებული კომპანია „ვივენდის" წინადადებები და დაიწყოს მუშაობა ამ მიმართულებით. ამ ორაზროვან სიტუაციაში მსოფლიო ბანკმა პირდაპირ დასვა საკითხი: ან ღია ტენდერი კრედიტის ასათვისებლად, ან მარტო „ვივენდი" და არავითარი კრედიტი. ბოლო შემთხვევაში, მართალია იძულებული იყვნენ ბანკისთვის დაებრუნებინათ 1,3 მილიონი დოლარი, რომელიც დაიხარჯა დაკრედიტების მოდელის კონცეფციის შემუშავების, ტენდერის მომზადებისათვის. სწორედ ბატონმა ცარციძემ წამოაყენა იმ მომენტში კომპრომისული გადაწყვეტილება, რომელიც ყველას ხელს აძლევდა — დაეშვათ „ვივენდი" ტენდერში მონაწილეობისათვის.

### რა ღირს არაგვის წყალი?

ასეთი კრედიტის ხელიდან გაშვება მართლაც რომ მეტისმეტი ქარაფშუტობა იქნებოდა. თავად განსაჯეთ: წლიური პროცენტი — 0,75, დაფარვის ვადა — 35 წელი, გადახდის დაწყება — 20 წლის შემდეგ. მაგრამ ყველაფერი ამით როდი თავდება. მსოფლიო ბანკმა და მისმა საკონსულტაციო ფირმა „გიპმა" პირობების მეტად მკაცრი სისტემა ააგეს, რომელიც თბილისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მოიჯარის საქმიანობას აწესრიგებს. მსოფლიო გლობალიზაციის ლიდერი მსოფლიო ბანკი ცდილობს სიმპათიები მოიპოვოს საქართველოში. ახლა რა არის ტენდერში გამარჯვების მთავარი კრიტერიუმი? — ეს ყველაზე დაბალი ტარიფის შემოთავაზებაა. ორიენტირები ცნობილია: სამრეწველო საწარმოებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის — კუბური მეტრი წყლის ფასი 10,2 თეთრი, მოსახლეობისათვის იგივე ფიქსირებული ტარიფი — წყლის განუსაზღვრელი რაოდენობის მოხმარების შემთხვევაში.

კიდევ უამრავი პირობა და შეზღუდვა უწესდება მოიჯარეს. იჯარის ვადა 10 წლით არის განსაზღვრული. პირველი 5 წელი ხმარდება სისტემის ისე ამუშავებას, რომ მან მოგება მოიტანოს, რათა უკვე ამის ხარჯზე გაგრძელდეს რეაბილიტაცია. თუ ამ პირობას მოიჯარე ვერ შეასრულებს, ვადის გაჭიანურებას ანაზღაურებს თავად კომპანია. პროექტის ხელმძღვანელები, რომლებიც მსოფლიო ბანკს წარმომადგენლობენ, დარწმუნებული არიან, რომ სამუშაოთა ღირებულების გაზრდა გამორიცხულია. ეს უბრალოდ არ არის ხელსაყრელი, რადგან თუ მოგებისათვის მუშაობა შეფერხდა, თავად მოიჯარეს დააზარალებს. არასასურველი სიურპრიზების თავიდან ასაცილებლად კი, სამუშაოები მიიღება მათი აპრობაციის კვალობაზე. ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ერთგვარი საგარანტიო ვადა. ან, მაგალითად, თუ მოიჯარე დადგენილი ტარიფის პირობებში ვერ მიიღებს მოგებას, ტარიფის გაზრდა დაუშვებელი იქნება, ზარალს კი თავისი ჯიბიდან აანაზღაურებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას თავად მოუწევს სისტემის რეაბილიტაციის ინვესტირება.

ზურაბ გონგაძე კიდევ ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან პირობას ასახელებს: „თუ საქართველოს მხარე უკმაყოფილო იქნება კომპანიის ამა თუ იმ მენეჯერის მუშაობით, მას აქვს უფლება მოითხოვოს მისი შეცვლა და ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს". თუ გავითვალისწინებთ საქართველოში მრავალი უცხოელი ტოპმენეჯერის ქცევის სტილს, ეს მეტად აქტუალური საკითხია.

**ეკონომიკის ტენდერიზაცია ჩვენში ძალზე სწრაფად გადაიქცა რეფორმის მამოძრავებლიდან კორუფციის მამოძრავებლად. ტენდერებთან დაკავშირებით შეიძლება ყველაზე დაუჯერებელი რამ მოხდეს.**

ანდა ავიღოთ „თბილწყალკანალის" პერსონალი. მისი გენერალური დირექტორი იუზა ცარციძე აცხადებს, რომ მოიჯარეს უფლება აქვს მოიყვანოს არა უმეტეს 10-15 კაცი. პრაქტიკულად „თბილწყალკანალის" მთელი ახლანდელი კოლექტივი შეინარჩუნებს თავის სამუშაო ადგილებს. დაახლოებით 500 ათასი დოლარის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სანარდო სამუშაოები ტენდერის მიხედვით მხოლოდ ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის განაწილდება.

თუ იმით ვიხელმძღვანელებთ, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შესახებ, მოიჯარე ვალდებულებებითა და შეზღუდვებით არის ხელფეხშეკრული. მაშ მოგება სადღაა? და თუ არ არის, მაშინ რატომ ეცილებიან ერთმანეთს მსხვილი უცხოური კომპანიები უპირატესობის მოპოვებისთვის და იქნება, მათ შორის გააფთრებული ბრძოლის მოწმენიც აღმოვჩნდეთ?

კვლავ ტარიფს დავუბრუნდეთ. გამოირკვა, რომ იგი მაინც შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ განსაკუთრებულ პირობებში: ინფლაციის შემთხვევაში, რადგან სამუშაოები იწარმოებს ლარებით, კანონების შეცვლისას, რომლებზეც დამოკიდებულია მოიჯარის მუშაობის ფინანსური მხარე. მაგრამ არც ამით მთავრდება ყველაფერი. ჯერჯერობით მოხმარების ნორმა სტაბილური ტარიფის დროს ლიმიტირებული არ არის და თუ ევროპული და მსოფლიო სტანდარტით ადამიანზე დღე-ღამეში 200-250 ლიტრია, თბილისში იგი ოთხჯერ მეტი იხარჯება. სწორედ ამას გამოიყენებს დროთა განმავლობაში მოიჯარე. ნორმის გადაჭარბებისათვის მომხმარებელს მოუწევს დამატებით გადაიხადოს სხვა ტარიფის მიხედვით და ეს მოხდება ინდივიდუალური წყალსაზომების დადგმის კვალობაზე.

და ბოლოს, ყველა ამ სქემის მიღმა უმთავრესია ამოუწურავი წყლის რესურსები, ჯერჯერობით არაგვის ამოუწურავი წყალი, დაუბრუნებელი და უფასო კრედიტი. წყალი, რომელიც მილიარდები ღირს და არ ღირს არც ერთი თეთრი. ასეთი ძლიერი კოზირი მსოფლიოს თითზე ჩამოსათვლელ დედაქალაქებს თუ აქვთ. სწორედ ამის გამო მოქმედებენ თავგამოდებით კონკურენტი კომპანიები. ამიტომაც აცხადებს ახლა მსოფლიო ბანკის „თბილწყალკანალის" სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ხელმძღვანელი ბრაიან სმიტი, რომ ყველა სატენდერო დოკუმენტი ახლა მსოფლიო ბანკშია და იქ საგულდაგულოდ სწავლობენ მათ, რათა ტენდენციურობაში ეჭვი არავის შეეპაროს.

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ კანდიდატურის ლობირების ყველა ცდა აღიკვეთება. საქმე ეხება მსოფლიო ბანკის რეპუტაციას. მის წინაშე ყველას თანაბარი უფლებები აქვს,— გვაფრთხილებს ბატონი სმიტი.

მაგრამ არის სატენდერო თამაშის კიდევ ერთი მონაწილე, კიდევ ერთი ლობისტი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს თავის უფლებაზე. მას თუ გადამწყვეტი არა, სათათბირო ხმის უფლება მაინც აქვს. ეს მონაწილე მოსახლეობა გახლავთ. ეს უნდა იყოს სანიმუშო საჩვენებელი ტენდერი. დედაქალაქის ხელისუფლება გვპირდება, რომ მოაწყობს ხელშეკრულების ყველა პირობის უპრეცედენტო, ფართო, ღია და დეტალურ განხილვას თვენახევრის განმავლობაში. სანაქებო დაპირებაა. იგი ეხმიანება, სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტის №95 ბრძანებულებას, რომელიც განსაზღვრავს უპირველეს ანტიკორუფციულ ღონისძიებებს. თუმცა, ზოგიერთი შემაშფოთებელი სიმპტომი უკვე გვაიძულებს, ეჭვი შევიტანოთ მათს გულწრფელობაში. უკვე სამი კვირაა სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი ცდილობს მიიღოს აუდიენცია სატენდერო კომისიის თავმჯდომარესთან, თბილისის მთავრობის პრემიერთან, ბატონ შერაძესთან. გვინდოდა დაგვეზუსტებინა, სახელდობრ, როგორ აპირებს მერია, დაიცვას მოსახლეობის ინტერესები, თუ ისინი მკვეთრად იქნება განსხვავებული უცხოელი მოიჯარის ინტერესებისაგან. შეხვედრა საბოლოოდ მაინც ვერ მოხერხდა. რა თქმა უნდა, თბილისის მთავრობის პრემიერი მეტად დაკავებული ადამიანია. მაგრამ სად ვინახავთ უსაქმო ჩინოვნიკი? სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტიც არანაკლებ დაკავებული ადამიანია. მაგრამ ნახულობს დროს ჟურნალისტებთან რეგულარული შეხვედრებისათვის, გვიხსნის, გვარწმუნებს. ედუარდ შევარდნაძისათვის ისეთი ფენომენი, როგორიც არის საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი განწყობილება, უკვე ათწლეულებია, რაც არ არის ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ხდება ხოლმე, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი თავს იმართლებს, და ბოლოს და ბოლოს ბოდიშსაც იხდის. სხვათა შორის, ბოდიშს იხდის იმავე თბილისის მთავრობის შეცდომებისა და ხარვეზებისთვისაც!

**ამირან მგელაძე,**
**თენგიზ ჩხიკვაძე,**
საქინფორმის კორ.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 152. შაბათი, 23 ივნისი, 2001 წელი.

სულიერება

# ქრისტიანობა და საქართველო საუკუნის გადმოსახედიდან

მაგრამ ზვიადისტები ფაქტებს როდი დაგიდევდნენ. აი, რას გვაუწყებს „თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის უახლესი ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, პროფესორი „მართალი გაზეთიდან" (№14, აპრილი, 2001 წ.):

„ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ. ჩვენი გადაგვარების გეგმა რუსეთს, ამერიკას, თურქეთს – ერთნაირი აქვს. რადგან ეროვნული სახელმწიფო დიდ სახელმწიფოებს ხელს არ აძლევთ, ყელში აქვთ გაჩხერილი. მაინც როგორი სახელმწიფო უნდათ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს? ისეთი, როგორიც ჰოლანდიაა, მათთვის საშიში აღარ არის. საშიშნი ვართ ჩვენ, სომხეთი, ტაჯიკეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რომლებიც ხელს უშლიან ეროვნული სახელმწიფოების მოსპობას. ჩვენთვის ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობა ჩვენს დაღუპვას ნიშნავს. ამერიკას ეს საფრთხე არ ემუქრება. რატომ გახდა ზვიად გამსახურდია მიუღებელი რუსეთისთვისაც და ამერიკისთვისაც? იმიტომ, რომ უმართავი პიროვნება იყო. რადგან ის იყო ეროვნული მოღვაწე და როდის იფეთქებდა, სად და როდის გადაუდგებოდა წინ ამერიკისა და რუსეთის გეგმებს, არავინ იცოდა. ამიტომაც გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ. იბადება კითხვა – თუ მთელი საზოგადოება ეროვნული სულისკვეთებით გაერთიანდა, მასაც იგივე ემუქრება? – ეს საფრთხე, რა თქმა უნდა, მთელ საზოგადოებას ემუქრება და უკვე დაემუქრა კიდეც. სიდუხჭირეში ჩავარდნილი ქართველი ადვილი სამართავია. სექტების მომრავლებაც ამისგანაა გამოწვეული. სექტები მომრავლდნენ აფრიკაში, სადაც შიმშილი და სიდუხჭირე სუფევდა".

კი მაგრამ, გავბედავთ და შევეკითხებით პატივცემულ პროფესორს, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ ასეთი „შიმშილი და სიდუხჭირე" არ სუფევს, რით აიხსნება იქ სექტების სიმრავლე? ეჰ, ეჰ, ახლა კი მესმის ერთი გაქლერებული ფრაზის მნიშვნელობა, რომელიც ტელევიზიით მოვისმინე სტუდენტური გამოსვლების დროს: ჩვენი უნივერსიტეტი ნესტან-დარეჯანია, ქაჯების ხელში ჩავარდნილი! მაგრამ ყოველივე ეს არც ისე უწყინარი ხუმრობაა, თუკი გავიხსენებთ „რუსთავი-2"-ის მიერ ნაჩვენებ კადრებს 26 მაისს, როდესაც ასეთი „იდეოლოგების" მიერ მოწამლულმა ბრბომ, ექსპრეზიდენტის სახელის ღრიალით და საგანგებოდ დამზადებული ჯვრებით იერიში მიიტანა ჩვენს უიარაღო პოლიციელებზე და სწორედ ამ ჯვრებით მათ თავები დაუხეთქა. განა მკრეხელობის ზენიტი არ არის, როდესაც ქრისტიანობის ეს საკრალური სიმბოლო – ჯვარი, მოფაშისტო ელემენტების ხელში სისხლიან იარაღად იქცა?! ამა წლის 27 მაისის „საქართველოს რესპუბლიკა" იტყობინება:

„პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტის ცნობით, ქალაქის მეცხრე საავადმყოფოში მოთავსებულია დაშავებული რვა ადამიანი, მათ შორის პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი მერაბ ბალათურია, რომელსაც თავზე ნაკერები დაადეს.

მძიმეა ერთ-ერთი პოლიციელის მდგომარეობა, რომელსაც ხელზე ვენა აქვს გადაჭრილი.

როგორც ერთ-ერთმა დაშავებულმა პოლიციელმა პრაიმ-ნიუსს უთხრა, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები მათ ხის ჯვრებსა და დროშის ტარებს ურტყამდნენ, რომლებსაც თავები ჰქონდათ წათლილი.

დამოუკიდებლობის 10 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკის მოედანზე 13 საათისათვის დაახლოებით 400-მდე ზვიადისტი შეიკრიბა არასანქცირებულ მიტინგზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს ქალაქის პოლიციის უფროსმა სოსო ალავიძემ განუცხადა, აღნიშნული ინციდენტი „თავად ზვიადისტების პროვოცირებულია".

ის, რომ პოლიციელებმა მოქალაქეს ან მოქალაქეებს სიტყვიერად წესრიგისაკენ მოუწოდეს, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკაა, მაგრამ ამის გამო სისხლს კი არ ანთხევინებენ მათ. სულაც არა მსურს ხელისუფლების „უნიათობაზე" საუბარი, მაგრამ რამდენიმე კითხვა ბუნებრივად აღიძვრის: მაშინ, როდესაც პრესის თითქმის 90 პროცენტი „მრგვალი მაგიდის" პრიმიტიული იდეოლოგიის გავრცელებაშია და შეტევებზე გადმოდის, ჩვენ, რომლებმაც ძლივს მოვიშორეთ ეს მაჯლაჯუნა, ხშირად პასუხის გაცემის უფლება გვაქვს ჩამორთმეული იმ მოტივით, რომ „შერიგების პროცესი" არ ჩაიშალოსო! ძმანო და დანო, მეგობრებო, ამხანაგებო, ვისზედაც დამოკიდებულია ჩვენი წერილების დაბეჭდვა, რედაქტორებო, ცენზორებო, ნუ გამოვათაყვანებთ ხალხს ცალმხრივი ინფორმაციით, თორემ ზემოთ აღწერილი სისხლის ღვრა მონაგონი იქნება იმ დიდ სისხლის მორევებთან, თუკი ყველაფერი ასე იქნება თავის ნებაზე მიშვებული. ჩვენ გვეუბნებოდნენ: შერიგების პროცესმა თბილისში არა, მაგრამ რაიონში დიდ წარმატებას მიაღწიაო. ამას რა აჯობებდა. მართალი რომ იყოს ეს სინამდვილეში. რაც დრო გადის, ზემოხსენებული მდარე პროპაგანდა ყველგან ფეხს იკიდებს, განსაკუთრებით სამეგრელოში, სადაც ცნობილი მოვლენების დროს მართალი ინფორმაცია არ ვრცელდებოდა. ეს დაადასტურა ამას წინათ გამოსვლებმა სენაკში, რომელიც უკვე აშკარად ტრაიბალიზმის ნიშნებს ატარებდა და სადაც, ვთქვათ, გელბახიანი-დოკვაძის განთავისუფლებას კი არ ითხოვდნენ, არამედ აბსანძე-ქობალიასი და ელიაევას რაზმელებისას.

აქვე დაისმის რამდენიმე პრინციპული ხასიათის შეკითხვა იუსტიციის სამინისტროსადმი. როდესაც საზოგადოება „მხედრიონს" უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, სამწუხაროდ, ზოგ-ზოგი მხედრიონელის უღირსი საქციელის გამო და სრულიად არ იქნა გათვალისწინებული მათი უმეტესი ნაწილის პატრიოტული თავდადება, მაშინ, რა გზით ახერხებს ამას „მრგვალი მაგიდა", რომელიც, ყოფილი ხელისუფლების გროზნოში გადაბარგების დღიდან ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და მრავალი უბედურება მოუტანა საქართველოს? ან, არაერთი და თან დიდჩინოსანი მოწმის პრესაში მტკიცებით, ე. წ. „თბილისის ომი" დაიწყო ექსპრეზიდენტთან ძალზე ახლო მყოფი პიროვნების ბრძანებით, რომელსაც არავითარი პასუხი არ მოეთხოვა. არ ვარგა ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელზედაც მორგებული იქნება გაცვეთილი გამოთქმა: სამართალი ორივე ფეხით კოჭლობს.

ტიპობრივი პროვინციული ფაშიზმის ნიმუშია ვინმე „მიმომხილველის" წერილი „მართალ გაზეთში" (№ 10), სადაც ზ. ჟვანიაზე ხორციელდება თავდასხმა მისი „სომხურ-ებრაული" წარმოშობის გამო, მაგრამ ავტორი თან ფრთხილობს და ამას „წარმოშობის ლეგენდად" მოიხსენიებს, რაც ვითარებას არ ცვლის და მისი წერილი აშკარად რასისტულ ნიშნებს ატარებს. აქ საქმე ის კი არ არის, რომ გვსურს თუ არა ჟვანია პრეზიდენტად, არამედ ის საშუალება, რითაც მას ებრძვიან და რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშკარად რასისტულ-ნაცისტურ ელფერს ღებულობს. მეღიმება, თუ რა გააფთრებას გამოიწვევს „მიმომხილველის" ბანაკში და პირიქით, როგორ ესიამოვნებათ ჟვანიას გუნდის წევრებს, თუკი გავიხსენებთ, რომ ბიზანტიის ერთ-ერთი იმპერატორი ლეო V სომეხი იყო, ეკატერინე დიდი – გერმანელი პრინცესა, ნაპოლეონ ბონაპარტე – კორსიკელი, ხოლო უდიდესი მპყრობელი რუსეთის იმპერიისა და მისი ზესახელმწიფოდ გარდამქმნელი – ქართველი სტალინი. ნეტავ ბ-ნი ჟვანია შვიდჯერ სომეხი იყოს და შვიდჯერ ებრაელი, თუკი იგი საქართველოს ასეთ სიძლიერეს შესძენდა.

შემთხვევით არ ლაპარაკობს ჩვენი „მიმომხილველი" ე. წ. „ბილდირბერგის კლუბზე" და მის მიერ მსოფლიოს მართვის მცდელობაზე, მტრულ „მასონურ-კოსმოპოლიტური ხასიათის ფილოსოფიურ პრინციპებზე", რომელიც უპირისპირდება „ეროვნულ-ნაციონალისტურ ღირებულებებზე ორიენტირებულ მსოფლმხედველობას" და სხვა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორი („მიმომხილველი"), არსად ასახელებს წყაროს, საიდანაც იგი ღებულობს ამ „ღრმა აზრებს", ვფიქრობ, მარტივი მიზეზის გამო. საქმე ისაა, რომ „მიმომხილველის" აზროვნების სტილი ტყუპისცალივით ჰგავს რუსული შავრაზმული ბროშურების ავტორების სტილს და აბა, იმათ, „ეროვნულ-ნაციონალისტურ ღირებულებებზე ორიენტირებული", როგორ დაასახელებდა. დაახლოებით ამ ერთი წლის წინ, ჩვენს პრესაში გაჩნდა ინფორმაცია ალენ დალესის „საზიზღარი გეგმის" შესახებ, რომელსაც რუსი ერის მოსპობა სურდა ნარკოტიკების შემოტანით, გარყვნილების დანერგვით და სხვა ათასნაირი [illegible] ეს გეგმა ალენ დალესმა „საიდუმლოდ წაიკითხა ცეერუში". ამის გამვრცელებლები, რასაკვირველია, პირველწყაროს არ ასახელებდნენ და დალესის ამ „გეგმას" მექანიკურად საქართველოზეც ავრცელებდნენ აშშ-ს გაშავების მიზნით. ცხადია, ყოველივე ეს ეჭვს იწვევდა და მეც მივმართე ამერიკის საელჩოს, ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებს და რასაც ველოდი, ის აღმოჩნდა: მსგავსი რამ ალენ დალესს არ უთქვამს და პირველწყარო ამ მონაჩმახისა რუსი შავრაზმელები გახლდნენ. ყოველივე ეს მე უკვე გადმოვეცი ჩემს მიერ დასახელებულ „ლიტ. საქართველოში" შარშან. ბოლო დროს თბილისში გავრცელდა რუსი შავრაზმელის, ოლეგ პლატონოვის სამტომიანი „ეკლოვანი გვირგვინი რუსეთისა. ფარული ისტორია მასონობისა 1731-2000". იშვიათად მინახავს ასეთი აჯაფსანდალი: ძველ ავტორებთან ერთად ახლებიც ფიგურირებენ, ასე თუ ისე ისტორიულად სანდო ძველ დოკუმენტებთან ერთად – ახალი „დოკუმენტებიცაა", რომლებიც აშკარად ნაყალბევია და სხვა. საკმარისია ითქვას, რომ ო. პლატონოვი გრიშკა რასპუტინს უწესიერეს კაცად მიიჩნევს, მის მკვლელებს – რუსეთისა და იმპერატორის მტრებად აცხადებს, აგერ, ახლახან მოღვაწე „ჩვენს მეგობრებს" პრიმაკოვსა და გენ. ლებედს – კვლავ რუსეთის მტრებად მოიხსენიებს, და, რასაკვირველია, დანდობა არა აქვს შევარდნაძეს, კლუბ „მაგისტერიუმის" წევრს; [illegible] ცხადდებიან ე. ევტუშენკო, ე. ნეიზვესტნი, ა. სობჩაკი, დიმ. ლიხაჩოვი, ბ. ახმადულინა, დ. გრანინი, ს. კალედინი, რ.როჟდესტვენსკი და სხვა მრავალნი. დიახ, სწორედ ო. პლატონოვი გვამცნობს ალენ დალესის მოხსენების „საიდუმლოს", რომელიც თურმე 1945 წელს წაუკითხავს იმ ცნობილს, მაგრამ ოლეგ პლატონოვისათვის ეს მოხსენება გადაუცია „კგბ-ს ერთ ძველ თანამშრომელს", რომლის ვინაობასაც იგი, თვით XXI საუკუნეშიც არ ამხელს – საკვირველია, ატომური ბომბის საიდუმლოს მომპარავი ჯაშუშების სახელები ვიცით, მაგრამ აი, ალენ დალესი, რომელიც ნახევარი საუკუნეა, რაც მკვდარია, მაგრამ მისი „მოხსენების" დამთრევის გვარი კი პლატონოვმა არა და არ გათქვა. მე მიკვირს: ჩემს მიერ იმ ბლეფის მხილების შემდეგ, რასაც დალესის „მოხსენება" ჰქვია, კვლავ და კვლავ დაიბეჭდა იმავე ხასიათის წერილები, თითქოს ამის თაობაზე არაფერი დამეწეროს. ამიტომ, ამისთანა ავტორებს მე „ალანდალასთა" კლუბის წევრები ვუწოდე, რომლის საპატიო წევრი ჩვენი „მიმომხილველი" გახდა. ოლეგ პლატონოვი საუბრობს იმავე „ბილდირბერგის კლუბზე", ცხადია, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ჩვენი „მიმომხილველი" და მიიჩნევს მას „კაცობრიობის წინააღმდეგ" მიმართულად. უფრო ღრმად ეს ამბავი ვისაც აინტერესებსო, – მოგვიწოდებს პლატონოვი – წაიკითხეთ ჩემი წიგნიო: „სიონური პროტოკოლების გამოცანა", მოსკოვი 1999. იმედია, ჩვენი „მიმომხილველი" წარმატებით გაართმევს თავს პლატონოვის ამ მოწოდებას.



მაგრამ მთავარი და კომიკური „მიმომხილველის" წერილში ახლა იწყება. იგი წერს: „საქართველო ქართველებისათვის" ნამდვილად რომ არ ჯდებოდა მსოფლიოს ხელისუფალთა ლექსიკონში (რუსეთიდან ერთბაშად რომ გამოგვიყარონ ქართველები, ნეტავ „მიმომხილველი" რას იტყოდა? ვ. რ.). ეს იმ რეპლიკამაც დაადასტურა, რომელიც ოკეანის გაღმიდან გვესროლეს: „თქვენ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთ".

ეს „რეპლიკა" თურმე ბუშს (ცხადია, უფროსს) ეკუთვნის, თუმცა მისი დადასტურება, ზვიადისტური გაზეთების გარდა, ვერსად ვპოვე. დიახ, „მიმომხილველი" აგრძელებს: „გამსახურდია-კოსტავათი (ნეტავ რას აწებებს ამ კეთილ კოსტავას – მისი გარდაცვალებიდან [illegible] თითქმის ორი წლის შემდგომ დაიწყო ექსპრეზიდენტმა თავისი „პოლიტიკა", ვ. რ.) და ქართული ეროვნული მოძრაობის საერთო სულისკვეთებით შემცბარ-შემკრთალ დასავლეთს და ამერიკას (გნებავთ, მსოფლიო ხელისუფლებას) ახალი, გამსახურდია-კოსტავასაგან დიამეტრალურად განსხვავებული პოლიტიკოსი უნდა მოეძებნა".

როგორ მოგწონთ მკითხველო?! თურმე როგორ ვაზანზარებთ დასავლეთს, ამერიკას და, რაც მთავარია, მსოფლიო ხელისუფლებას! რის ვაივაგლახით და ხვნეშა-ხვნეშით, ამ საწყლებმა, ძლივს გამოგვიგზავნეს ასეთი პოლიტიკოსი: „უღიმღამო, უსახო ფიგურა, დედით ებრაელი, მამით სომეხი". მაგრამ კმარა, „მიმომხილველის" სხვა ნააზრევი „ალანდალასთა" კლუბის წევრებმა გაარჩიონ და იმასაც ჩაუფიქრდნენ, რომ მთლიანად ეს სტატია რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამს წყალს.

## ქრისტიანული პატრიოტიზმი

რასაკვირველია, ჩვენში ნაციონალიზმის აღმოცენებას, მისი უარყოფითი გაგებით, თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველ ყოვლისა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამის გამომწვევი იყო ათეიზმი, როგორც რევოლუციამდელი, ასევე საქართველოს გასაბჭოების შემდეგდროინდელი. რწმენადაკარგული ხალხი იდეოლოგიურ ფანტომს ეძებდა, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ანექსიამდე სოციალისტური იდეების პოპულარობითა და ილიას მკვლელობით გამოიხატა. ანექსიის შემდეგ კი, როგორც ჩანს, აგრესორის მიერ ფეხქვეშ გაქელილი ეროვნულობის წყალობით იფეთქა ნაციონალურმა თვითშეგნებამ, რომელიც ჩუმად ღვიოდა, ზოგჯერ აალდებოდა კიდეც საბჭოთა მმართველობის მთელი 70 წლის მანძილზე, მაგრამ ღმერთი კვლავ დავიწყებული იყო. რამდენს გვახსოვს ბრწყინვალე ქართულის მასწავლებლები სკოლებში, რომლებიც მძაფრად აღვივებდნენ მოსწავლეთა გულებში ეროვნულ გრძნობას, მაგრამ თუ რა იყო რელიგია, ქრისტიანობა და რწმენა – მათ თავად არ გაეგებოდათ ან ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. ყოველივე ამან მომავალში ძალზე ტრაგიკული როლი შეასრულა, როდესაც დემაგოგიურმა მოწოდებებმა „ეროვნულობის" გაგებით იგივე ერი ლამის კატასტროფამდე მიიყვანა და დღეს ვხედავთ, თუ ჯვრებს რა დანიშნულებით ხმარობენ. ამ დროს ჯვრის წამების იარაღად კვლავ გადაქცევა – აშკარა სატანიზმია.

მაინც როგორ გვესმის ერის ჭეშმარიტი სიყვარული, რომელსაც ჩვენ ქრისტიანულ პატრიოტიზმს ვუწოდებთ? ამის საილუსტრაციოდ მივმართოთ ზემოთ ნახსენებ კარდინალ შარლ ჟურნეს („ღვთაებრივი პოლიტიკა თუ ქრისტიანული პოლიტიკა"?, 1943): „კულტურული ფორმები და ხალხთა განსხვავებული ტემპერამენტები გვევლინებოდნენ იმ ჭურჭლებად, რომლებშიც ეკლესიის მადლი სხვადასხვაგვარად გაბრწყინდა. ეკლესიას ძალუძს გამოიყენოს (მაგრამ როგორი დანაკლისებით!) განსხვავებულ ერთა საერო შესაძლებლობანი, რათა აღიყვანოს ისინი თავის სულიერ-ქრისტიანულ თვალსაზრისამდე და შეიფერადოს მათი მეშვეობით თავისი საკუთარი კათოლიკობა. საფრანგეთში მე დავასახელე წმიდა ვინსენტი. მაგრამ რატომ არ დავასახელე ჟანა დ' არკი? იგი – წმინდანია და ფრანგი! დიახ, იგი ისე აღსაფრთოვანებლად უბრალოა, რომ შემძლე იქნებოდა, თუკი ამას ყურადღებას არ მივაქცევდით, ვეიძულებინეთ ეკლესია არ დაგვეცილებინა საფრანგეთისაგან. „სრულყოფილ მისტიციზმში", რომელიც მოგვივლინეს „დიდმა ქრისტიანმა მისტიკოსებმა", ანრი ბერგსონი განასხვავებს ფორმას, ე. ი. ღვთისაკენ ბიძგს, და მატერიას, ე. ი. ქრისტიანობას ან, უფრო ზუსტად, ქმნილებას რომელშიც გარდაიქმნება ეს ბიძგი თითქმის ყველა მისტიკოსთან – ეს არის უნარი ქრისტიანობის ქადაგებისა. „მაგრამ არსებობენ გამონაკლისები. ჟანა დ' არკის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ფორმა მატერიისაგან დაცილებადია". ბერგსონის გამჭრიახი გონება მართალია იმაში, რომ წმიდა ჟანა დ' არკს იგი სხვა ქრისტიანი მისტიკოსებისაგან აცალკევებს. საკითხი ის კი არ არის, რომ ქრისტიანობა შესაძლოა დაცილებულ იქნეს მისი მისტიციზმისაგან; რომ მას მთელი გულით სურდა ქრისტიანობის გავრცელებას მომსახურებოდა. მაგრამ, რაც უნიკალურია მის შემთხვევაში, ეს ის გარემოებაა, რომ იგი წარმოგზავნილი იყო, რათა **სასწაულებრივად** აღესრულებინა ორი ამოცანა: სულიერი, რომელსაც ქრისტიანობა შთააგონებს ყველა ქრისტიანს როგორც ქრისტიანს, და საერო, რომელსაც ქრისტიანობა უწესებს მას როგორც ადამიანს და როგორც თავისი სამშობლოს მოქალაქეს. როდესაც ჟანა დ' არკი აცხოველებდა რწმენასა და ღვთაებრივ გულმოწყალებას თავის გარშემო, განფანტავდა მრეხელობასა და ბიწიერებას, იქცეოდა როგორც ქრისტიანი და ემსახურებოდა „ქრისტიანობის განვრცობას". როდესაც იგი აღიმართა, რათა სათავეში ჩასდგომოდა სამართლიან ბრძოლას, ამას აკეთებდა არა **როგორც** ქრისტიანი, რადგან ქრისტიანობა ომს არ აწარმოებს, არამედ გამოდიოდა როგორც ფრანგი, როგორც ქვეშევრდომი უსამართლოდ მიტაცებული სამეფოსი, მაგრამ იბრძოდა როგორც ქრისტიანი და წმინდანი".

ქართველ წმინდანთა ცხოვრება და საქართველოს ისტორია გვიჩვენებს დიდებულ მაგალითებს, როდესაც პიროვნება აერთიანებს ამ ორ საწყისს: სულიერს, რომელსაც მას ქრისტიანობა შთააგონებს და საეროს, როდესაც სამშობლო ითხოვს მისგან სამსხვერპლოზე თავდადებას. რასაკვირველია, ეს იდეალია ქრისტიანული პატრიოტიზმისა, მაგრამ ამ იდეალისაკენ სწრაფვა სჯობს, ვიდრე დავემორჩილოთ „პოლიტიკურ ეროსს".

**ვიქტორ რცხილაძე.**
26-29 მაისი, 2001 წელი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 146-149, 151.

წარსული

# გზა ძიებისა

## საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ხასიათი (XVII-XVIII ს.ს.)

შუშასთან მდგომი ალა-მაჰმად ხანი არ ჩქარობდა საქართველოში შეჭრას. მას აფიქრებდა რუსეთის მოსალოდნელი რეაქცია, სურდა გაერკვია, აპირებდა თუ არა გუდოვიჩი საქართველოში ჯარების გამოგზავნას. ამის დასადგენად მან ორიგინალურ ხერხს მიმართა – ელჩები გაუგზავნა ეკატერინე II. როდესაც ელჩები გუდოვიჩთან გამოცხადდნენ, გამოირკვა, რომ მათ არ გააჩნიათ რწმუნების სიგელები, არ აღმოაჩნდათ, აგრეთვე, წერილები არც რუსეთის იმპერატორთან და არც გუდოვიჩთან. ამიტომ გუდოვიჩმა მათ განუცხადა, რომ ვერ ჩათვლის ელჩებად და ვერ გაატარებს სამეფო კარისკენ. მაგრამ ეს არც შედიოდა ალა-მაჰმად ხანის ანგარიშში. ეს „ელჩები" სინამდვილეში მზვერავები იყვნენ და მათი ამოცანა იყო გაერკვიათ, აპირებდა თუ არა გუდოვიჩი საქართველოში ჯარის გამოგზავნას. სწორედ ამიტომ გაუშვა „ელჩები" შაჰმა რწმუნების სიგელების გარეშე. შეუძლებელია გუდოვიჩი ვერ მიმხვდარიყო შაჰის ნამდვილ განზრახვას, მან ძალიან კარგად იცოდა, რომ უცხო ქვეყნების სამეფო კარზე არავინ არ აგზავნის ელჩებს რწმუნების სიგელების გარეშე, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ეს ცრუ ელჩები დაეპატიმრებინა, ან მათ დასანახად რაიმე მოჩვენებითი სამზადისი დაეწყო, მან ელჩები ძალიან კარგად მიიღო, განუცხადა, რომ ღებულობს მათ როგორც კერძო პირებს და უფლებას აძლევს, თუ სურთ დარჩნენ, თუ სურთ უკან გაბრუნდნენ. ასე რომ, გუდოვიჩმა ყველაფერი გააკეთა, ცხადია, საკუთარი მთავრობის მითითებით, რათა შაჰის აგენტები დარწმუნებულიყვნენ, რომ ერეკლე ვერ მიიღებდა სამხედრო დახმარებას.

უკან გაბრუნებული ელჩები გუდოვიჩმა გააფრთხილა, რომ ალა-მაჰმად ხანი არ დასხმოდა ერეკლეს სამფლობელოს, რადგან ამას რუსეთი თავის შეურაცხყოფად ჩათვლიდა. ამ დიპლომატიურ დემარშს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ალა-მაჰმად ხანი დარწმუნდა, რომ რუსეთი ერეკლეს სამხედრო დახმარებას არ გაუწევდა და ეს იყო იმჟამად მისთვის მთავარი.

მაინც რატომ არ გაუწია რუსეთმა საქართველოს ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარება? ამის შესახებ ზ. ცქიტიშვილი წერს: „როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერატორო კარზე ფიქრობდნენ, რომ სპარსეთი რუსეთის შიშით ვერ გაბედავდა საქართველოზე თავდასხმას". ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. ალა-მაჰმად ხანი რომ ნამდვილად აპირებდა საქართველოში შემოჭრას, არავისათვის არ წარმოადგენდა საიდუმლოს. მით უმეტეს, ამის შესახებ თვით ალა-მაჰმად ხანი აცხადებდა საჯაროდ. საქმე ის იყო, რომ რუსეთი საქართველოს დასაპყრობად კარგა ხანია ემზადებოდა. საქართველოს დაპყრობის იდეა 1799-1800 წლებში არ გაჩენილა. საქართველოს დაპყრობის პირველი ცდა იყო რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს. ამ ომში რუსეთის მხარეზე ჩაებნენ ერეკლე II და სოლომონ I. ერეკლე II იმედოვნებდა, რომ რუსთა დახმარებით შეძლებდა ოსმალთა მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებას. რუსეთის მთავრობა ამის იმედს იძლეოდა. სინამდვილეში კი რუსეთს სურდა არა ქართული ტერიტორიების დაბრუნება, არამედ საქართველოს საშუალებით კავკასიის ფრონტზე თურქთა ძალების დაბანდება (ივ. ჯავახიშვილი). ტოტლებენის მოულოდნელმა ღალატმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ერეკლე II და ქართველთა ლაშქარი, მაგრამ „ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი სამშობლო აუცილებელი განადგურებისაგან... ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლად მოსპო" (ივ. ჯავახიშვილი). ტოტლებენის მოქმედება – ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება და ქართველი ხალხის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება ქართულ ისტორიოგრაფიაში ახსნილია როგორც მისი თვითნებური მოქმედება (ვ. მაჭარაძე). მართალია, ჯერჯერობით, დოკუმენტები არ გაგვაჩნია (ასეთი სახის დოკუმენტებს როგორც წესი, არ ინახავენ), მაგრამ ძნელია დავიჯეროთ, რომ ტოტლებენი სამეფო კარის ნებართვის გარეშე მოქმედებდა, ყოველ შემთხვევაში ზუსტად არ ყოფილიყო ინფორმირებული ასეთი მოქმედებისადმი საიმპერატორო კარის პოზიციის შესახებ. მრავალი მაგალითის მოტანა შემიძლია იმის შესახებ, თუ რა სისასტიკით ისჯებოდნენ რუსი მოხელეები ინსტრუქციის სრულიად უმნიშვნელო დარღვევისათვის. გარდა ამისა, მეტად ძნელი დასაჯერებელია, ერთხელ უკვე სიკვდილმისჯილ გენერალს ამკარად დაერღვია ინსტრუქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის მთავრობას ტოტლებენის მოქმედება არათუ არ დაუგმია, პირიქით, რუსეთში დაბრუნებული ტოტლებენი ორდენით იქნა დაჯილდოებული, ხოლო მის შემცვლელ გენერალს სუხოტინს, ფაქტობრივად, ნება დართეს გაეგრძელებინა ქართველების დაფიცება რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.

რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობამ მძიმე დღეში ჩააგდო ქართლ-კახეთი. ერეკლემ მტრად მოიკიდა როგორც ოსმალეთი, ისე ირანი. ივ. ჯავახიშვილი შეცდომად მიიჩნევს ამ ომში საქართველოს მონაწილეობას. იგი წერს, რომ „საქართველოს ისევ თავისი საკუთარი ძალით და გამჭრიახობით უნდა მოეწყო ძლიერ მეზობლებთან ასე მოუფიქრებლივ გაფუჭებული დამოკიდებულება". ერეკლემ „თავისი დიდი დიპლომატიური ნიჭის წყალობით" (ივ. ჯავახიშვილი) იმჟამად შეძლო საქართველოსთვის განსაცდელის თავიდან აცილება.

რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ალა-მაჰმად ხანს არ ჰქონდა იმდენი ძალა, ქართლ-კახეთი მტკიცედ დაეპყრო, მაგრამ თუ ქართლ-კახეთი კიდევ ერთხელ განადგურდებოდა, რუსეთი იოლად შეძლებდა საბოლოოდ დაუძლურებული საქართველოს დაპყრობას. მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე: „1795 წელს საქართველოს ერის მტერს ალა-მაჰმად ხანს ტფილისის აღების დროს დიდძალი რუსის იარაღი აღმოაჩნდა, რაც რუსებს მისთვის საიდუმლოდ მიეცათ, რომ მტერი მოსულიყო და უფრო მაგრად აეკლო საქართველო" და შემდეგ: „ეკატერინემ 1794 წელს ერთი მილიონი მანეთიანი მოაჭრევინა და ეს ფული სპარსეთის ყეენს გაუგზავნა". სამწუხაროდ, ზ. ჭიჭინაძე წყაროს არ უთითებს და ამიტომ ძნელი იყო თქმა, თუ რამდენად სანდოდ შეიძლებოდა მიგვეჩნია მისი ცნობები. მაგრამ დღეს ხელთ გვაქვს დოკუმენტი, რომლის სანდოობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ეს დოკუმენტი მთლიანად ადასტურებს ზ. ჭიჭინაძის ცნობების სიმართლეს. ეს არის ერთ-ერთი რუსი მოხელის ბულგაკოვის მიერ რუსეთის სამხედრო კოლეგიაში წარდგენილი მოხსენებითი ბარათი. მოვიტან ერთ ადგილს ამ ბარათიდან: „В распоряжении персидского шаха Ага-Магомеда все больше и больше накапливается значительное количество разного рода нашего оружия. Все это сделано совершенно секретно." (ЦГВИА. Фонд военно-ученого архива, д. № 5220, л. 11-12). სხვა რომ არაფერი გაგვაჩნდეს ხელთ, ეს დოკუმენტია საკმარისი, რომ წარმოიდგინოთ, რას უმზადებდა რუსეთი ქართლ-კახეთს.

არ იქნება სწორი, თუ კრწანისის ტრაგედიას მხოლოდ რუსეთის ვერაგული პოლიტიკით ავხსნით. რაც უფრო ხანში შედიოდა ერეკლე მეფე, მით უფრო სუსტდებოდა მისი ხელისუფლება. სამეფოს მართვა-გამგეობის საქმეებში სულ უფრო აქტიურად ერეოდა დარეჯან დედოფალი. ჩანს, სწორია ბუტკოვი, როდესაც წერს: „Царица Дария… с 1792 года почти самовластно Грузиею управляла". ბუტკოვს ეთანხმება გ. ქიქოძე: „რაც უფრო ბერდებოდა ასპინძის გმირი, მით უფრო ემორჩილებოდა ის უგუნურად პატივმოყვარე დედოფლის და მისი ფავორიტების ზეგავლენას". რეაქციონერმა დედოფალმა, ფაქტობრივად, დაღუპვის პირას მიიყვანა ქვეყანა. სწორედ მან დააშვებინა ღრმად მოხუცებულ ერეკლეს რამდენიმე საბედისწერო შეცდომა. დარეჯანის წყალობით ჩაიშალა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანების პროგრესული საქმე – დარეჯანს ერჩივნა იმერეთის ტახტზე თავისი ქალიშვილის – ელენეს ვაჟი ასულიყო, ოღონდ გაერთიანებული სამეფო არ რგებოდა მის გერს, ტახტის მემკვიდრე გიორგის.

დარეჯან დედოფალმა და მისმა რეაქციონერმა მომხრეებმა ერეკლეს ორი კანონი მიაღებინეს. პირველი ეხებოდა ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლას. საქართველოში ტახტი ტრადიციულად მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა. ახალი კანონით ერეკლეს უფროსი ვაჟის, გიორგის (დარეჯანის გერი) შემდეგ ტახტი გიორგის ძის ხელში კი არ უნდა გადასულიყო, არამედ მომდევნო ძმის ხელში. ამ კანონით დარეჯანს სურდა მეფობა ხელთ ეგდოთ მის შვილებს. თუ რა შედეგი მოჰყვა ამ გადაწყვეტილებას, კარგად წერს პლატონ იოსელიანი: „დასუსტდა პაზრი და მნიშვნელობა პირმშოობისა, ეცილებოდნენ მემკვიდრეობას, არა პატივს ცემდნენ პირველობასა და თვითეული წევრი სამეფოისა სახლისა გონებდა თავსა თვისსა მეფობისათვის გამზადებულად. სჯული არღა სჯულობდა სამეფოში, სადაცა უფლებდნენ მეფის ძენი და კარისკაცნი მათნი". კიდევ უფრო დამღუპველი გამოდგა მეორე ღონისძიება – მეფემ ბატონიშვილებს ცალ-ცალკე გამოუყო საუფლისწულოები. ყოველი უფლისწული თავის სამფლობელოში დამოუკიდებელ ხელმწიფედ მიიჩნევდა თავს, ასე რომ, ერთიანი ქართლ-კახეთის სამეფო, ფაქტობრივად, ცალკეულ საფეოდალოებად დაიშალა. შექმნილი ვითარების დახასიათებისას ბუტკოვი სამართლიანად შენიშნავს: Внутринния несогласия в Грузии в сие время разительно оказались. Царевичи, имея в руках знатнейшую часть царства, по погубному разделу оного на уделы, учиненному в 6 марта 1794 г. по влиянию царицы Дарии, в предосуждение князей, не мыслили о повиновении к Благу общему. Всякий усиливал свою партию и соделался в особенности как бы самовластным. Таким образом власть в столь малом царстве представляла вид безначалия". კრწანისის ბრძოლის წინ უფლისწულთა მოქმედების შესახებ ბუტკოვი წერს: „Тифлисцы надеялись, что каждый из царевичей пришлет из своего удела по 10 т. воинов, однако надежда сия не исполнилась, и они, как и царевич Георгий, совсем не слушали царя и отца". თვით დარეჯან დედოფალი მშვიდად შესცქეროდა ალა-მაჰმად ხანის მოახლოებას, რადგან იმედოვნებდა, რომ შაჰი გიორგის წაართმევდა ტახტის მემკვიდრეობის უფლებას და მემკვიდრედ მის საყვარელ შვილს – იულონს დანიშნავდა. ასეთ ვითარებაში საქართველო განწირული იყო. კრწანისის ტრაგედია ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა და რუსეთის პოლიტიკის ლოგიკური ფინალი იყო. ერეკლე II შეეძლო კრწანისის ტრაგედიის თავიდან აცილება. ამისათვის ორი გზა არსებობდა. ერეკლე II დროებით უნდა შეეცვალა ტაქტიკა და მოეგვარებინა ურთიერთობა ირანთან – მიეღო ალა-მაჰმად ხანის წინადადება, ან შესაფერისად მომზადებულიყო მტრის დასახვედრად.

ერეკლემ არც ერთი გააკეთა და არც მეორე. ბუტკოვი პირდაპირ მიუთითებს: „… Царь Ираклий, взывая непрестанно о помощи к генералу Гудовичу, и надеясь на одни только российския войска, слабо принимал собственныя свои меры к обороне". ამას თვითონ მეფეც ადასტურებს. 1795 წლის 15 სექტემბერს ერეკლემ წერილი გაუგზავნა ბატონიშვილ მირიანს და გარსევან ჭავჭავაძეს. წერილში აღნიშნულია: „… Я всегда, полагаясь на торжественный трактат всемилостивейшее обещания… не принял нужнаго приготовления".

როგორც ვხედავთ, ერეკლე II თვით ბოლო წუთამდე რუსეთზე ამყარებდა მთელ თავის იმედებს. ერეკლემ ვერ გამოიცნო, რომ რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ მხოლოდ რუსეთის პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი (ივ. ჯავახიშვილი). რუსეთის მთავრობას სურდა ქართველები უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად (ივ. ჯავახიშვილი). ერეკლეს ეს ბრმა რწმენა რუსეთის ერთმორწმუნეობაზე იყო დამყარებული. მას ღრმად სწამდა, რომ ქრისტიანული, მართლმადიდებლური რუსეთი არ გასწირავდა საქართველოს. მან, ისევე როგორც ვახტანგ VI, გადაჭარბებით შეაფასა რელიგიური მომენტი, ვერ გაითვალისწინა, რომ რუსეთის პოლიტიკაში რელიგიური მომენტი უკანა პლანზე იდგა. ამის შედეგი იყო, რომ ალა-მაჰმად ხანის 35000-ან არმიას ერეკლემ მხოლოდ 5000 მეომარი დაუპირისპირა. კრწანისის კატასტროფა გარდაუვალი იყო. მას შორს მიმავალი შედეგები მოჰყვა. კრწანისი 1801 წლის აქტის პრელუდია იყო.

მეფის მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომა სრულიადაც არ ამცირებს ერეკლე II უდიდეს ღვაწლს საქართველოს წინაშე. ერეკლე მეფის მთელი მოღვაწეობიდან გამომდინარე, პირადად მე დარწმუნებული არა ვარ, იარსებებდა თუ არა დღეს ქართლ-კახეთი, რომ არა ერეკლე მეორე. შემთხვევით არ თვლის ივ. ჯავახიშვილი მას უნიჭიერეს მხედართმთავრად, უწოდებს ამავე დროს „დიდ" და „ბრძენ" პოლიტიკოსსა და დიპლომატს. უნდა შევნიშნოთ, რომ ერეკლე, მართლაც, შესანიშნავად წარმართავდა ქართულ დიპლომატიას აშკარა მტრებთან – ოსმალეთთან და ირანთან. ამით აიხსნება, რომ ურთულეს ვითარებაში მეფემ შესძლო საქართველოსთვის თავიდან აეცილებინა ოსმალეთისა თუ ირანის შემოსევები (ალა-მაჰმად ხანის ლაშქრობამდე). მაგრამ ერეკლე სწორად ვერ გაერკვა რუსეთის პოლიტიკის არსში საქართველოს მიმართ. სახელოვანმა მეფემ შესანიშნავად იცოდა რა უნდა დაეპირისპირებინა მტრისათვის, მაგრამ დაიბნა „მოყვარესთან" ურთიერთობის დროს.

და ბოლოს მინდა გავიმეორო წერილის დასაწყისში ნათქვამი – არ შეიძლება პარალელი გავავლოთ ფეოდალურ რუსეთისა და დღევანდელ რუსეთს შორის. დღეს, მიმაჩნია, საქართველოს რუსეთთან უნდა ჰქონდეს ნორმალური, კეთილმეზობლური, მეტიც, მეგობრული ურთიერთობა (ისევე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფოსთან), ოღონდ ეს ურთიერთობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ოდნავადაც არ ილახებოდეს საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტი.

**დევი კაჭარავა.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 85-86, 146-147, 149, 151.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

GCF

№ 6
(52)

საქართველოს ჭადრაკის
ფედერაციისა და გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

## ვულოცავთ!



# საჭადრაკო ბატალიებში გამარჯვებისათვის – საბრძოლო ორდენები

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ჩვენი სასიქადულო მოჭადრაკეების – **მაია ჩიბურდანიძის, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანის, ნინო გურიელისა და ქეთევან არახამიას** III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

როგორც იტყვიან, დიდი წრე შეიკრა – ქვეყნის უმაღლესი საბრძოლ.ი ორდენებით ადრე (II და I ხარ(სხის ვახტანგ გორგასლის ორდე?ებით) დაჯილდოებულ ნონა გაფრ( ̈დაშვილს მხარი დაუმშვენა დიდე ;მა ხუთეულმა!

პ. რდაპირ უნდა ვთქვათ, ერთობ სიმბოლურია ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალების ღვაწლის საბრძოლო ჯილდოებით დაფასება.

შეიძლება უშუალო, თუმც, უხილავი პარალელების გავლება ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის იარაღით ხელში მეომრებისა და 64-უჯრიან შავ-თეთრ დაფებთან მრავალრიცხოვანი მეტოქეების წინააღმდეგ ინტელექტუალურ, მორალურ თუ ფსიქოლოგიურ ჭიდილში მებრძოლთა, ამჯერად – მოჭადრაკეთა ბატალიებს შორის.

იქაც და აქაც იბრძვიან საკუთარი ქვეყნის დასაცავად, მისი აწმყოსა და მომავლისათვის; იქაც და აქაც არის მწვავე დაპირისპირება სამშობლოს პრესტიჟისათვის.

ჩვენმა სასიქადულო ქალებმა არაერთი მაგალითი მოგვცეს იმისა, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მეტოქეს, გამოვიყენოთ მისი სისუსტეები, ავამოქმედოთ ჩვენი ტრადიციული, ძლიერი მხარეები, რაიც ისტორიულად მოდგამდათ ივერიელებს.

აქ ჩამოთვლა იმისა, თუ სად, რომელ „ფრონტზე“ იმარჯვეს ჩვენმა ქალებმა, რომელ ქვეყანაში დაამტკიცეს მაღალინტელექტუალური, მებრძოლი და ამაყი ხალხის იმიჯი, შეუძლებელი გახლავთ, რამეთუ, ეს სია ვერც კი მოექცეოდა დღევანდელი ჩვენი „ლაზიერის“ ჩარჩოებში. მათ შესახებ კარგად უწყის ბრძენთა თამაშის ქართველმა გულშემატკივარმა. დავძენთ, რომ სახელმოხვეჭილი, მართლაც ამაგდარი ჩვენი ქალების კვალდაკვალ მოდიან ახალგაზრდა, ხშირად ნორჩი მოჭადრაკეები, რომლებიც უკვე დიდ ასპარეზზე – ევროპის, მსოფლიო პირველობებზე გადიან დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. მათი მიღწევები გვარწმუნებს, რომ ჩვენი ორდენოსანი ქალბატონების მიერ გაკვალულ გზებზე ღირსეულად გააგრძელებენ სვლას ისინი, ვინც უკვე ფლობს უმაღლეს ტიტულებს თანატოლთა შორის. ამის თავდებია თუნდაც ის, რომ ჩვენი სასახლე – უკვე **ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის საჭადრაკო სასახლე** – დღენიადაგ ბრძოლის ველად არის ქცეული – 64-უჯრიან შავ-თეთრ დაფებთან „საშინაო ფრონტზე“ ბრძოლებში იწრთობიან ჩვენი ახალგაზრდები, საბრძოლო ორდენთა უეჭველი პრეტენდენტები.

ჩვენს ღირსეულ ქალბატონებს კი, მათ ვისაც მიენიჭათ სამშობლოს უმაღლესი საბრძოლო ორდენები, გვსურს, ვუსურვოთ კვლავაც დიდი წარმატებები, მხნეობა, ჯანმრთელობა, ბედნიერება ქვეყანასა და ოჯახებში.

**ანზორ ბასილაია.**

## კონტაქტები

# „რა ბედნიერი ხართ, ნონა მასწ!..“

**ამ სიტყვებით მიმართა 14 წლის ქუთაისელმა მოჭადრაკემ ნანა ძაგნიძემ ქალბატონ ნონას, როცა ბაქოს საერთაშორისო ტურნირისკენ მიმავალ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს და ჩვენს ახალგაზრდა მოჭადრაკეებს ზღაპრული შეხვედრა გაუმართეს შამქორის რაიონულ ცენტრში...**

– ბაქოში საერთაშორისო ნავთობკორპორაციის ინიციატივით წლეულს მესამედ ეწყობა ახალგაზრდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, – მითხრა ქალბატონმა ნონამ. – მასპინძლებმა გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებით მიგვიპატიჟეს. თბილისიდან მანქანით გავემგზავრეთ. წითელ ხიდთან შამქორის მერის ასლან ასლანოვის წარმომადგენლები დაგვხვდნენ. ჩინებული შეხვედრა მოგვიწყვეს. ბატონი ასლანოვი საქართველოს საპატიო მოქალაქეა და ღირსეულიც. იგი ძალიან ბევრს აკეთებს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობის გასამტკიცებლად. მერიაში დაგვათვალიერებინეს სპეციალური სტენდი, რომელზეც არჩევნებში ბატონ ედუარდ შევარდნაძის მხარდასაჭერად გამართული ღონისძიებებია აღბეჭდილი.

საგულისხმოა ისიც, რომ შამქორის მერი ძალისხმევას არ იშურებს კულტურული ურთიერთობების გასაღრმავებლად. ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები მოიხიბლნენ საქართველოს დელეგაციისადმი შამქორელთა გულითადი დამოკიდებულებით.

იხ. მე-7 გვ.

## ევროპის ჩემპიონატის შემდეგ

პოლონეთის დედაქალაქმა ვარშავამ ევროპის მოჭადრაკე ქალთა მე-2 ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 157 დიდოსტატი, საერთაშორისო და ეროვნული ოსტატი მონაწილეობდა. მათ შორის, 11 წარმომადგენელი – საქართველოდან: ნონა გაფრინდაშვილი, ქეთევან არახამია, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, ანა მათნაძე, სოფიკო ხუხაშვილი, სოფიკო ტერელაძე, სოფიკო გვეტაძე, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი და თამარ ხმიადაშვილი.

ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად გაიმართა. ფინიშზე ერთდროულად 7 მოჭადრაკეს თანაბარი ქულები აღმოაჩნდა, ამიტომ გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა ტაი-ბრეიქები. ნახევარფინალში ყველასთვის მოულოდნელად მოლდოველმა ელმირა სკრიპჩენკო-ლოტიემ რუსეთელ ალისა გალიამოვას სძლია, ფინალში კი ევროპის მარშანდელ ვიცე-ჩემპიონს ეკატერინა კოვალევსკაიას დააყრევინა ფარ-ხმალი. იყოჩაღა შოტლანდიაში გათხოვილმა ქართველმა დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ. მართალია, ნახევარფინალში იგი კოვალევსკაიასთან დამარცხდა, მაგრამ მესამე ადგილისთვის პაექრობა გალიამოვას მოუგო და ბრინჯაოს მედალი და წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ფორუმში მონაწილეობის უფლება დაიმსახურა დიდოსტატმა ნინო ხურციძემაც. სხვები ულიცენზიოდ დარჩნენ (ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა შეჯიბრებაზე პერსონალურად მიიწვია).

ვაჟთა ევროპის ჩემპიონატში სხვადასხვა ქვეყნის 204 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს როგორც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს, ასევე მსოფლიო ჩემპიონატის 46 საგზურს. მაკედონიაში გამართულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტმა, დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა. მან მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ყოფილი შეგირდი, უნგრელი იუდით პოლგარი დაამარცხა. დიდოსტატები ზურაბ სტურუა და გიორგი ყაჭეიშვილი, საერთაშორისო ოსტატები – ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი და ზვიად იზორია უსაგზუროდ დარჩნენ.

# „ცხელი წერტილიდან“ – ლივლივა ზღვისკენ



**როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტმა, დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა მაკედონიაში ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა მე-2 ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. „ბებერი კონტინენტის“ „ცხელი წერტილიდან“ დაბრუნებულმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენცია გამართა.**

– ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მასობრივი ტურნირი იყო, – თქვა ბატონმა ზურაბმა. – შეჯიბრებაში 160-მდე დიდოსტატი მონაწილეობდა, რომელთაგან ოქროს 46 მაძიებლის რეიტინგი 2600-ს აღემატებოდა. ცხადია, უძლიერესი შემადგენლობის თავმოყრა განაპირობა არა მარტო ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვების სურვილმა. ისინი ფინანსურ კეთილდღეობასთან ერთად თავგამოდებით იბრძოდნენ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურების მოსაპოვებლად. მხოლოდ ხუთ დიდოსტატს – ნაიჯელ შორტს, მიხეილ გურევიჩს, ლოეკ ვან ველს, მიხეილ კრასენკოს და მე უკვე გვქონდა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოპოვებული.

***– აქტიური ბრძოლა ბოლომდე არ შეგიწყვეტიათ, იმის მიუხედავად, რომ 6 ტურის შემდეგ მხოლოდ 3 ქულა გქონდათ...***

– მეოთხე-მეექვსე ტურები ჩემთვის უიღბლოდ წარიმართა. მე-4 ტურში პარტიას ვუგებდი ესპანელ ვალეხო პონსის. მეტოქემ კი არაკორექტულად ყაიმი შემომთავაზა. ეტყობა, ამან ძალიან ამაღელვა და ის ხელი წავაგე. მერე ზედიზედ ორი პარტია დავასრულე ყაიმით, ბოლო 7 შეხვედრაში კი 6 ქულა ავიღე. მეცხრე ტურში ყოფილი საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონმა ლევ ფსახისმა მე-9 ტურში თეთრებით მე-6 სვლაზე შემომთავაზა ყაიმი და ეს წინადადება მივიღე, მე-11 ტურში კი მე და ყაჭეიშვილი მე-3 სვლაზე დავზავდით. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატის ბოლო ორი ტური უინტერესო გამოდგა, რადგან ის მოჭადრაკეები, რომლებსაც მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მოპოვებული ჰქონდათ, ერთმანეთთან ორთაბრძოლას ერიდებოდნენ და პარტიები ყაიმებით მთავრდებოდა.

***– საგზური თქვენც ხომ გქონდათ, ლოეკ ვან ველისთან რატომ გარისკეთ ბოლო ტურში?***

– ჰოლანდიელთან მე ჩემი ანგარიშები მაქვს. თურქეთში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე დავმარცხდი და რევანში მწყუროდა. ვან ველიზე კასპაროვმა თქვა: თეთრებით 2800 კოეფიციენტის მოთამაშეა, შავებით კი – 2600-ისაო. არადა, სწორედ შავი ფიგურებით ვეთამაშე. დებიუტიდან გამოსვლის შემდეგ ლოეკს დაზავებაზე უარი ვუთხარი. სტამბოლისგან განსხვავებით, მეტოქეს რამდენიმე სიახლე შევთავაზე, რამაც, ეტყობა, იგი დააბნია და ბოლოს დამნებდა. ვიქტორ კორჩნოი მოვიდა ჩემთან და მითხრა, თქვენმა თამაშმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, ძალიან ეფექტური პარტია იყოო.

***– ამ გამარჯვებით თქვენ ბრინჯაოს მედლისკენ გაგეხსნათ გზა. გაგეხარდათ თუ გეწყინათ ყოფილ შეგირდთან – იუდით პოლგართან რომ მოგიწიათ თამაში?***

– სჯობდა კი, სხვა ყოფილიყო. მატჩის წინა დღეს იუდითის ამჟამინდელ მწვრთნელს ლევ ფსახისს ვკითხე, როგორ მოემზადეთ-მეთქი ჩემთან შესახვედრად. გაიცინა და ასე მითხრა: ვურჩიე, კომპიუტერში ნახე, აზმაიფარაშვილს როგორ მოუგე 1989 წელს და შენი მომზადებაც ეს იქნება-მეთქი. მწვრთნელმა ფსიქოლოგიური განწყობა შეუქმნა პოლგარს ორთაბრძოლის წინ. მართლაც, უნგრელმა პირველი პარტია ჩინებულად წარმართა. დებიუტიდან გამოსვლისას პაიკიც დავკარგე, მაგრამ ორი კუს კომპენსაცია მქონდა და საბოლოოდ დავზავდით. აი, მეორე პარტიაში კი თეთრებით სრულ უპირატესობას მივაღწიე და გავიმარჯვე კიდეც. პოლგარმა, საერთოდ, კარგად ითამაშა ამ ჩემპიონატში, ოქროს მედლის მოპოვებაც შეეძლო.

***– ჩემპიონზე რას იტყვით?***

– ემილ სუტოვსკი, წარმოშობით ბაქოელი, 9 წელიწადია ისრაელში ცხოვრობს. ფინალურ მატჩში ყველა მონაწილე მას გულშემატკიერობდა.

***– რუსლან პონომარიოვმა რა დააშავა?***

– ახალგაზრდა უკრაინელი მოჭადრაკე ვერ მოიქცა კორექტულად. მეთერთმეტე ტურის წინ იგი დიდოსტატურ ყაიმზე შეუთანხმდა თეთრებით მოთამაშე კონსტანტინ ასეევს. ორთაბრძოლის დაწყებამდე ოცი წუთით ადრე კი პონომარიოვმა მეტოქეს განუცხადა, ჩემი სპონსორი ყაიმზე თანახმა არ არის, ამიტომ პარტიას ბოლომდე ვითამაშებთო. ცხადია, ამგვარმა უტიფრობამ ასეევი მდგომარეობიდან გამოიყვანა და პარტია წააგო. ეს ამბავი მალევე გახმაურდა, ამიტომაც ქომაგობდნენ სუტოვსკის.

***– მაკედონიაში თქვენ გარდა, კიდევ ექვსი ქართველი თამაშობდა...***

– მათ შორის, ერთი მოსკოველი იყო, მიხეილ ქობალია, რომელმაც საბოლოოდ 45-ე ადგილი დაიკავა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც მიიღო. რაც შეეხება საქართველოს წარგზავნილებს, ტურნირი კარგად დაიწყეს ზურაბ სტურუამ და ბაადურ ჯობავამ, შემდეგ მათ შეუერთდა გიორგი ყაჭეიშვილიც, მაგრამ ბოლო ტურებში არასტაბილურად ითამაშეს და ულიცენზიოდ დარჩნენ.

***– როგორ იყო ჩემპიონატი ორგანიზებული?***

– იმის მიუხედავად, რომ მაკედონია „ცხელ წერტილად“ ითვლება, მასპინძლებმა იმდენი მოახერხეს, ოჰრიდის ტბაზე ეს „სიცხე“ სულაც არ გვიგრძვნია. მთელი ტურნირი მშვიდად წარიმართა. მოჭადრაკეებს ყოველგვარი პირობა ჰქონდათ, ეთამაშათ და აქტიურად დაესვენათ კიდეც. პრიზებიც საკმაოდ სოლიდური იყო – საერთო თანხამ 240 ათასი დოლარი შეადგინა. ადგილობრივი პრესა და ტელევიზიაც აქტიურად გამოეხმაურა ამ შეჯიბრებას.

***– უახლოეს გეგმებს ხომ ვერ გაგვაცნობთ?***

– ბათუმში 26 ივნისს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატი დაიწყება ქალთა და ვაჟთა შორის. უამრავ სტუმარს ველით, განსაკუთრებით ვაჟებს, რადგან ბათუმში პირველ ადგილზე გასული მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მიიღებს...

*აქვე გაუწყებთ, რომ აჭარის დედაქალაქის ჭადრაკის სასახლეში უკვე დაიწყო 8-დან 16 წლის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობა, რომელშიც შავი ზღვის აუზის ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობენ.*

*ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ 6-9 ივლისს გაიმართება ტურნირი სწრაფ ჭადრაკში მეფე აბაშიძის თასზე და „ალორძინების“ პრიზზე.*

**ვაჟა დანელია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 152. შაბათი, 23 ივნისი, 2001 წელი.

რეფორმა

# რა შეუძლია „სამეფო" თამაშს

სპორტის, მეცნიერებისა და ხელოვნების ამ სინთეზური სახეობისადმი ინტერესი კვლავაც დიდია ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ საქმე ბევრად მეტ ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა ახალი გზით სიარული, რაც, უპირველესად, საზოგადოების მასობრივ დაინტერესებას გულისხმობს ჭადრაკით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ძველი ცივილიზაციისა და უდიდესი კულტურის მქონე სახელმწიფოში ურიგო არ იქნება, ყოველი მეორე მოყვარულის დონეზე ფლობდეს ხელოვნებას თამაშისას, რომელსაც თავისი ლამაზი წარსულის გამო „სამეფო" უწოდეს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ერის ბუნებრივი მონაცემები იოლად ისისხლხორცებს მაღალ ინტელექტუალურ და რაინდულ ნორმებს სპორტის აღნიშნული სახეობისადმი. ცხადია ისიც, რომ ჭადრაკს განსაკუთრებული როლი ენიჭება მოზარდის გონებრივ აღზრდა-ჩამოყალიბებაში. იგი აჩვევს ფიქრს, დამოუკიდებლობას, მიზანდასახულობას, ობიექტურობას, შრომისმოყვარეობას. ანვითარებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა ბრძოლისუნარიანობა, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება, ნებისყოფა და სხვა. ტყუილად როდია, რომ ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში (ჩინეთი, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვა) ჭადრაკი სასწავლო საგნადაა ჩასმული საგანმანათლებლო პროგრამაში.

ჩვენს ქვეყანაშიც, როგორც იტყვიან, ამ მხრივ ყინული დაიძრა. საქართველოს პრეზიდენტის სპეციალურ ბრძანებულებაში სწორედ ჭადრაკის სასწავლო პროგრამაში შეტანაზე იყო გამახვილებული ყურადღება.

1998 წლის 1 სექტემბრიდან გიორგი ნიკოლაძის სახელობის სპორტულ ლიცეუმსა და 38-ე საშუალო სკოლაში (დირექტორები თ. ჭაბუკიანი, გ. ჯავახაძე) იმართებოდა ექსპერიმენტული გაკვეთილები. სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ მიღებულმა შედეგმა მიგვანიშნა, რომ ჭადრაკის სწავლების პროგრამა და სასწავლო გეგმა მოითხოვდა მეტ დახვეწას და, რაც მთავარია, სპეციალური სახელმძღვანელოს მომზადებას.

განხორციელდა აღნიშნული პრობლემის უფრო ღრმად შესწავლა, გადამუშავდა ათობით ქართული და უცხოური ლიტერატურა, საჭადრაკო კომპიუტერული პროგრამები, გაიმართა ლიტერატურული გამოკითხვა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ჭადრაკის მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებთან და სპეციალისტებთან, ამის შემდეგ მომზადდა ჭადრაკის სწავლების პროგრამა დაწყებითი სკოლების (I-IV) კლასებისათვის და I კლასის სასწავლო გეგმა.

ამ საკითხის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო 1999 წელს იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის (პრეზიდენტი **გოგი ქელბაქიანი**) მიერ დამტკიცებულმა ორწლიანმა სამოქმედო პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებს იმერეთში ბავშვთა ჭადრაკის მასობრივი დანერგვის მასშტაბურ ღონისძიებებს. მათი ცხოვრებაში რეალური განხორციელების მიზნით მომზადდა და მიღებულ იქნა იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის თემურ შამიაშვილის განკარგულება „იმერეთის მხარეში ჭადრაკის განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ქუთაისის განათლების სამმართველომ (ნორა ბოჭორიშვილი) მოიწონა და დაწყებით სკოლებში სასწავლო საგნად დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს განათლების სამინისტროს.

2000 წლის 1 სექტემბრიდან ქუთაისში ექსპერიმენტის სახით ჭადრაკის სწავლება დაიწყო № 1 დაწყებით სკოლაში (დირექტორი ე. ჯოშიაშვილი) მასწავლებლად საჭადრაკო კლუბის „მაიას" მწვრთნელი **ნინო ვარდოსანიძე** მუშაობდა, ხოლო № 2 დაწყებითში (დირექტორი ც. ჯაფარიძე) ასწავლიდა **ალეკო არსენიძე**.

ორივე სკოლაში 250-ზე მეტი პირველკლასელი გაეცნო ჭადრაკის თამაშის საიდუმლოს სპეციალური საპროგრამო მასალით მომზადებული მეთოდური გაკვეთილებით. მე-2 დაწყებით სკოლაში პირველი სემესტრის ბოლოს გაიმართა გაკვეთილი, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა.

2001 წლის 25 მაისს ქუთაისს ეწვია მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ქართული ჭადრაკის მემატიანე თენგიზ გიორგ[illegible]იამ ნორჩ მოჭადრაკეებთან ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 30 დაფაზე. მეტოქეთაგან ერთ-ერთმა – მარიამ დარახველიძემ სანუკვარ ყაიმსაც მიაღწია.

ასევე წარმატებით განხორციელდა აღნიშნული პროგრამა დაწყებით სკოლაშიც, სადაც ორი ღია გაკვეთილი გაიმართა. ერთ-ერთს დაესწრნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი დავით გურგენიძე, ქუთაისის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ რობაქიძე და სხვები.

ახალგაზრდა პედაგოგმა ნინო ვარდოსანიძემ შესანიშნავი თეატრალური საჭადრაკო გაკვეთილი გამართა უაღრესად ემოციური მუხტის ფონზე. მხოლოდ ის იყო დასანანი, რომ ეს გაკვეთილი ვერ ნახა დამწყებ ბავშვებთან მომუშავე ყველა მწვრთნელმა.

ქუთაისის მაგალითზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი კლასებში ჭადრაკის საგნად სწავლებამ მართლაც გაამართლა. არსებობს უკვე საკმაო გამოცდილებაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჭადრაკის ფედერაციამ განათლების სამინისტროსთან ერთად უნდა განახორციელოს ღონისძიებანი ამ საინტერესო ექსპერიმენტის შემდგომი გაღრმავების მიზნით.

**დავით გურგენიძე.**

მიწერ-მოწერა

# „ოქრო" — კონვერტით

## პაატა გაფრინდაშვილის დიდი წარმატება

ამას წინათ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ოლიმპიური რეზერვის საჭადრაკო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგმა პაატა გაფრინდაშვილმა იტალიიდან ჭადრაკის მიწერ-მოწერითი თამაშის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი მესვეურის ევგენი კარელინის წერილი მიიღო. მას შეატყობინეს მიწერ-მოწერით თამაშში ევროპის 1998-2000 წ.წ. პირველობის დამთავრების შესახებ და მიულოცეს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. კარელინი წერს, რომ პირველობის შედეგები ოფიციალურად შეჯამდება სექტემბერს, იტალიაში, მიწერ-მოწერით საერთაშორისო ფედერაციის მორიგ კონგრესზე, სადაც იგი ოფიციალურად გამოცხადდება ევროპის ჩემპიონად და საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭება.

„ლაზიერიც" ულოცავს პაატა გაფრინდაშვილს დიდ წარმატებასა და დიდ აღიარებას.

საქართველოში არასოდეს ყოფილა პოპულარული მიწერ-მოწერითი თამაში, რის გამოც ყოველთვის გვსაყვედურობდა მიწერ-მოწერითი თამაშის საკავშირო ფედერაცია. ასე რომ, პაატა გაფრინდაშვილი იქნება პირველი ქართველი ოსტატი მიწერ-მოწერით თამაშში.

ევროპის პირველობაში, რომელიც



ორ წელიწადს გრძელდება, შვიდი ქვეყნის (გერმანია, შვეცია, რუსეთი, იტალია, საქართველო, საფრანგეთი, ლუქსემბურგი) 15 მოჭადრაკე მონაწილეობდა. თამაში ელექტრონული ფოსტით მიმდინარეობდა. პაატამ 11,5 ქულა დააგროვა (+11-1=1) და თუმცა, ერთი პარტია დარჩა დასამთავრებელი, მაგრამ მის შედეგს აღარ აქვს მნიშვნელობა. მეორე ადგილი დაიკავა გერმანელმა ე. ჰობუშმა – 10,5, მესამე – ფრანგმა ჯ. ლეკონტმ – 10. საინტერესოა, რომ პაატამ ეს ორივე მეტოქე დაამარცხა.

– ჩემი მიღწევა შემთხვევითი არ არის, – გვითხრა პაატამ. მიწერ-მოწერით ტურნირებში 1990 წლიდან ვმონაწილეობ. წარმატებით გამოვდიოდი მსოფლიო პირველობის სხვადასხვა შესარჩევ ტურნირში, სადაც საკმაო გამოცდილება შევიძინე. ევროპის პირველობაში რომ მიმიწვიეს საასპარეზოდ, დიდი ბრძოლისთვის მზად ვიყავი. თამაშს ძალიან სერიოზულად მოვეკიდე. როგორც ხედავთ, შედეგმა არ დააყოვნა. ეს მიღწევა ყველაზე დიდია, რაც აქამდე მქონდა. ახლა უფლება მაქვს, განვაგრძო თამაში მსოფლიო პირველობის ნახევარფინალში, რომელიც გაისად დაიწყება.

როგორ ვაპირებ მომზადებას? ფაქტობრივად, უკვე დავიწყე მომზადება. საქმე ისაა, რომ ამჟამად ერთდროულად დიდ ტურნირში – მიწერ-მოწერით მსოფლიო ექსჩემპიონების, დიდოსტატების პეტრე ბუდინინისა და ვლადიმერ ზაგოროვსკის მემორიალებში ვმონაწილეობ, სადაც, სხვათა შორის, საერთაშორისო დიდოსტატის ნორმაც არის დაწესებული. ცხადია, შევეცდები, ეს ზღუდეც დავძლიო.

შარშან პაატა გაფრინდაშვილმა უაღრესად საინტერესო წიგნი გამოსცა (რუსულ ენაზე) „რეცეპტი სისულელეებისგან", რომელიც მოჭადრაკის აზროვნების საინტერესო საკითხებს შეეხება. ეს წიგნი და ბოლო სპორტული მიღწევა მეტყველებენ, რომ ნიჭიერი ოსტატი შემოქმედებითი ზრდის პროცესში იმყოფება. მისგან ნამდვილად უნდა ველოდოთ ახალ წარმატებებს.

**ნინო იმესაშვილი.**

ქარსელაძის მემორიალი

# „აისი", „მართვე", „ვეფხვი" და სხვა



ცნობილი მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის მემორიალში 10 და 14 წლის მოჭადრაკეთა 24-24 გუნდი მონაწილეობდა (თითოეულში 3 ვაჟი და 1 გოგონა. თუმცა ზოგიერთ გუნდში გოგონები ვაჟთა დაფებზეც თამაშობდნენ).

ათწლიანთა ფინალში თბილისის „აისმა" (ნიკა ვოლკოვი, რატი ბანძელაძე, მარიამ დანელია, ნაზი პაიკიძე, მწვრთნელი გოგი მაჭარაშვილი) ზუგდიდის „ნონას" (მწვრთნელი გოჩა თორია) სძლია – 2,5:1,5. ვაჟთა მესამე დაფაზე აისელმა მარიამ დანელიამ 8-დან 7,5 ქულა მოაგროვა, ხოლო IV დაფაზე ნაზი პაიკიძემ ყველა მეტოქე დაამარცხა.

მესამე ადგილი თბილისის „მართვე-147"-მა (მწვრთნელი ზაზა ჭკუასელი) დაიკავა.

თოთხმეტწლიანებში ყველას აჯობა თბილისის „ვეფხვმა" (რეზო კორძაია, ბელა ხოტენაშვილი, მარი პეტრიაშვილი, თამარ გახოკიძე, მწვრთნელი თამარ ხმიადაშვილი). მან ფინალში „გაენათს" (მწვრთნელი რეზო მეგრელაძე) მოუგო. მესამე იყო „არწივი" (მწვრთნელი გოგი მაჭარაშვილი).



სურათებზე: ზემოთ „ვეფხვი", ქვემოთ – „აისი" და „არწივი".

ვაჟა დანელიას ტექსტი და ფოტო.

ტურნირი

# კოეფიციენტის ძალა



თორმეტწლიანთა საქართველოს პირველობას თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. გოგონათა შორის 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდის II საშუალო სკოლის მოსწავლემ, შარშანდელი ევროპის პირველობის „ვერცხლის" პრიზიორმა **მადონა ბოკუჩავამ** (მწვრთნელი გოჩა თორია). ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე იყო თბილისელი თეონა მესხი. 6,5 ქულით მესამე ადგილი ხვდა ქუთაისელ ანა მეძმარიაშვილს.

ვაჟებშიც პირველი ადგილის ბედი კოეფიციენტმა გადაწყვიტა. ჩემპიონობა 7,5 ქულით მცხეთელმა **შოთა აზალაძემ** (მწვრთნელი პარმენ გელაზონია) მოიპოვა. ასევე 7,5 ქულით მეორე ადგილზე ბათუმელი გაიოზ ნიგალიძე გავიდა. გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ თბილისელი ვახტანგ ხიზანაშვილი და სამტრედიელი დავით ჯოჯუა. უკეთესი კოეფიციენტით „ბრინჯაო" ხიზანაშვილს ერგო.

**სურათზე:** გოჩა თორია და მისი მეგირდი მადონა ბოკუჩავა.

ვაჟა დანელიას ტექსტი და ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

კონტაქტები

# „რა ბედნიერი ხართ, ნონა მასწ!..“

(მეხუთე გვერდიდან)

*— ბაქოშიც ასე გულთბილად მიგიღეს?*

— აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩასვლამდე გეოგჩაიშიც გველოდნენ, მაგრამ ჩვენ სხვა გზით წავსულვართ და მხოლოდ უკან გამობრუნებისას შევხვდი იქაურებს. აზერბაიჯანელებმა იქაც შთამბეჭდავი შეხვედრა მომიწყვეს. დამათვალიერებინეს საჭადრაკო სკოლა, მათი აღზრდილი ქალვაჟი თურმე სტამბოლის საჭადრაკო ოლიმპიადაზე აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების პირველ დაფებზე თამაშობდნენ. აი, ბაქოს სტუმართმოყვარეობამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩინებულ სასტუმროში დაგვაბინავეს, შეხვედრა მოგვიწყო აზერბაიჯანის სპორტის მინისტრმა. ძალიან განმაცვიფრა ახალი ოლიმპიური კომიტეტის შენობამ თავისი ცენტრით — მოედნებით, დარბაზებითა და საცურაო აუზებით. უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს აზერბაიჯანის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს სპორტის განვითარებას.

პერსპექტიულ ახალგაზრდა სპორტსმენებს უნიშნავენ სოლიდურ სტიპენდიებს. მაგალითად, ახალგაზრდა დიდოსტატს თეიმურ რაჯაბოვს და კიდევ რამდენიმე იმედისმომცემ მოჭადრაკეს ისეთი სტიპენდიები აქვთ, რომ ნებისმიერტურნირზე შეუძლიათ გამგზავრება საკუთარი სახსრებით.

აზერბაიჯანის ჭადრაკის ფედერაციაში ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ფაიკ ჰასანოვი, რომელიც მრავალ საერთაშორისო ტურნირს ემსახურება როგორც მსაჯი. იგი 30 წელიწადია უძღვება ტელევიზიით საჭადრაკო კლუბს და საინტერესო გადაცემებს აწყობს ჭადრაკის თემაზე. ბატონმა ფაიკმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩემი საიუბილეო საღამოს ვიდეოჩანაწერი მთხოვა თავისი გადაცემისათვის. მადლობა მინდა ვუთხრა ყურადღებისთვის აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს, რომლებიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ ბაქოში. უკან დაბრუნებისას, კვლავ არნახული გულისხმიერება გამოიჩინეს შამქორელებმა — წითელ ხიდამდე მომაცილეს.

ჩვენი დელეგაციის მიმართ გამოჩენილი ეს დიდი ყურადღება, სითბო, სიყვარული და პატივისცემა ნათელი დადასტურებაა ორი მეზობელი ერის ურთიერთმეგობრული დამოკიდებულებისა, რომლის განმტკიცებასაც ასე ძალუმად უწყობენ ხელს ორივე ქვეყნის პრეზიდენტები — ედუარდ შევარდნაძე და ჰეიდარ ალიევი.

*— ტურნირზე რას იტყვით?*

— შეჯიბრებაში 16 წლამდე ყმაწვილები მონაწილეობენ: ორ-ორი გუნდი აზერბაიჯანიდან და საქართველოდან, თითო — რუსეთიდან და ირანიდან. ამ ექვს გუნდს შორის გოგონებისგან მხოლოდ ჩვენი მეორე ნაკრებია დაკომპლექტებული ნანა ძაგნიძის, სოფიკო ხუხაშვილის და ალა ვახანიას შემადგენლობით. ჩვენმა გოგონებმა ორი შეხვედრა მოიგეს, რუსეთის ძლიერ გუნდთან კი დამარცხდნენ. ტურნირის ბოლომდე კიდევ ორი ტურია სათამაშო და პრიზიორებიც მერე გამოვლინდებიან.

ესაუბრა
ლექსო ცინცაძე.

სპარტაკიადა

# მასპინძლებმა იმარჯვეს

საქართველოს მოსწავლეთა წლევანდელი სპარტაკიადა მოჭადრაკეებმა გახსნეს. 16-25 მაისს ქუთაისში გამართული საქართველოს 14 წლის მოჭადრაკეთა პირადი პირველობა ამავე დროს რეგიონებს შორის საუკეთესო გუნდის გამოვლენას ისახავდა მიზნად.

იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელთა დიდი ძალისხმევით ტურნირი საინტერესოდ ჩატარდა. ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემ (დირექტორი გურამ ძოწენიძე) გულდიად უმასპინძლა ათი რეგიონის 93 ნორჩ მოჭადრაკეს.

გოგონათა ტურნირში ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ შვიდი პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაამთავრა და პირველი ადგილი დაიკავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ბათუმელი სალომე მელია... მესამე ადგილზეა თელაველი გელა ხოტენაშვილი — 6,5 ქულა.

ჭაბუკთა ტურნირში თერჯოლელმა გიგა ყუფარაძემ იმარჯვა — 7 ქულა. ამდენივე ქულით მეორე ადგილზეა თბილისელი ვახტანგ ხიზანაშვილი, 6,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა სამტრედიელმა სიმონ ხაჟალიამ.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდურ ჩათვლაში მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონობა იმერეთის მხარის მოჭადრაკეემა მოიპოვეს. მეორე ადგილზე თბილისელი მოჭადრაკეები არიან, მესამეზე კი აჭარის წარმომადგენლები.

გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა თემურ შაშიაშვილმა გადასცა.

ტურნირის საზეიმო დახურვას ესწრებოდნენ ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე.

ლელა თანდაშვილი.

რეგიონი

# სწრაფი და ელვისებური

ზესტაფონის საჭადრაკო კლუბში გაიმართა რაიონის პირველობა. ტურნირი მიეძღვნა სს „საქაბელის“ ყოფილი დირექტორის, ჭადრაკის ქომაგის **გურამ კუჭუხიძის** ნათელ ხსოვნას. 18 მოჭადრაკეს შორის 15 ქულით უძლიერესი აღმოჩნდა ეროვნული ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში ჯემალ მახათაძე, მას ნახევარი ქულით ჩამორჩა გივი ჭუმბურიძე, მესამე ადგილზე გავიდა ჰამლეტ ვასაძე — 14 ქულა. თითოეულ პარტიაზე მოჭადრაკეებს 30-30 წუთი ჰქონდათ გამოყოფილი.

მეორე ტურნირი კი ელვისებური ჭადრაკის წესებით გაიმართა, 5 წუთი თითოეულ პარტიაზე. აქ პირველობა არავის დაუთმო ჰამლეტ ვასაძემ. მეორე შედეგი აჩვენა ახალგაზრდა გარი ღათიაშვილმა.

წარსულის ფურცლები

# მინი-ფოტოგამოფენა

ქართული ჭადრაკის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. მან ბევრი საინტერესო ამბავი შემოგვინახა ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებაზე. კერძოდ, თამაშით გატაცება, მოჭადრაკის დაფასება და მისი ღირსებების აღნიშვნა, ქართული საჭადრაკო ტერმინები, თამაშის სიბრძნის ქებათა-ქება და ბევრი სხვა, რაც ამშვენებდა ქართველი კაცის სულიერებას.

ჟამთასვლაში გამორჩეულია XIX საუკუნე. მან შემოგვინახა იმდროინდელი საჭადრაკო ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა. როგორც იცით, თვით ფოტოხელოვნება ამ საუკუნის პირმშოა და, ცხადია, მან თავად „დაივალა“ ბრძენთა თამაშისადმი ყურადღება.

სამწუხაროდ, ქართული ჭადრაკის ფოტოკოლექცია არც ისე მდიდარია, მაგრამ ბევრისმეტყველი. დღეს გვსურს, წარმოგიდგინოთ ყველაფერი, რაც გაგვაჩნია.

ვისაც უფრო წვრილად აინტერესებს ჩვენი მინი-ფოტოგამოფენის მონაწილეთა საჭადრაკო თავგადასავალი, შეგიძლიათ ამოიკითხოთ ჩვენს წიგნებში „ჭადრაკს გამიჯნურებულნი“ (თბილისი, 1967 წ.) და „ქართული ჭადრაკის მატიანე“ (წიგნი მესამე, თბილისი, 2001 წ.).

თენგიზ გიორგაძე.



ეს ფოტო გადაღებულია 70-იან წლებში ქუთაისში. მასზე აღბეჭდილი არიან ლეჩხუმელი თავადი ვარდადებულ ჩიქოვანი (ფოტინეს ძმა) და ცნობილი ინჟინერი გიორგი ბებურიშვილი. ვარდადებულის მამა გრიგოლ ჩიქოვანი დიდხანს ცხოვრობდა იმერეთის მეფის სოლომონ პირველის კარზე. სწორედ აქ შეიყვარა მან ჭადრაკი და მერე იგი შვილებს დაანათლა.

გიორგი ბებურიშვილი კარგად იცნობდა ანდრია დადიანს, კიდეც უთამაშია მასთან. მათი პარტიის ჩანაწერი დაცულია ზუგდიდში, ანდრია დადიანის არქივში. როგორც ინჟინერმა, მან გზა გაიყვანა ქუთაისიდან ონში. ცაგერის რაიონში ამჟამადაც არის „ბებურიშვილის წყარო“, რომელიც ამ კეთილ მამულიშვილს გაუკეთებია.



ჭადრაკის დიდი თაყვანისმცემელი იყო სულმნათი ილია ჭავჭავაძე. მას უყვარდა პაექრობა ძლიერ მეტოქესთან. ერთ-ერთი „კერკეტა“ მოჭადრაკე გახლდათ ვექილი ვასილ მაჩაბელი. სწორედ მასთან თამაშისას არის გადაღებული ეს ფოტოსურათი 1873 წელს პეტერბურგში, სადაც ილია საბანკო საქმეებზე იყო ჩასული. იგი ვანო მაჩაბელთან ერთად მოცალეობის ჟამს თარგმნიდა შექსპირს, ეჯიბრებოდა ჭადრაკში ვანოს უფროს ძმას. ჩანს, თავგამოდებულმა მეტოქეებმა სამახსოვროდ გადაიღეს ეს სურათი.



ალბათ, იცანით — პირველი ქართველი მოჭადრაკე ანდრია დადიანი მეკვლე ქართული ჭადრაკისა საერთაშორისო სარბიელზე. ფოტო გადაღებულია 80-იან წლებში. ამ დროს ანდრია უკვე ცნობილი მოჭადრაკე იყო. მისი პარტიები და წერილები ისტამბებოდა ევროპის საჭადრაკო ჟურნალებში.



ჭადრაკს ეტრფოდა აკაკი წერეთელიც. მან შესანიშნავი მოგონებები დაგვიტოვა თავის მოჭადრაკე მამაზე — როსტომ წერეთელზე. თავადაც გატაცებული მოჭადრაკე იყო. მას საგანგებოდ იწვევდნენ ხოლმე საპაექროდ. ამის თაობაზე „მოსაწვევი ბარათიც“ არსებობს.

წვეულებებზე დიდ პოეტს არ ავიწყდებოდა პაექრობა ჭადრაკში, თუ შესაფერი მეტოქე გამოჩნდებოდა.

მწერალსა და დიდ საზოგადო მოღვაწეს ვანო მაჩაბელსაც უყვარდა ჭადრაკი. გასაკვირი როდია მისი და აკაკი წერეთლის პაექრობა. თამაშს ესწრება ვანოს მეუღლე ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილი (ეს სურათი მ. ვალბოლსკის რეპროდუქციაა ძველი ფოტოსურათიდან).



საქართველოში მუდამ იყვნენ მოჭადრაკე ქალები, მაგრამ მემატიანემ ვერ შემოგვინახა მათი ფოტოები. სურათზე აღბეჭდილია რაჭა-ლეჩხუმში ცნობილი მოჭადრაკე ქალი ფოტოზე ჩიქოვანი-ასათიანისა სოფელ დერჩიდან (წყალტუბოს რაიონი). ქალბატონი ფოტინე გადაღებულია თავის შვილებსა და შვილიშვილებთან. ფოტო თარიღდება 90-იან წლებით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ქველმოქმედება

# «ვეფხისტყაოსანი – 800»

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენება" თავმჯდომარემ **ბონდო კობაძემ** კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება გამართა, ამჯერად – რუსთავში. მისი დევიზი გახლდათ „XXI საუკუნის ახალ საქართველოს – ჯანმრთელი თაობა". ეს საქველმოქმედო ღონისძიება „ვეფხისტყაოსნის" 800 წლისთავს მიეძღვნა.



მწერლებთან, მსახიობებთან და ექიმებთან ერთად, როგორც უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რუსთავში მოჭადრაკეებიც მიიწვიეს.

ახალგაზრდა დიდოსტატებმა **ნინო ხურციძემ და მაია ლომინეიშვილმა** საჭადრაკო კლუბ „ქამელეონში" ერთდროული თამაშის სეანსი გამართეს. მასპინძლებმა მხოლოდ რამდენიმე ყაიმს მიაღწიეს, ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა ნორჩი რუსთაველი მოჭადრაკე... ნონა გაფრინდაშვილი.

საქველმოქმედო ღონისძიება, რომელიც ძალიან საინტერესო პროგრამით წარიმართა, სიკეთის და მადლიერების გრძნობით იყო განმსჭვალული.

**გივი დავითაშვილი.**

**სურათებზე: სეანსს ატარებენ ნინო ხურციძე და მაია ლომინეიშვილი.**



კომპოზიცია

# შამათის იდეა ეტლების ეტიუდებში

*„ხელოვანისათვის აუცილებელია, რომ იგი ბაძავდეს თავის თავს...*
*ქმნილება, რომელიც საუკეთესოდ მიაჩნია, ფასეულ ეტალონად ემსახურება მას".*
პოლ ვალერი.

ცნობილია, რომ ნებისმიერი საეტიუდო იდეა გამოსახვის სპეციალურ საშუალებებს მოითხოვს. ეტლი ხაზოვანი ფიგურაა, ამიტომ მისი საშუალებით ყველაზე კარგად გამოისახება სხვადასხვა სისტემატური მოძრაობანი. ეტლების ეტიუდებში, ცხადია, ამა თუ იმ იდეის განხორციელება ხდება პაიკთა პოტენციური შესაძლებლობების გამოყენებით. ეს მასალა საკმარისია ჭადრაკის მრავალფეროვანი იდეების გამოსახატად. კლასიკოსებმა და თანამედროვე კომპოზიტორებმა მრავალი საინტერესო ეტიუდი შექმნეს პატის, შამათის და პოზიციური ყაიმის თემებზე. ამ მასალას ორგანულად დაუკავშირდა გეომეტრული და სისტემატური მოძრაობის იდეები.

შედარებით ნაკლებია ეტიუდები შამათის იდეაზე. მხედველობაში გვაქვს არა უბრალო შამათის იდეა, არამედ ეტიუდური შამათი, სადაც ფინალში აუცილებლად მონაწილეობენ ბრძოლაში ჩაბმული როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე. დღეს ჩვენ შევეხებით ისეთ შამათებს, რომელიც უჯრის ბლოკირებასთან არის დაკავშირებული.

№ 1 დიაგრამაზე წარმოდგენილი ეტიუდი სწორედ აღნიშნულ თემას შეეხება.

ნ. გრიგორიევი, 1937 წ.



თეთრები იგებენ

1. მფc2! მფf5 2. b5 მფf6
3. b6 ეh8 4. მფc3 ეb8
5. ეb1 მფe7 6. მფc4 მფd7
7. მფb5 მფc8 8. ეc1+ მფb7
9. ეc7 მფa7 10. ეa7X!

მოხდენილი მინიატურაა, ლამაზი, მოულოდნელი, ნატიფი შამათით.

თავის დროზე ჩვენც გამოვაქვეყნეთ ეტიუდი რომელიც ეძღვნება შამათს უჯრის ბლოკირებით.

ვ. კალანდაძე, 1975 წ.



თეთრები იგებენ

1. ეh5! ეh5 2. a7 ეg5
3. მფf7 ეf5 4. მფe7 ეe5
5. მფd7 ეd5 6. მფc7 ეc5+
7. მფb7 ეb5 8. მფc6 ეb6
9. მფc5 ეa6 10. b4X!

შამათი უჯრის ბლოკირებით განხორციელდა ეტლის შეწირვის და სისტემატური მოძრაობის ფონზე.

გთავაზობთ კიდევ ერთ ეტიუდს (იხ. დიაგრამა № 3) აღნიშნულ თემაზე, სადაც ბლოკირებას ახდენს ახლადგაყვანილი ლაზიერი.

ვ. კალანდაძე, 2000 წ.



თეთრები იგებენ

1. ეf8! g5 2. მფf3 g4
3.მფf2 g3 4. მფf3 g2
5. b8ლ g1ლ 6. ლc8 მფh2
7. ლc7! ე:c7 8. ეh8 ეh7
9. ე:h7X.

დაბოლოს, გთავაზობთ ეტიუდს სადაც შამათის ორი იდეაა წარმოდგენილი სხვადასხვა უჯრის ბლოკირებით.

ვ. კალანდაძე, 1993 წ.



თეთრები იგებენ

1. ეd8 მფf7 2. ეh8 ეa8
3. მფd7 ეh8 4. ეf4 მფg8
5. h6 gh 6. მფe7 მფg7
7. ეg4X.
ან 6. ...h5 7. მფf6! h6
8. ეa4 ეh7 9. ეa8X!

ეტლების დაბოლოებაში ეს ერთ-ერთი ეტიუდია და, შესაძლოა, ერთადერთიც, სადაც ორი ნატიფი შამათია წარმოდგენილი ვერტიკალზე და ჰორიზონტალზე სხვადასხვა უჯრის ბლოკირებით.

დღეისათვის სხვა იდეებთან შედარებით შამათის იდეა ეტლების ეტიუდებში ნაკლებად გვხვდება, მაგრამ იგი დიდი ესთეტიკური ზემოქმედებით გამოირჩევა.

**ველიმირ კალანდაძე,**
საერთაშორისო ოსტატი.

სანთელი ...

# ნინო ჯანჯღავას ხსოვნის ტურნირი

ბრძენთა თამაშის ქომაგებს, უეჭველია, ახსოვთ ორიგინალური სტილის სენაკელი მოჭადრაკე ქალიშვილი ნინო ჯანჯღავა. იგი საკმაო წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს პირველობებში. კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ უკურნებელმა სენმა ნაადრევად დარია ხელი. კარგა ხანია, ის ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ სენაკის რაიონის ჭადრაკის მოყვარულები არ ივიწყებენ მის სახელს. ამას წინათ, ნინო ჯანჯღავას მშობლიურ სოფელ ძველ სენაკში გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი გოგონათა და 8 წლის ვაჟთა შორის.

გოგონებში ყველას აჯობა სენაკის II საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა ქეთევან ლომიამ (მწვრთნელი მერაბ ჯღამაძე), მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, სენაკის IV და III საშუალო სკოლების მოსწავლეებმა დიანა თვალთვაძემ და ლიკა სახურიამ გაინაწილეს.

ვაჟებში პირველი იყო სენაკის II სკოლის მეორეკლასელი ზვიად ზანარდია (მწვრთნელი მერაბ ჯღამაძე), მას მცირედით ჩამორჩა საავტორო სკოლა „მარიოტის" მეორეკლასელი დავით ფოცხვერაია. მესამე ადგილზე ქალაქის I გიმნაზიის მესამეკლასელი ომიკო ეჯიბია გავიდა.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით ნინოს ძმამ, ძველი სენაკის გამგებელმა გენადი ჯანჯღავამ დააჯილდოვა.

**ვაჟა ნოსირელი.**



## ჭადრაკის ტრფიალით

წელიწადი შესრულდა აჩიკო ჩხეიძის გარდაცვალებიდან. მოყვასისადმი მადლიერებით აღსავსე, უანგაროდ სიკეთისმთესველი, თავმდაბალი და მიმტევებელი! ასე დარჩა უდროოდ წასული ეს 37 წლის მეგობარი ჩვენს ხსოვნაში. პროფესიით ექიმი, სრულიად ახალგაზრდა, ულმობელი ავადმყოფობის დასაძლევად მამასთან, ბატონ ზურაბთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა და იქ თავისი ვაჟკაცური ბუნებით, ღრმა ერუდიციით და ინტელექტით ისე მოხიბლა კოლეგები, რომ სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობისას გადასახადებისაგან გაათავისუფლეს... სამწუხაროდ, ბევრი ვერაფერი უშველეს.

იცოდა, რაც ელოდა, მაგრამ გული არ გაუტეხია. მოყვასისადმი ზრუნვით და თანადგომით განელო წუთისოფელი. ხშირად იწვევდა მეგობრებს, ღიმილით ეგებებოდა, თითქოს არაფერი აწუხებდა, გულითადად უმასპინძლდებოდა.

მეგობრებთან ჭადრაკის თამაში უქარვებდა ღრმა, გულში ჩამჯდარ ნაღველს. მისი სიყვარული გაჰყვა ბოლომდე...

ნეტარი ავგუსტინე ბრძანებდა: „განა უფლის გულმოწყალება გვაღირსებდა ამდენ სიდიადესა და მშვენიერებას, სხეულის სიკვდილი სულის სიკვდილსაც რომ ნიშნავდეს?!"

დასტურ, რომ ასეა.

**თამაზ შენგელია.**

საინტერესოა, იცოდეთ

## როგორ დაიჭირეს დამნაშავე

ამერიკელი ოსტატი ბლადგუდი მიმოწერითი თამაშის დიდი მოყვარულია. ეს ჩვევა მას, ეტყობა, მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება, თუმცა ერთხელ მიმოწერითმა თამაშმა იგი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

საქმე ისაა, რომ ერთხელ კლოდ ბლადგუდი ვირჯინიის შტატის ცენტრალურ საპატიმროში მოხვდა. ჩვენ არ ვიცით, რა დააშავა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ბლადგუდი საპატიმროდან გაიქცა, თითქოს საიმედოდ დაიმალა კიდეც, მაგრამ...

საქმე ის არის, რომ ბლადგუდმა გადაწყვიტა გაეგრძელებინა მიმოწერით თამაში 25 მეტოქესთან და სხვადასხვა ქალაქში გაგზავნა თავისი კონსპირაციული ბინის მისამართი. პოლიციამაც ძალიან მალე დაადგინა, ვისთან მიდიოდა სხვადასხვა მეტოქეთა სვლები და ბლადგუდს ისევ ვირჯინიის ცენტრალურ საპატიმროში უკრეს თავი.

## „ლაზიერი ორივემ დაკარგა"

1945 წელს ჰოლივუდის ერთმა ცნობილმა ვარსკვლავმა ქალმა მოჭადრაკეებს დიდი თანხა შესწირა და ამით პანამერიკული პირველობის გამართვა გახდა შესაძლებელი.

ერთ დღეს ამ მსახიობმა სატურნირო დარბაზში მოსვლა მოისურვა და ერთ-ერთ ოსტატს სთხოვა, თან ხლებოდა.

პირველი ადგილის მთავარი პრეტენდენტები რობინ ფაინი და სემუელ რეშევსკი ერთმანეთს მხედრების საინტერესო ენდშპილში ებრძოდნენ. მეცენატმა ქალმა დახედა პოზიციას და თანმხლებ ოსტატს უთხრა:

– ღმერთო ჩემო, ეს რა უხეირო მოთამაშეები ყოფილან! შეხედეთ, ორივეს უკვე დაუკარგავს ლაზიერი!

## რას ისურვებდით?

ერთხელ ჟურნალისტმა დიმიტრიე ბელიცამ დიდოსტატ სვეტოზარ გლიგორიჩს ჰკითხა:

– რა საჭადრაკო ღირსებებს ისურვებდით, რომელიც, თქვენი აზრით, მომადლებული აქვთ სხვა განთქმულ დიდოსტატებს?

– მე ვისურვებდი ლარსენის რკინისებურ ნერვებს, ფიშერის ვარიანტებს, რადგან თამაშის დროს არ მიყვარს მაინცდამაინც დიდი ფიქრი, ფიშერმა კი ხშირად ყველაფერი იცის, რაც უნდა შამათამდე მოხდეს, და, გარდა ამისა, ვისურვებდი ტალის ფანტაზიას.

აუცილებელია დავძინოთ, რომ ეს საუბარი 1968 წელს გაიმართა.

ამავე წელს ასეთივე კითხვით ბელიცამ ლევ პოლუგაევსკისაც მიმართა:

– მე ვისურვებდი, რომ ბოტვინიკისებური სტრატეგია მქონოდა, სმისლოვის ტექნიკა, ფიშერის სადებიუტო ერუდიცია... და კიდევ ვისურვებდი პეტროსიანის... მსოფლიო ჩემპიონობას.

## შვიდ-რვა საათს

ვინ ანდომებს თანამედროვე დიდოსტატებს შორის ყველაზე მეტ დროს ჭადრაკს? თვით უნგრელი დიდოსტატი პორტიში, რომელსაც არ უყვარს ლაპარაკი (და რომელსაც მოჭადრაკეები ამის გამო „სფინქსს" ეძახიან) არაფერს ამბობს, მაგრამ ჟურნალისტები წერენ, რომ იგი ყოველდღე 7-8 საათს მუშაობს. ეს, ცხადია, ხდება მაშინ, როცა პორტიში ტურნირებში არ თამაშობს. თამაშის დროს მისი „საჭადრაკო დღე" გაცილებით უფრო ხანგრძლივდება.

კიდევ ერთი ცნობა – პორტიში საერთოდ არ ეკარება ალკოჰოლურ სასმელს. ყავა რა არის, მასაც კი არ სვამს.

## რა უხარია რესპუბლიკელს

სპინოზა ხშირად ეთამაშებოდა ჭადრაკს სახლის პატრონ ვან-სპიკს. ერთხელ სახლის პატრონი შეეკითხა: წაგების დროს მე ვღელავ, თქვენ კი არა. რატომ ხდება ასე?

– მე თამაშისადმი გულგრილი არა ვარ, – უპასუხა ფილოსოფოსმა, – მაგრამ ვინც არ უნდა წააგოს, მაინც მეფე შამათდება, მე, როგორც რესპუბლიკელს, სწორედ ეს მახარებს.

**გივი გამრეკელის კურიოზების კოლექციიდან.**

GCF
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, კახა ჩიგოგიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## სხვისი თვალით

ამშ-ში ატომური ბომბის შექმნისა და წარმატებით გამოცდის მომენტისათვის (45-ის ივლისი) საბჭოთა ბირთვულ მეცნიერებს სასწრაფოდ კი არ უნდა დაეწყოთ რაღაც ახლის კეთება, – ასე მიაჩნია დღემდე ბევრს, – არამედ, უნდა დაეგეირგვეინებინათ დაწყებული საქმე. და ამაში უმთავრესი დამსახურება მიუძღოდა ბერიას, რომელიც ხელმძღვანელობდა როგორც დაზვერვის მუშაობას, ისე ატომური პროექტის გამოკვლევებს. 1943 წლის სექტემბერში ბერიას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება ომიანობის ძნელ პირობებში შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის წარმოების გაძლიერების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის (ასე იყო ნათქვამი ბრძანებულებაში).

ომის წლებში ბერია, როგორც მთავარსარდლის წარმომადგენელი და სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის წევრი, ხშირად ჩადიოდა ბრძოლების ადგილებში, განსაკუთრებით იქ, სადაც იბრძოდნენ შინსახკომის ნაწილები ან განსახორციელებელი იყო აქციები, რომელთა მომზადება უაღრეს საიდუმლოებას მოითხოვდა. მაგალითად, 1942 წლის ზაფხულის დამლევს, როდესაც შეიქმნა საფრთხე, რომ გერმანელები კავკასიას აიღებდნენ და ბაქოს ნავთობის წყაროებზე გაეიდოდნენ, სტალინმა საქართველოში მიავლინა ბერია. იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულების ჯარების მთავარსარდალი იყო მარშალი ბუდიონი, რომელსაც ხოტბა-დიდებას ასხამდნენ უამრავ სიმღერასა და კინოფილმში, მაგრამ აბსოლუტურად ვერ ერკვეოდა თანამედროვე ომის სტრატეგიაში. ადგილზე ჩასვლისთანავე ბერიამ დაადგინა, რომ ფრონტის მთელ რიგ უბნებზე თავდაცვა პრაქტიკულად არ არის ორგანიზებული. მისი გაოცებული კითხვების პასუხად, ბუდიონმა განაცხადა, „ლეიისტის ტანკები გიჟებივით მოდიან" და ხელ ერთია, მათ მაინც ვერ გააჩერებთო. ბერიამ ტელეფონით მოახსენა შექმნილი ვითარება სტალინს, რომელმაც დაუყოვნებლივ მოხსნა ბუდიონი სარდლობიდან.

აქვე, კავკასიაში, ბერიამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი გენერლის მოქმედებაში შეიმჩნევა ფაცაფუცი და დაბნეულობა. მაგალითად, 46-ე არმიის სარდალმა სერგაცკოვმა იმის შიშით, რომ გერმანელები გადმოლახავდნენ კავკასიონის უღელტეხილებს, იქ გადაისროლა ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც შეასუსტა თავდაცვა ბარში, სადაც ფაშისტებს შეეძლოთ, ნებისმიერ მომენტში გადმოესხათ დესანტი ზღვიდან ან ჰაერიდან, თანაც, ვიწრო ზეკარებზე საბჭოთა ჯარების მჭიდრო თავმეყრის გამო მათ განუზომლად დიდი ზარალი აღგებოდათ. ბერიამ სერგაცკოვს უბრძანა, უკან გამოეხმო ჯარების ნაწილი და წამოაყენა უღელტეხილთა თავდაცვის თავისი გეგმა. საჯარისო შენაერთებიდან (მათ შორის, შინსახკომის ჯარებიდან) შეარჩიეს საუკეთესო ჩუბინები, რომლებიც აღჭურვეს სნაიპერული მაყუჩიანი შაშხანებით. ეს მსროლელები გააერთიანეს განსაკუთრებული ჯგუფების წყებად, რომლებიც ჩააყენეს ფრონტის ხაზზე. სნაიპერებს გადაეცათ ბერიას ბრძანება: განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ მოწინააღმდეგის ოფიცრებისათვის. ამის შედეგად ფაშისტთა დანაკარგები მკვეთრად გაიზარდა, ხოლო ზოგიერთ ქვეგანაყოფში თითქმის აღარ დარჩნენ ოფიცრები. ჩვენთან მსგავს სიტუაციაში ოფიცრის თანამდებობაზე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აყენებდნენ სერჟანტებს, ხოლო ზოგჯერ – რიგითებსაც; მაგრამ პედანტური გერმანელები ამას ვერ დაუშვებდნენ. მათი შეტევა შეფერხდა, და სულ მალე ჩრდილოეთ ირანიდან (მოგვიანებით კი შორეულ აღმოსავლეთიდან) მოვიდნენ მაშველი ძალები, რაც ბერიამ სთხოვა სტალინს. ვერც კავკასია და ვერც ბაქოს ნავთობი გერმანელებმა ხელში ვერ ჩაიგდეს.

სულ მალე წითელი არმიის ჯარები კავკასიაში კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ამას დიდად შეუწყო ხელი ბერიას ხელმძღვანელობამ, გადამწყვეტმა ღონისძიებებმა, რომლებიც მან განახორციელა. ბერიამ არა მარტო მიაღწია ბუდიონის მოხსნას, არამედ თვითონაც გადააყენა რამდენიმე არმიის სარდალი და შეცვალა ისინი ახალგაზრდა გენერლებით, კერძოდ, კონსტანტინე ლესელიძითა და გრეჩკოთი, მომავალი თავდაცვის მინისტრით. ხოლო გადაყენებულთა შორის აღმოჩნდა გენერალი სერგაცკოვიც, რომელმაც 1953 წელს, „ბერიას საქმის" გამოძიების დროს, განაცხადა, თითქოსდა, ბერიას თვითნებობის გამო საბჭოთა ჯარებს გერმანელებმა კავკასიონის უღელტეხილებზე უზარმაზარი დანაკლისი მიაყენეს. სერგაცკოვს „დაავიწყდა", რომ ჯარებს უღელტეხილებზე თავად მოუყარა თავი, ხოლო ბერიამ, პირიქით, მათი შეზღუდვა და აუცილებელი მინიმუმის დატოვება მოითხოვა.

რა თქმა უნდა, როდესაც ვლაპარაკობთ ბერიას საქმიანობაზე ომის წლებში (ისევე, როგორც სხვა პერიოდებში), ობიექტური არ იქნებოდა, „გამოგვრჩენოდა" მისი უშუალო მონაწილეობაც საბჭოთა ხელისუფლების მთელ რიგ სასტიკ, რეპრესიულ ღონისძიებებში. 1938 წლის დამლევს მან შეაჩერა რეპრესიები, 40-ის დამლევს უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო დატყვევებული პოლონელი ოფიცრების გაჟლეტაში, მაგრამ ამის კეთებას უსასრულოდ ვერ შეძლებდა. საერთოდ, არც გვაქვს საფუძველი, ვამტკიცოთ, რომ ბერია ჰუმანისტი იყო ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშით, ეს იყო თავისი დროის შვილი, „საუკუნის თანატოლი". და მაინც, „სტალინისირველივ" გარემოში ბერია გამოირჩეოდა გამჭრიახი ჭკუით, გარჯით, ურთულეს ვითარებაში ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა სწრაფი მიღების უნარით. რაც შეეხება ჰუმანიზმს... სტალინურ ეპოქაში ამ მხრივ საქმე საერთოდ ვერ იყო კარგად. და მაინც, რატომღაც სწორედ ბერიას არგუნა საბჭოთა მითოლოგიამ უსაშინელესი ბოროტმოქმედის როლი, მაგრამ ფაქტები საშუალებას გვაძლევს, ვუწოდოთ მას ყველაზე ჰუმანური მოღვაწე ანტიჰუმანურ სტალინურ ზედაფენაში.

ბევრნი ლაპარაკობენ, მაგალითად, ომის პირველ პერიოდში იმ პატიმართა მასობრივ დახვრეტებზე, რომლებიც არავითარ პირობებში არ უნდა ჩავარდნოდნენ ტყვედ ჰიტლერელებს, რა თქმა უნდა, სტალინური ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. დიახ, ამ დახვრეტებს, როგორც წესი, ახორციელებდნენ შინსახკომის ჯარები, რომლებსაც ფორმალურად ხელმძღვანელობდა ბერია, მაგრამ შესაბამის სიებს ამტკიცებდა პირადად სტალინი და ადგენდა მალენკოვის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, ხრუშჩოვისა და სხვა „თანამოსაგრეების" დახმარებით.

ამავე დროს დასახვრეტთა ბევრ სიას ბერიას ხელმოწერა აქვს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ დროს მას ეკავა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის თანამდებობა, და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ასეთი აქციები მის უწყებაში გადიოდა. აი, მაგალითად, 1941 წლის 18 ოქტომბრის №2756 ბრძანება, რომლითაც შინსახკომის თანამშრომელთა სპეციალურ ჯგუფს ევალება, გაემგზავროს კუიბიშევში და იქ დახვრიტოს 21 „ხალხის მტერი", გზად კიდევ ოთხი კაცი უნდა დაეხვრიტათ სარატოვში. ამ ოთხთა შორის იყო თვალსაჩინო ჩეკისტი მიხეილ კედროვი, რომელიც, როგორც ახლა გახდა ცნობილი, ჯერ კიდევ 1918 წლის ზაფხულში ხელმძღვანელობდა არხანგელსკში მენშევიკების, ესერების, ანარქისტებისა და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრების მასობრივ დახვრეტებს. ცხრაას თვრამეტში კედროვი იმათ შორის იყო, ვინც ტერორისა და რეპრესიების სისხლიან დოლაბებში ყრიდა „მტრებს", ხოლო ოცი წლის შემდეგ ამ მტრების რიცხვში თავად აღმოჩნდა.

ბოლშევიკებს ახალი არაფერი გამოუგონიათ. რაღაც ამდაგვარი მოხდა საფრანგეთის XVIII საუკუნის დამლევის რევოლუციის დროსაც. მისმა ბელადებმა დაიწყეს იმით, რომ შეუდგნენ ყველაზე სამართლიანი საზოგადოების მშენებლობას, ხოლო დაამთავრეს იმით, რომ გაჟლიტეს ერთმანეთი, და ამ ელეტას ათასობით სხვა ფრანგიც წააკლეს. მასშტაბი, რა თქმა უნდა, სხვა იყო, მაგრამ არსი აქაც და იქაც ერთია. რევოლუციური ეპოქები, როგორც წესი, წარმოშობენ ერთგვარ მასობრივი ფსიქოზის ატმოსფეროს, რომელშიც ბრალი მიუძღვით მხოლოდ იმათ, ვინც დაიწყო რევოლუცია და მოიგონა მისი „წესები". ასეთთა რიცხვში, როგორც ცნობილია, ბერია არ შედიოდა – იგი მოგვიანებით ჩაითრია ამ მორევმა, ისიც – სულ ცოტა ხნით.

სხვათა შორის, კედროვს ახალი ცხოვრების სხვის ძვლებზე აშენების მრავალ სხვა მოსურნეთაგან განსხვავებით, სიკვდილამდე არ დავიწყებია არხანგელსკის დახვრეტები. დოკუმენტებში შემორჩენილია მისი სიტყვები: „ნუთუ მუშურ-გლეხური ხელისუფლება ვერ გაძლებს სიკვდილით დასჯის გამოუყენებლად?"

აღმოჩნდა, რომ ვერ გაძლებს სხვადასხვა მიზეზისა გამო და, კერძოდ იმიტომ, რომ სამართლიანი ხელისუფლება უნდა იყოს მხოლოდ საერთო-სახალხო, ან, თუნდაც, ესწრაფოდეს ამას. ხოლო, თუ ხელისუფლება წინასწარ აცხადებს თავს ხალხის მხოლოდ ერთი („მუშურ-გლეხური") ნაწილის მსახურად, იგი წინასწარ არის განწირული უსამართლობისა და სისასტიკისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების სისასტიკეთა შორის იყო ისეთი, როგორიც არ სმენია კაცობრიობის ისტორიას – **მრავალი** ერის ძალით გადასახლება (დეპორტაცია).

პირველ გადასახლებებთან ბერიას საერთოდ არ ჰქონია არავითარი დამოკიდებულება, ვინაიდან 1938 წლის ზაფხულამდე მუშაობდა თბილისში, პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. მაგრამ, მას შემდეგ, რაც იგი სათავეში ჩაუდგა შინსახკომს, ამგვარი აქციები ავტომატურად აღმოჩნდა მისი საქმიანობის სფეროში. არადა, გადასახლებათა მასშტაბი სწორედ იმ დროს მკვეთრად გაფართოვდა. სსრ კავშირისათვის პოლონეთის აღმოსავლეთი რაიონების, მერე კი ბესარაბიის, ჩრდილოეთ ბუკოვინისა და ბალტიის ქვეყნების შემოერთების შემდეგ, იქიდანაც დაიძრა გადასახლებულთა ნაკადი. დეპორტაციის კრიტერიუმი ერთი იყო – უკმაყოფილება ახალი ხელისუფლების გამო. გადასახლების ზოგად მითითებებს იძლეოდა სტალინი, ხოლო საიდუმლო ბრძანებები და დირექტივები დგებოდა შინსახკომში და მას ხელს აწერდა სახალხო კომისარი, ანუ ბერია.

დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ დადგა გერმანელების ჯერი, რომელთა რიცხვი იმ დროს სსრ კავშირში მილიონ-ნახევარს აღემატებოდა. გერმანელთა გადასახლების აქციებს სტალინი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ „ვოლგისპირეთის რაიონებში" მცხოვრებ გერმანელ მოსახლეობას შორის, იყო ათასობით დივერსანტი და ჯაშუში".

სხვათა შორის, ბერიას ოჯახში წლების მანძილზე ცხოვრობდა გერმანელი ქალი, ყოფილი მასწავლებელი ელა ემანუილის ასული ალმედინგერი. ის იყო მზარეულიც, მოსამსახურეც, სერგოსაც ეხმარებოდა მეცადინეობაში, როდესაც იგი სკოლაში სწავლობდა. ცოლ-ქმარი ქალს ისე ეკიდებოდა, როგორც ოჯახის წევრს.

როდესაც დეპორტაცია დაიწყო, ვიღაც „კეთილისმსურველებმა" სტალინს მოახსენეს, ბერია არ თვლის საჭიროდ, კანონს დაემორჩილოს და არ ჩაუწერია გადასასახლებელთა სიებში „თავისი" გერმანელი ქალიო. ცოტა ხნის შემდეგ, სტალინმა გაუფრთხილებლად შეუარა სახლში ბერიას. სწორედ სადილობის დრო იყო და მთელი ოჯახი, მათ შორის ელა ალმენდიგერიც, სუფრასთან იჯდა. სტუმარი მიიპატიჟეს. ცოტა ხნის შემდეგ, სტალინმა თითქოს, სხვათა შორის, თქვა:

– თურმე თქვენ, ქალბატონო ელა ჰიტლერის აგენტი ყოფილხართ? რამდენჯერ მინახავხართ და როგორ ვერ მივხვდი?!

ყველა გაირინდა. მაგრამ ბერია ინტონაციით მიხვდა, რომ ბელადი ხუმრობდა, და თვითონაც აჰყვა:

– რაც მთავარია, მე ვერ მივხვდი, რა შინსახკომის უფროსი ვარ ამის შემდეგ?

– კეთილი, – გაეცინა სტალინს, – ასე გადავწყვიტოთ: ქალბატონი ელა შევიწყალოთ, ხოლო ამხანაგ ბერიას სიფხიზლის დაკარგვისათვის – სასჯელის უმაღლესი ღონისძიება! დიდი მადლობა სადილისათვის, უნდა დაგტოვოთ. წამოდგა და კარისაკენ გაემართა. ბერია გასაცილებლად გაჰყვა და გზაში ჰკითხა:

– მაინც ვერ გავიგე, ამხანაგო სტალინ, როგორ მოვიქცე?

– შენი დახვრეტა ჯერჯერობით გადავდოთ, – უპასუხა სტალინმა. – ალმედინგერმა კი იცხოვროს თქვენთან, როგორც ცხოვრობდა... შენი პასუხისმგებლობით.

და გერმანელი ქალი დარჩა ოჯახში, სადაც ცხოვრობდა 53-ის ზაფხულამდე, სანამ ბერიას დააპატიმრებდნენ, ხოლო მის ცოლშვილს გადაასახლებდნენ.




ნიკოლოზ რუბინი

# ვინ იყო ლავრენტი ბერია?

## მითი და სინამდვილე

ბაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 135-151.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.
(გაგრძელება იქნება).

განცხადება
მიმდინარეობს შპს „ფენიქსის" ლიკვიდაცია.
დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ.
თბილისი, წინამძღვრიშვილის №126, ტელეფონი 96-43-65.

## მაკედონია: მარცხი და იმედები

**მრავალმხრივი სამშვიდობო მოლაპარაკების ჩაშლა აიძულებს ნატოსა და ევროპის კავშირს, ეძებონ მაკედონიაში სამოქალაქო ომის თავიდან აცილების ახალი გზები.** ქვეყანაში მოგზაურობს ევროკავშირის კოორდინატორი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანა. ნატოს სპეციალურ დესპანთან, პიტერ ფეითთან ერთად, იგი განაახლებს მოლაპარაკებას ეთნიკურ ალბანელთა ამბოხების შეწყვეტის თაობაზე.

ოთხშაბათს ნატოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ თანახმაა მაკედონიაში გაგზავნოს სამიათასიანი კონტინგენტი. ოღონდ, იმ პირობით, თუ მიაღწევენ მშვიდობიან შეთანხმებას. ალიანსის გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა ხაზი გაუსვა, რომ მაკედონია სამოქალაქო ომის ზღურბლზე დგას და მოუწოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს, მიიღოს მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმა.



რობერტსონის განცხადება გაკეთდა უკვე მას შემდეგ, რაც ჩაიშალა მოლაპარაკება მაკედონიის ხელისუფლებასა და ალბანელთა ლიდერებს შორის.

„მაკედონიის მთავრობამ იცის, რომ სამოქალაქო ომის ზღურბლზე დგას, და რომ ასე თუ ისე, უნდა დაძლიონ უფსკრული, რომელიც ორ ეთნიკურ თემს ჰყოფს, – თქვა ლორდმა რობერტსონმა.

მაკედონიის პრეზიდენტმა ბორის ტრაიკოვსკიმ განაცხადა, რომ ხუთდღიანი მოლაპარაკება ჩაიშალა ალბანელთა მიზეზით, რომლებმაც მოითხოვეს ცვლილებების შეტანა ქვეყნის კონსტიტუციაში. ისინი აცხადებენ, რომ მაკედონია უნდა გარდაიქმნას ფედერალურ სახელმწიფოდ, რომელიც შედგება ორი ეთნიკური – მაკედონური და ალბანური ავტონომიისაგან.

ალბანელთა ლიდერმა არბენ ჯაფერიმ უარყო ტრაიკოვსკის ბრალდებები და დაადასტურა, რომ ალბანელები მზად არიან, განაგრძონ მოლაპარაკება. თავის მხრივ, მან ბრალად დასდო ტრაიკოვსკის „პარანაიის ატმოსფეროს შექმნის მისწრაფება", და თქვა, რომ ალბანელთა მოთხოვნებში ახალი არაფერია.

ნატოს წინადადება, შეიყვანოს ქვეყანაში ჯარები ალბანელ მოთარეშეთა განიარაღების პროცესისადმი კონტროლისათვის, ხელს უნდა აძლევდეს ორივე მხარეს. მაგრამ ნატო მოითხოვს: სამხედრო კონტინგენტის შეყვანა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული პირობების დაცვისას. მათ შორის არის: პოლიტიკური შეთანხმება, ცეცხლის შეწყვეტა, მოთარეშეთა მზადყოფნა, დაყარონ იარაღი, და მათი მხრივ საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის გარანტიები.

ჯერჯერობით მოთარეშენი კვლავინდებურად აკონტროლებენ რამდენიმე სოფელს კოსოვოსა და სამხრეთ სერბეთის საზღვარზე და ერთ სოფელს ქვეყნის დედაქალაქ სკოპიეს მახლობლად.





## ოლსტერი: არეულობა გრძელდება

**ბელფასტში ზედიზედ მეორე ღამეა გრძელდება შეტაკებანი რელიგიურ ნიადაგზე.** ახალგაზრდების ჯგუფები – როგორც კათოლიკები, ისე პროტესტანტები – პოლიციელთა კორდონებს უშენდნენ ქვებსა და ცეცხლგამჩენ ბოთლებს. პროტესტანტთა უბნებში პოლიციელებს ესროლეს კიდეც.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც პროგრესული უნიონისტური პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ბილი ჰატჩინსონმა განაცხადა, რომ პოლიციამ ტრავმა მიაყენა, როდესაც არეულობის მონაწილეებს ქუჩიდან ყრიდა.

ჰატჩინსონმა თქვა, რომ ოფიციალურ საჩივარს შეიტანს პოლიციის მოქმედებაზე, ვინაიდან პოლიციელები ადამიანებს დაერივნენ ხელკეტებითა და ფარებით.

ბელფასტის გაზეთი „აირიშ ნიუზი", რომელიც მხარს უჭერს ნაციონალისტებს, პარასკევს გამოვიდა პირველ გვერდზე ვეებერთელა სათაურით, რომელიც თავშეკავებისაკენ მოუწოდებს. გაზეთი მიმართავს „ირას" მოწოდებით, განიარაღდეს.

წინა დღეს პროვინციაში აღინიშნა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ყველაზე სერიოზული არეულობანი რელიგიურ ნიადაგზე.

ბრიტანელმა ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრმა ჯონ რიდმა დაგმო ძალადობა და მოუწოდა მხარეებს სიმშვიდისაკენ.

მან განაცხადა, რომ ვერავითარი გამართლება ვერ ექნება ძალადობას, რომლის შედეგადაც 39 პოლიციელი დაშავდა.

## გეიტსი კვლავ პირველია

**„მაიკროსოფტის" დამაარსებელი ბილ გეიტსი 2001 წელს დარჩა ყველაზე მდიდარ კაცად დედამიწის ზურგზე, თუმცა, მის ქონებას 5 მილიარდი დოლარი მოაკლდა.** ეს მონაცემები გამოაქვეყნა პარასკევს ჟურნალმა „ფორბსმა", რომელიც ბეჭდავს ყველაზე მდიდარ ადამიანთა ყოველწლიურ სიას.

გეიტსის ქონება ამჟამად შეადგენს 58,7 მილიარდ დოლარს, ხოლო „მაიკროსოფტის" მეორე დამფუძნებელს – პოლ ალენს მესამე ადგილი უკავია 30,4 მილიარდით, მეორე ადგილზეა უორენ ბაფეტი, რომელიც უძრავი ქონების ინვესტიციებს უძღვება.




როიტერის სააგენტო, რომელსაც „ფორბსის" მონაცემები მოჰყავს, წერს, რომ უკანასკნელი წლის მანძილზე ყველაზე მეტად დაეცა იმ კომპანიების მფლობელთა რეიტინგი, რომლებიც კომპიუტერებსა და ინტერნეტს უკავშირდება. კერძოდ, ლარი ელისონი, რომლის ქონებაც 2000 წელს 58 მილიარდს შეადგენდა, ახლა მხოლოდ 26 მილიარდს ფლობს, და მეოთხე ადგილზეა სიაში; იაპონელმა მასაიოში სონმა, სოფტბანკის დამაარსებელმა, ერთ წელიწადში 70 მილიარდი დაჰკარგა 76-დან. ყველა დანაკარგი უკავშირდება იმას, რომ მილიარდერთა ქონების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მათი კომპანიების აქციები. ხოლო **ნაზდაკ** ბირჟის ინდექსი, სადაც ამ აქციებით ვაჭრობენ, წლის განმავლობაში 60 პროცენტით დაეცა.

„ფორბსის" სიაში მეხუთე ადგილზეა გერმანელი ალბრეხტების ოჯახი – უდიდესი სავაჭრო ფირმა ალდის ეს მფლობელები 20 მილიარდი დოლარის პატრონნი არიან. მე-6 ადგილზეა საუდელი პრინცი ალვალიდ ბინ თალალი – ასევე 20 მილიარდით, მე-7-10 ადგილებზე არიან უოლტონების ოჯახის წარმომადგენლები, ველ-მარტ მაღაზიების ქსელის მემკვიდრენი. მათი ერთობლივი ქონება 93 მილიარდს აღემატება: ამავე ოჯახში შედის მხოლოდ ორი უმდიდრესი ქალი – ელის და ჰელენ უოლტონები, რომელთაგან თითოეულს 18,5 მილიარდი დოლარი აქვს.

სულ ჟურნალ „ფორბსის" ყოველწლიურ სიაში წარმოდგენილია 538 ადამიანი, მათგან 37 ქალია... 62 მილიარდერი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და გართობის სფეროში მუშაობს, 61 – უძღვება ფინანსებს, 57 – მაღალ ტექნოლოგიებს.

## გენუა სამიტისათვის ემზადება

**იტალიაში ბევრს ლაპარაკობენ დიდი რვეულის ქვეყნების ლიდერთა მომავალ შეხვედრაზე, რომელიც ივნისის დამლევს უნდა გაიმართოს გენუაში.**

მასობრივი არეულობის შემდეგ, რომელიც კაპიტალიზმის მოწინააღმდეგეებმა გამოიწვიეს ასეთი სამიტების დროს სიეტლში, დაეოსსა და გეტებორგში, რომს სერიოზულად აფიქრებს უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ჯერ ერთი, როგორც პრესა იუწყება, ხელისუფლებმა წინასწარ შეუკვეთეს 200 პლასტმასის ტომარა... გვამების ტრანსპორტირებისათვის და საცხედრედ გადააკეთეს გენუის საავადმყოფოს ერთ-ერთი დარბაზი, მეორე, შეიმუშავეს მთელი გეგმა, რომლის კოდური სახელწოდებაა „ციტადელი"

გაზეთ „კორერა დელა სერას" მონაცემებით, ყურეში, რომელიც გენუის ცენტრშია შემოჭრილი, შეხვედრის დროს თავს მოიყრის 100-მდე გემი. აქ იქნება საკრუიზო ლაინერი „მისტრალი". აგრეთვე, სანაპირო დაცვის, საფინანსო პოლიციის, კარაბინერების ხომალდები. ყოველივე ეს კეთდება იმისათვის, რომ ალიკვეთოს ზღვიდან ქალაქის ალყაში მოქცევის შესაძლებლობა, რასაც კაპიტალიზმის მოწინააღმდეგენი აპირებენ. კერძოდ, წერს „კორერა", დაგეგმილია, ყურის შესასვლელი გადაიტიხროს სპეციალური რეზინის კედლებით.






მაგრამ ესეც ეცოტავებათ. ამერიკელები თვლიან, რომ თუ შეტევა მოხდა, იგი სწორედ ზღვიდან განხორციელდება. სწორედ ამიტომ, ყურეში, თავს მოუყრიან სან-მარინოს პოლკს, რომელიც სამხედრო-საზღვაო ნავსადგურების დაცვაზეა დასპეციალებული, და მყვინთავ-დივერსანტებს, რომლებიც შეამოწმებენ ყურის ფსკერსა და იმ მცურავი სასტუმროების წყალქვეშა ზედაპირს, სადაც კონფერენციის დელეგატები იცხოვრებენ.

ყურის სიტუაციის წყალქვეშა თვალთვალს განახორციელებენ ავტომატური ნაღმის მტრალავები. ისინი დამზადებულია სპეციალური მასალისაგან, რომელიც არ რეაგირებს მაგნიტურ დეტონატორებზე, და მათი გამოყენება თავის დროზე მოიწონა აშშ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტრომ. ზღვის ფსკერს დაათვალიერებენ დისტანციურად სამართავი „პლუტონ" წყალქვეშა ნავები, მაგრამ ყველაზე რთული სამუშაო ხვდა წილად ქვეგანაყოფს, რომელიც ბაზირებულია შედარებით პატარა ავიამზიდზე, სადაც არის ჰოსპიტალი. „მისი მოსამსახურენი განახორციელებენ ოპერაციის მხარდაჭერას (საერთო დაზვერვა, მიდგომა, შეეულმფრენების მოქმედების კოორდინაცია) და მედიკამენტების მიტანას".

ამრიგად, „კორერას" თქმით, გეგმა „ციტადელი" უკვე შემუშავებულია. რამდენად ეფექტიანი გამოდგება იგი, ამას დრო გვიჩვენებს. მაგრამ თუ დემონსტრანტებმა მაინც შეძლეს ყურეში შეჭრა? ჯერჯერობით, ინსტრუქციების შესაბამისად, უშიშროების სამსახურებს ევალებათ მხოლოდ „პროფილაქტიკური მოქმედება – თვალყურის დევნება, დანებების ბრძანება და გაძევება.

როგორც რუსეთის დაცვის ფედერალური სამსახურის უფროსმა ევგენი მუროვმა განაცხადა, იგი იძლევა გენუაში რუსეთის პრეზიდენტის უსაფრთხოების გარანტიას. ამასთან, მუროვის თქმით, ის და მისი კოლეგები მხედველობაში იღებენ უსამა ბენ ლადენის მუქარას აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიმართ.

რუსეთის ლიდერის პირადი მცველების პირველმა ჯგუფმა უკვე დაათვალიერა სამიტის მოწყობის ადგილი. შეხვდა პრაქტიკულად ყველა იმ ქვეყნის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს, რომლებიც კონფერენციაზე იქნებიან წარმოდგენილი.

„თითოეული სპეცსამსახური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკუთარ მეთოდებს ამუშავებს, – განაცხადა მუროვმა. – რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური ჩვენ უდიდეს დახმარებას გვიწევს".

კითხვაზე, თუ რამდენი ყორჩი იცავს რუსეთის პრეზიდენტს მოგზაურობის დროს, დაცვის სამსახურის შეფმა უპასუხა: „რამდენჯერმე ნაკლები, ვიდრე ნიკოლოზ II-ს". ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ მას შემდეგ, ყორჩების მუშაობის მოცულობა დაახლოებით ერთიათად გაიზარდა, მაგრამ მცირე ხელფასის მიუხედავად, მცველები მაინც არ მიდიან".

## ამშ: ბრალდებები – დაუსწრებლად

**შეერთებულმა შტატებმა ოფიციალური ბრალდება წაუყენა საუდის არაბეთში 1996 წელს ამერიკის ბაზის აფეთქებაში ეჭვმიტანილებს.** აფეთქების შედეგად დაიღუპა 19 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და დაიჭრა 300 კაცი. სატვირთო ავტომობილზე დაყენებული უმძლავრესი ბომბი ააფეთქეს აშშ არმიის ქალაქ დახრანის საცხოვრებელი კომპლექსის წინ. აფეთქების შედეგად შენობასთან 10 მეტრი სიგანის ორმო გაჩნდა. როგორც აშშ იუსტიციის მინისტრმა ჯონ ეშკროფტმა თქვა, ბრალდებები წაუყენეს 13 საუდელს და ერთ ლიბანელს – „ჰესბოლას" ტერორისტული ჯგუფის წევრებს. ბრალდებები დაუსწრებლად არის გამოცხადებული: 14-ვე ბრალდებული იმალება. გამოძიების მონაცემებით, ტერაქტი განხორციელდა ირანის მთავრობის მხარდაჭერით. ამჟამად გამოძიება გრძელდება და მომავალში ეჭვმიტანილთა სია შეიძლება, გაიზარდოს.



25 ივნისს ხუთი წელი სრულდება ტრაგედიის დღიდან. ამ დღემდე აშშ კანონმდებლების თანახმად, გამოტანილ უნდა იქნეს ოფიციალური ბრალდებები. იუსტიციის სამინისტრომ კინაღამ დააგვიანა, იუწყება ბი-ბი-სი. პროკურორები აცხადებენ, რომ „ჰესბოლას" წევრები ჯერ კიდევ 1993 წელს შეუდგნენ ტერორისტული აქტების მოსაწყობად შესაფერისი ამერიკული ობიექტების ძებნას, ხოლო ორი წლის შემდეგ დახრანის ბაზა შეარჩიეს.

ბაზის აფეთქების შემდეგ პრეზიდენტმა კლინტონმა გამოაცხადა, რომ იპოვიდა დამნაშავეებს და დაავალა ფედერალური გამოძიების ბიუროს დირექტორს ლუის ფრის, პირადი კონტროლი დაეწესებინა გამოძიებისათვის. ბი-ბი-სის მონაცემებით, თავიდანვე არსებობდა ორი საპირისპირო ვერსია, თუ ვინ დგას აფეთქების მიღმა. ერთნი დამნაშავედ მიიჩნევდნენ საუდელი მილიარდერის უსამა ბენ ლადენის მიმდევრებს, მეორენი ტერაქტის მოწყობას ბრალად სდებდნენ ირანელებს.

## გუთანი – გაუდაბნოების მიზეზი

**გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანის აქტიურობა პლანეტაზე უდაბნოების გავრცელების მთავარი მიზეზია.** განცხადებაში, რომელიც „გაუდაბნოებისა და გვალვის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღის" წინ გამოქვეყნდა, ისინი ამტკიცებენ, რომ უდაბნოს შეიძლება ებრძოლო მხოლოდ პოლიტიკური ხერხებით.

მეცნიერთა აზრით, ყველაზე მძიმე სიტუაცია იქმნება ამჟამად ჩინეთში, სადაც უდაბნოს ქვეყნის ტერიტორიის მეოთხედი უკავია. უახლოეს წლებში უდაბნო შთანთქავს ახალ-ახალ მიწებს. ზრდის მიზეზია მეტისმეტად ბევრი ხალხი და პირუტყვი, მეტისმეტად ბევრი გუთანი. დედამიწა, უბრალოდ, ველარ უძლებს.

ამის შედეგად ჩინეთის მთელ ჩრდილო-დასავლეთში მტვრის „ქარიშხალი დათარეშობს. თუმცა, გაუდაბნოების გაქანება ისეთია, რომ ჩინური ქვიშა უკვე საზღვარს იქით – მონღოლეთში, კორეაში, იაპონიასა და თვით შეერთებულ შტატებში მიფრინავს.

ასეთივე სიტუაცია იქმნება აფრიკამიც, სადაც უდაბნოდ გადაიქცა სახნავად გამოსადეგი მიწების ნახევარზე მეტი. ძირითადი მიზეზია მოსახლეობის სიღატაკე და ის, რომ ეკოლოგიის პრობლემებს აქ არავითარი ყურადღება არ ეთმობა. მაგრამ არა მარტო სიღარიბე, არამედ „პროგრესის" ცალმხრივი გაგება ასევე იწვევს ბუნებრივი ბალანსის შეცვლას.



წინათ ყველანი ძალზე დაინტერესებული იყვნენ ეკონომიკური ზრდით, რომელიც განიზომებოდა ადამიანზე, საცხოვრებელი კომფორტის გაუმჯობესებაზე გაანგარიშებით. მაგრამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ცხადი გახდა, რომ ბევრ ქვეყანაში ეს ზრდა იწვევს ბუნებრივი რესურსების გამოფიტვას", – ამბობს ბრიტანეთის ეკოლოგიისა და ჰიდროლოგიის ცენტრის თანამშრომელი დოქტორი კაროლინა სალივანი.

რუსეთში გაუდაბნოების ძირითად კერად რჩება ყალმუხეთი და მთლიანად ჩრდილოეთი კავკასია. ზოგიერთი მეფასების თანახმად, ყალმუხეთის, დაღესტნისა და როსტოვის ოლქის მთელი ტერიტორიის ნახევარი უსიცოცხლო ქვიშრობად იქცევა. „ჩრდილოეთ კავკასიის" სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაციაში შემავალი ტერიტორიების ხელმძღვანელებმა ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში გამართულ თათბირზე განაცხადეს, რომ უდაბნო ყოველწლიურად ართმევს ამ მხარეს 20 ათას ჰექტარ მიწას.

საგანგაშო გაფრთხილება ამის თაობაზე უკვე მერამდენედ გაისმის, მაგრამ რუსეთის მთავრობას ჯერაც არ შეუმუშავებია მწყობრი პროგრამა ამ პრობლემასთან საბრძოლველად.

## რუსეთი ელექტრონულ იარაღს ამუშავებს

**როგორც აშშ კონგრესში გამოაცხადეს, რუსეთი და ჩინეთი ამუშავებენ ახალ კომპიუტერულ იარაღს. ეროვნული უშიშროების ექსპერტის ლოურენს გერშვინის თქმით, მომავალში ასეთმა იარაღმა შეიძლება ხანგრძლივმოქმედი ზიანი მოუტანოს აშშ ეკონომიკას.**

„კიბერ-იერიშები – ეს არის სამხედრო ოპერაციების ახალი სახეობა და იგი სულ მალე გახდება ომების მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩვენ ეხედავთ, რომ ასეთ პროგრამებს ამუშავებენ რუსეთი, ჩინეთი, და კიდევ რამდენიმე ქვეყანა. ზოგიერთი პროგრამა მიმართულია შეერთებული შტატების წინააღმდეგ, სხვებს, ალბათ, სხვა მიზნები აქვთ", – განაცხადა გერშვინმა სპეციალურ სხდომაზე. ექსპერტის თქმით, იმ ინფორმაციის მეტი ნაწილი, რომელიც ამერიკელებმა იციან აღნიშნულ პროგრამებზე, გასაიდუმლოებულია.

თვით შეერთებული შტატები, როგორც როიტერი იუწყება, ასევე ეწევა კომპიუტერული იარაღის შემუშავებას. ამ გეგმების თანახმად, აშშ არმია მალე შეიტანს კიბერ-იერიშებსა და ელექტრონული თავდასხმისაგან დაცვას სტანდარტული სამხედრო ოპერაციების სიაში. „ჩვენ უნდა განვაგრძოთ კომპიუტერულ ქსელებზე იერიშების სტრატეგიის შემუშავება, რათა დავადგინოთ, რა ზიანის მოტანა შეუძლიათ მათ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის", – განაცხადა გენერალმა ედვარდ ანდერსონმა, აშშ კოსმოსური ძალების სარდლის მოადგილემ.




ამავე დროს, მკვლევართა აზრით, ამერიკას კომპიუტერულ საფრთხეს უქადიან, უწინარეს ყოვლისა, ტერორისტები, და არა კონკრეტული ქვეყნები.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ალოობაა. სახელოვანი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები დედოფლისწყაროს რაიონიდან მოსავლის აღების ზეიმზე. მარცხნიდან — არსენ კობაიძე, ზაურ ხუცურაული, ნიკო მამაიაშვილი. 1975 წელი.
სურათი მოგვაწოდა ნანა ჭიჭინაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## მიძღვნა

იუზა ჩაკვეტაძე

### სიტყვას გიქებ ამაშუკელს...

**ბატონ რეზო ამაშუკელს ვულოცავ 65 წლის შესრულებას**

გული უნდა ატარებდეს
კეთილ გრძნობას — მართალს,
მეგობრობის მატარებელს
ერთგულება მართავს...

მზე ქართვლის ცას გააშუქებს,
დედა აკვანს არწევს,
სიტყვას გიქებ ამაშუკელს,
იმზეგრძელე ას წელს.

ური გიყვარს და მამული,
ღვთის მირონი შეხვდა,
არა გაქვს რა დამალული,
ბინდს კვეთს შენი ლექსი.

ცრემლად დადნა ცუდი ერა,
იმართება მუხლი,
ვერ დაგჯაბნა უდიერმა,
ქედს არავის უხრი.

გადღეგრძელო, დამრთე ნება,
ჩემი სიტყვით — კოჭლით,
საქართველო გამთელდება,
მტერს მარჯვენას მოვჭრით.

23 ივნისი, 2001 წელი.

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე" 2001 წლის მეორე ნახევრისთვის. შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა გაიაფებულია და პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციების ექსპედირების ხარჯის ჩაუთვლელად ერთი თვით ღირს 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, ექვსი თვით — 78 ლარი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".**

## გულისთქმა გულისთქმისა გამო

# ძმობის მადლი

„კარგო", — ასე უწოდა სახელმოხვეჭილმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა მელორ სტურუამ თავის ვრცელ წერილს, რომელიც ძმის — ცნობილი საზოგადო მოღვაწის დევი სტურუას ხსოვნას უძღვნა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებიდან შემოგვთავაზა.

„კარგო" — ეს მეტსახელი, ბაბო სოფიოს მიერ შერქმეული, მთელი ცხოვრება მეგზურობდა დევი სტურუას.

ის რამდენიმეწლიანი ნაცნობობა (ძალიან მინდა ამაყად თქმა, კარგი ნაცნობობა-მეოქი) ბატონ დევისთან, რედაქციაში გამართული თუ სატელეფონო საუბრები ჩემთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე აზრთა გაზიარება ან მსმენელის როლში ყოფნა „ერთი მთხრობელის თეატრში".

დახვეწილი ინტელიგენტი შესანიშნავი მჭევრმეტყველებით, საოცარი სიმსუბუქითა და ნატიფი იუმორით იხსენებდა განვლილ ცხოვრებას და მე — ხანმოულეველ კაცს უშურველად მაზიარებდა თავსგადახდენილი მოვლენების რეალობას, თუ გნებავთ, ტრაგი-კომიკურობასაც და აწმყოს ჭრილში გადმოჰქონდა ყოველივე.

უკვე საკმაოდ შეუძლოდ მყოფიც (არ მინდა, რომ ბატონ დევის მეგობრებმა და ნაცნობებმა იგი დაუძლურებული წარმოიდგინონ), ხაზგასმული ზრდილობიანობით შემომეხმიანებოდა და ყოველდღიური საგაზეთო რუტინის შემსუბუქება იყო საუბრები შებინდებულზე.



გამართულ ლიტერატურულ საუბრებს ესწრები, ხანაც პროფესიონალი ჟურნალისტის მეგზურობით მიაბიჯებ გოლოვინის პროსპექტზე და სულაც არ გჭირდება

და აი, ვკითხულობ მელორ სტურუას „კარგოს". ეს არ არის ოდენ სახელოვანი ძმის გახსენება.

უფრო მეტია, ამაღლებული სიყვარულის ჰიმნია, რომელსაც ერთი ამოსუნთქვით კითხვისას, იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში სხვა სამყაროში გადაჰყავხარ და ხან გიორგი სტურუას შესანიშნავ ბიბლიოთეკაში თავჩარგული კითხულობ, ხან მის ოჯახში

ბა რეზო ფაღავას იძულება, ისე გიჩნდება სურვილი ხმამაღლა, მხოლოდ ერთი ქუჩის კი არა, მთელი ქვეყნის გასაგონად იყვირო: „გაუმარჯოს ყორღანოვის ორს"! და გაუთვითცნობიერებელი ადამიანების გასაგონად კიდევ უფრო დააკონკრეტო, — გაუმარჯოს იმ ქუჩას და იმ ნომერს სახლისას, სადაც მელორ და დევი სტურუები გაიზარდნენ.

თვით მელორ სტურუა მიგიძღვება თავისი სამოცი წლისთავის აღსანიშნავ ბანკეტზე მოსკოვის ლიტერატორთა სახლის მუხის დარბაზში და თითქოს არა მხოლოდ დევი სტურუას სრულყოფილი რუსული ჩაგესმის, არამედ იხიბლები „ქართული პეწით შეკმაზული მისი უბრალო, შეუდარებელი ლაზათითაც".

სულისშემძვრელია ძმების ბოლო შეხვედრა, მათი ურთიერთგამხელა ათწლეულებით ნაფერები სიყვარულისა.

მელორ სტურუა პოსტსკრიპტუმში აღნიშნავს, ჩვეულებრივ ჩემს მასალებს ქართულად თვითონ დევი თარგმნიდა, დღეს ეს მასალა კი თავისებურად დაობლდაო.

თავს უფლებას ვერ მივცემ, შევედავო ჟურნალისტიკის მეტრს, მაგრამ მე „კარგოს" ობლობისა ვერაფერი შევნიშნე და ჯუმბერ თითმერიას შესანიშნავად გადმოქართულებული პუბლიკაცია მაძლევს ამის თქმის უფლებას.

ისევე, როგორც თვით „კარგოს" წაკითხვა მადლიერების გრძნობით მავსებს ავტორის, მთარგმნელისა და „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის მიმართ.

გმადლობთ!

ბონდო მძინარაშვილი.

P. S. ბუნებრივია, გაგიჩნდებოდათ კითხვა, რატომ არ გავაჯერე ჩემი გულისთქმა ამონარიდებით მელორ სტურუას წერილიდან. გამიზნულად, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ თავად წაიკითხოთ და ჩემი თანაზიარი გახდეთ.

ბ. მ.

## ღიმილის დოზა



ცოლი ქმარს აცნობებს:
— ძვირფასო, დღეს ფული მომიმცლია, თქვენთან ოფისში შემოვიარე და შენი პიჯაკიდან 100 ლარი ამოვიღე.
— ძალიან კარგი, ძვირფასო, მაგრამ მე, კარგა ხანია, სხვა ოფისში ვმუშაობ.

* * *

სასამართლოში:
— გთხოვთ ილაპარაკოთ სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, თუმცა ყველა შემთხვევაში, ეს სიმართლე თქვენი მონაწილეობის გარეშეც დამტკიცდება.

* * *

გვიანი საღამოა. ქალმა სასაფლაოს უნდა ჩაუაროს. შეეშინდა. გაჩერდა. ხედავს — ვიღაც კაცი უახლოვდება და მას მიმართავს:
— ბოდიშს გიხდით, ბატონო, შეიძლება თქვენთან ერთად წამოვიდე? ძალიან მეშინია.
— რა თქმა უნდა, შეიძლება.
— დიდი მადლობა. მითხარით, თქვენ თვითონ არ გეშინიათ?
— მეშინოდა, როცა ცოცხალი ვიყავი.

* * *

ჯალათმა შემართა ნაჯახი. სიკვდილმისჯილი თავს ასწევს და ეკითხება ჯალათს:
— დღეს რა დღეა?
— ორშაბათი.
— რა თარსად იწყება კვირა!

* * *

— მომაცილეთ თქვენი ძაღლი! უკვე რწყილები დათარეშობენ მთელს ჩემს ტანზე!
— შარიკ, მოცილდი ბიძიას, რწყილებიანია!

* * *

— სერგო-ხან, აქედან და იმ სოფლამდე რამდენი კილომეტრია?
— იყო 5. მოვიდნენ, გაზომეს და 7 აღმოჩნდა. ახლა ყოველდღე 2 ზედმეტ კილომეტრს დავედივართ.

## კონტაქტები

### მასპინძელია მოსკოვი

ახლახან მოსკოვმა მეტად საინტერესო შეხვედრას უმასპინძლა. რუსეთის დედაქალაქში დსთ ქვეყნების სასაზღვრო უწყებების სამედიცინო სამსახურების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ.

ამ შეხვედრას საქართველოს მხრიდან ესწრებოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამედიცინო სამმართველოს უფროსი, კაპიტანი ვლადიმერ აფხაძე. მან აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიებების ჩატარება საქართველომაც სასურველი იქნებოდა, რადგან ზოგიერთი ჩვენი კლინიკა დღეს ევროპისა და მსოფლიო სტანდარტების დონეზე არის აღჭურვილი.

როგორც კაპიტანმა ვლადიმერ აფხაძემ თქვა, შეხვედრები იმართებოდა რუსეთის სასაზღვრო ფედერალური სამსახურის ცენტრალურ ჰოსპიტალში გალიცინოში, სადაც იმავდროულად ღონისძიების ორგანიზატორებმა მოაწყეს სამედიცინო კონფერენცია თემაზე: „შეცდომები და მათი აცილების გზები ქირურგიაში". დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა გაეცნობოდა და გაეზიარებინა რუსეთის წამყვანი კლინიკების უდიდესი მეცნიერების გამოცდილება.



კონფერენციის გარდა, გალიცინოში მოეწყო რუსეთის სამედიცინო ფირმების გამოფენა. შეხვედრა მიეძღვნა რუსეთის სამედიცინო სამსახურის 105 წლისთავს.

სამუშაო შეხვედრაში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის, ბელორუსიის, ყირგიზეთის და უკრაინის წარმომადგენლები. შეხვედრამაც მთლიანად ამოიწურა საკითხები, რომელიც ეხებოდა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის ასპექტებს.

იზა ჯაჟვაძე.

**სურათზე: ღონისძიების მომენტი, სადაც საქართველოდან კაპიტანი ვლადიმერ აფხაძეც (ზის შუაში) მონაწილეობდა.**

## სპორტი

### ფორტუნამ ასე ინება

**ევროპის ბევრ ქვეყანაში საფეხბურთო ვნებათაღელვა ოდნავ ჩაცხრა, რადგან უმრავლესობამ ეროვნული ჩემპიონატები ჩაამთავრა და არდადეგების ხანაც დაუდგა. თუმცა ეს არის ერთგვარი მიყუჩება ქარიშხლის წინ: სულ მალე — ივლისის მეორე დეკადიდან „ბებერ კონტინენტს" ახალი საფეხბურთო ქარიშხალი გადაუვლის.**

ბუშინდელი წილისყრის შემდეგ, რომელიც შვეიცარიაში გაიმართა, ცნობილი გახდა, რომ **ჩემპიონთა ლიგის** I საკვალიფიკაციო ეტაპზე **ქუთაისის „ტორპედოს"** ჩვენი რვაწლისწინანდელი ნაცნობი **ბელფასტის (ჩრდ. ირლანდია) „ლინფილდი"** ერგო მეტოქედ. გახსოვთ, ალბათ, 1993 წელს თბილისის „დინამომ" ასევე I ეტაპზე მინ სძლია „ლინფილდს" 2:1, სტუმრად კი ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა, მაგრამ რიგი გაუგებრობის გამო მომდევნო წრეში ბელფასტელები გავიდნენ, სადაც დანიის „კოპენჰაგენს" შეხვდნენ. ისტორია განმეორდა: „ტორპედო" — „ლინფილდს" მორის გამარჯვებულს II წრეში კვლავ დანიელები ელოდებიან. რიონისპირელები პირველ მატჩს 11 ივლისს ბელფასტში ითამაშებენ. ჩრდილოირლანდიელები ქუთაისს 18 ივლისს ესტუმრებიან. მეორე ეტაპის შეხვედრები 25 ივლისს და 1 აგვისტოს არის დანიშნული.

რაც შეეხება უეფას თასის გათამაშების პირველ შესარჩევ რაუნდს, 9 აგვისტოს **თბილისის „დინამო" ბელორუსის „ბატეს"** უმასპინძლებს, ხოლო **თბილისის „ლოკომოტივი" — მალტის „ბირკირკარას"**. განმეორებითი მატჩები 23 აგვისტოს გაიმართება.

ლევსო ცინცაძე.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**იყიდება**

**საბეჭდი მანქანის კომპლექსი:**
**საბეჭდი მანქანა – UNIT CP385 (RICOH VT3800), საბეჭდი მანქანის კაბინეტი, საბეჭდი მანქანის 4 ცალი ბარაბანი CPDR10 – A3 ფორმატის, საბეჭდი მანქანის კომპიუტერული ინტერფეისი, ქაღალდის დამჭრელი IDEAL-3905, ამკინძავი PRACTIC-210, ამკინძავი GMP-MINI.**
**ფასი შეთანხმებით.**
**ცნობებისათვის დარეკეთ: 93-26-99**

## ხსოვნა

### ეთერ სიხარულიძე

გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი **ეთერ სიხარულიძე**.

ე. სიხარულიძე დაიბადა 1929 წელს. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1951-1967 წლებში მუშაობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრში, სადაც მრავალი საინტერესო მხატვრული სახე შექმნა. მათ შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად კონკიას (ქ. ქუჩუკაშვილის „კონკია"), ცუციას (ა. ყაზბეგის „ცუცია"), პირიმზისას და პირიმთვარისას (ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი"), თამროს (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი") და სხვა.

ე. სიხარულიძე 1967 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. მის მიერ განსახიერებული გმირები – მემანქანე (ვ. მაიაკოვსკის „აბანო"), მარგო (ო. იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი"), ბებია (ნ. დუმბაძის „ზურიკელა"), მამიდა („ნუ გეშინია, დედა!" და სიდედრი („ცოლვის შვილები"), მონაზონი (კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი") ჭეშმარიტი აღიარებითა და მოწონებით სარგებლობდა, როგორც სათეატრო ხელოვნების სპეციალისტებში, ისე ფართო მაყურებლებში.

ე. სიხარულიძე სისტემატურად თანამშრომლობდა საქართველოს რადიოსთან, სადაც მან მრავალ რადიოდადგმაში მიიღო მონაწილეობა. კინოსტუდია „ქართულ ფილმში" კი 700-მდე როლი აახმოვანა.

ე. სიხარულიძის პროფესიონალიზმი, პიროვნული ღირსებები ნათელი მაგალითია თავდადებული, მოკრძალებული და უანგარო მოღვაწეობისა.

**საქართველოს კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი.**

## ტელევიზია — შაბათი, 23 ივნისი

**10.00** დილის პაემანი **11.35** მიზანი **12.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **12.15** ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ **13.25** მხ.ფ. **"მგლის ლეკვი"** **15.00** მოამბე **15.15** 50-50 **15.45** მულტსერიალი "მამა კასტორის ამბები" **16.10** მხ.ფ. **"ბეტმენი"** **18.15** რეალური სამყარო **18.35** მხიარული კარუსელი **19.00** ვესტნიკი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** აზრი **22.20** ენა დედაა ერისა **21.40** ცოცხალი სურათები **23.05** თბილისური ამბები **23.30** მეალომანია **00.00** მოამბე **00.10** ილუზიონი. მხ.ფ. **"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"**

**19.00** მხ.ფ. **"დიდი"** **20.40** ზღაპარ იყო **20.50** დასაბამიდან **21.00** ავანსცენა **21.25** ახლო ხედი **22.10** მხ.ფ. **"თამაში"**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.50** ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" **10.50** მულტსერიალი **11.30** საბავშვო ფილმი **12.45** მუსიკა **12.55** სერიალი **"კოლომბო"** **13.40** სიმფსონები **14.05** სერიალი **"ნაზი შხამი"** **15.00** მხ.ფილმი **18.00, 21.00, 01.30** კურიერი **18.20** ტექსავერი **18.30** სერიალი **"ფათერაკები სამხრეთის ზღვებში"** **19.00** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **19.50** სერიალი **"ნაზი შხამი"** **22.00** **ფსიქო**. მხ.ფ. **"სახალისო თამაშები"** რეჟ. მიხაელ ჰანეკე **01.40** სერიალი **"წითელი ფეხსაცმლის დღიური"** **02.10** ღამის ჯაზი

იბერია **მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** **08.00, 20.00** ანონსი, მულტფილმი **08.15, 20.15** ალსავალი **08.20, 10.00, 12.20, 20.20, 22.10, 23.40** მუსიკა **08.25** მხ.ფ. **"ჟინკების სამართებლის პირი"** **10.05** მხ.ფ. **"ღმერთების შური"** **20.25** მხ.ფ. **"გავარვარებული ასფალტი"** **22.15** მხ.ფ. **"მოვკლათ მისის ტინგლი"**

**ევრიკა** **10.00** მხ. ფილმი **"102 დალმატინელი"** **12.00** პროგრამა "სალონი" **13.30** ფანტასტიკის მოყვარულთათვის მხ.ფილმი **"რბოლა დროისკენ"** **15.00, 21.00** ვესტი **15.30** მუსიკა **16.00** ინდური ფილმი **19.00** თქვენი ადვოკატი **20.00** თინეიჯერები **21.30** ცეროდენა **21.45** პირველი ნაბიჯები **22.00** თეატრალური შეხვედრები **23.30** მენიუ **23.45** მხ.ფ. **"გაუქმება"**

**07.30** "ცხოვრება სიტყვაში" **10.00** "ბისი". მხ.ფ. **"ცენტრალური სადგური"** **11.50, 13.30, 17.00, 20.50, 22.45, 00.45** კლიპ-მიქსი **12.00** მულტფილმი **14.00** მხ.ფ. **"კლეოპატრა"** მთ. როლში ლეონორ ვარელა **18.00** მულტფილმი **19.00** "Co.მედია" მხ.ფ. **"შანხაის შუადღე"** მთ. როლში ჯეკი ჩანი **21.10** პროგრამა "F" მხ.ფ. **"საცეცეები"**. მთ. როლში დევიდ ბიკროფტი **23.00** "ბრავო" მხ.ფ. **"ექსჩენჯი"**. მთ. როლში სტივენ ბოლდუინი, **"ყინულზე მოსიარულე"** მთ. როლში კრის კრისტოფერსონი, **"საყვარელი სიდედრი"** მთ. როლში კატრინ დენევი **01.00** "ღამურა" მხ.ფ. **"პაემანი ერთი ღამით"**. მთ. როლში უესლი სნაიპსი **02.40** ნონ-სტოპი

**09.00, 18.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" **09.15, 18.15** მულტფილმი "ქალთევზა" **09.40** მხ.ფ. **"უხამსი წინადადება"** **11.35** "ლიმონი და ლიმონათი" **11.50** დოკ. ფილმი "სალვადორ დალის თეატრი-მუზეუმი" **12.20, 21.40, 23.45, 00.15** მუსიკა **12.35** მხ.ფ. **"შუაღამის ექსპრესი"** **14.30, 18.40** შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" **16.15** მხ.ფ. **"ბინძური ცეკვა"** მთ. როლში პატრიკ სუეიზი **19.30** გადაცემა: "საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან" **20.00** ევროპის სტადიონებზე **21.10** გადაცემა "ბელისიმო" **22.00** მხ. ფილმი **"დაღუპულთა სია"** მთ. როლში მაიკლ ჯ. ფოქსი **00.40** მხ.ფ. **"მგლებთან მოცეკვავე"** მთ. როლში კევინ კოსტნერი.

## საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს შპს „საქართველოს ფოსტა"

**საქართველოს საფოსტო ადმინისტრაციის ევრაზიის საფოსტო კავშირში მოსალოდნელ გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს შპს „საქართველოს ფოსტა" აცხადებს კონკურსს ამ კავშირისათვის ლოგოს ესკიზის დამზადებაზე.**

კონკურსის პირობები:
კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებულია ფულადი სამი პრემია:
ერთი პირველი პრემია — 200 ლარი
ერთი მეორე პრემია — 100 ლარი
ერთი მესამე პრემია — 50 ლარი
საბოლოო გამარჯვებული გამოვლინდება ქ. ანკარაში ევრაზიის საფოსტო კავშირის კონგრესის მიერ, რომელიც, აგრეთვე, დაჯილდოვდება სათანადო ჯილდოთი.
ესკიზების წარდგენის საბოლოო ვადაა 2001 წლის 10 აგვისტო.
კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ნამუშევრების გამოგზავნა შეუძლიათ ფოსტით ან პირადად ჩააბარონ შპს „საქართველოს ფოსტას" შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, საქართველოს ფოსტა. ტელ: 99-58-91.

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი შპს „პრესა-98"-ის მინი-სტამბა

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გთავაზობთ გაზეთების, წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების, აფიშების, პლაკატების, სავიზიტო ბარათების, სხვადასხვა საქმიანი ფორმების, ეტიკეტების აწყობა-დაკაბადონებას.

*ამასთანავე ხელმისაწვდომ ფასებში, რიზოგრაფის საშუალებით, შეძლებთ, ბუკლეტების, აფიშების (A-3 ფორმატი), სავიზიტო ბარათების, საქმიანი ფორმების ტირაჟირებას. შესაძლებელია ნაწილობრივ ფერადი ბეჭდვა. მაღალი ხარისხი გარანტირებულია კომპიუტერისა და რიზოგრაფის შემაერთებელი კომპიუტერული ინტერფეისის საშუალებით. შეგვიძლია სხვადასხვა საბუთის ლამინირებაც (A-3-A-4 ფორმატი).*

გადახდა როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.
მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით!



*ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა, IV სართული. ტელ.: 99-06-88.*

## ბანკი „რესპუბლიკა"

აცხადებს კონკურსს 20-30 წლის ქალბატონებისათვის აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე ბანკის სერვის-ცენტრში მოლარე-ოპერაციონისტის თანამდებობაზე. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ფლობდეს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს, ჰქონდეს უმაღლესი ეკონომიკური ან ტექნიკური განათლება, ჰქონდეს მათემატიკური აზროვნების უნარი და იცოდეს კომპიუტერთან მუშაობა. სასურველია, კანდიდატი ცხოვრობდეს აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე. კანდიდატურებს აპლიკაციები შეუძლიათ მოგვაწოდონ 9 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: გრიგოლ აბაშიძის 2, ბანკი „რესპუბლიკას" სათაო ოფისი.

ტელეფონები: 29-45-98, 29-45-99.

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ ოთარ ჭითანავას გარდაეცვალა დედა

ლოლა ქირია-ჭითანავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის" წევრები სამძიმარს უცხადებენ ამავე ფრაქციის წევრს ბატონ ოთარ ჭითანავას დედის

ლოლა ქირია-ჭითანავას

გარდაცვალების გამო.

---

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი თანაუგრძნობს ოთარ და ლერი ჭითანავებს დედის

ლოლა ქირია-ჭითანავას

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს ოთარ და ლერი ჭითანავებს დედის

ლოლა ქირია-ჭითანავას

გარდაცვალების გამო.

---

ზუგდიდის რაიონის გამგეობა თანაუგრძნობს ოთარ, დათო და ლერი ჭითანავებს დედის

ლოლა ქირია-ჭითანავას

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლენა, შვილები მამუკა, ეკა, სიძე ლევან კალანდაძე, შვილიშვილი ბაჩა, ძმა ტრისტანი, დები ვენერა, გულიკო, ირა, ზოია, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბუხუტი (ბუხუ) ერმილეს ძე კოპალიანი

პანაშვიდი 23, VI 7 სთ., გამოსვენება 24 VI 3 სთ., საბურთალოს ქ № 10, II სადარბაზო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ინსტიტუტის თანამშრომელს გია ქირიას მამის

ღუღუნა ქირიას

გარდაცვალების გამო.

---

ქეთევან მელექსიშვილი და ნუგზარ დათუაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბერიკო ვანოს ძე მელექსიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, ვიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში. ხომარაულის 29.